ლელო

ეროვნული გვერდი

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

28 მაისი **შაბათი** 2011

№ 123 (13420) ფასი 60 თეთრი



WOW! ბლატერი საუნივერსიტეტო ფიფაში დაიბარეს

7

ორი სამყაროს ომი

ნანატრი ფინალი უემბლიზე: ბარსელონა-მანჩესტერი

8-9

მოგვიანებით:

ქუცნაია გვიყურებს

გუშინ ეროვნული გუნდი ახალგაზრდულს ესპარინგა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

13

ცხრაფეიზ ა ლ ი

ორშაბათი, 18:00

ჩვენები

ქართული ფეხბურთი

● სათასლო ტრიუმფის შემდეგ. ინტერვიუ გაგრას ინტერიერში

ეროვნული ბიბლიოთეკა



ანატოლი პისკოვეცი წარმოგიდგენთ თქვენ პირველი

სენსაციური სერიალის სცენარისტი და რეჟისორი გვაფრთხილებს: ნიჭიერი მოთამაშეების დანუნება ქართული ფეხბურთის უბედურებაა

რამდენიმე წლის წინ, როდესაც ანატოლი პისკოვეცი რუსთავის "ოლიმპს" ავარჯიშებდა, ბევრისთვის უცნობი ნიჭიერი ახალგაზრდების მთელი ჯგუფი დააწინაურა - გიორგი გაბედავა, ლადო ჯოჯუა, ზვიად მეტრეველი და სხვანი. ამ ბიჭებით პისკოვეცის "ოლიმპმა" მოსკოვში "თანამეგობრობის თასზე" ნახევარფინალამდე გააღწია, სადაც იმ წელს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასულ "ბატესთან" მხოლოდ ტრავმირებულთა სიმრავლის გამო დამარცხდა.

მაგრამ უკრაინელ სპეციალისტს საქართველოში მაინც არ აფასებდნენ და "გაგრაში" მისი დანიშვნა ძალიან გაუკვირდათ. 26 მაისს კი ყველამ აღიარა, რომ პირველი ლიგისა და საქართველოს თასის გამარჯვებულ გუნდს კარგი სპეციალისტი ავარჯიშებს.

ანატოლი პისკოვეცს გუშინ ინტერვიუ ჩამოვართვით.

- უპირველესად, გილოცავთ წარმატებას. "გაგრამ" სენსაციები მოახდინა –დაამარცხეთ"დინამო", "ვიტ ჯორჯია", "ტორპედო".

- თასზე საქართველოს თითქმის ყველა უძლიერესი გუნდი შეგვხვდა, "ზესტაფონის" გარდა. რა თქმა უნდა, ძალიან ძნელი იყო მათი დამარცხება, მაგრამ ჩვენ ეს შევძელით და მიმაჩნია, რომ თასი შემთხვევით არ მოგვიპოვებია, ეს კანონზომიერიც კი იყო.

- ფინალამდე უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდით – ოვონიკოკო "გაგრასთვის" დიდი ძალაა.

- დიახ, ოვონიკოკოს ტრავმა მძიმე ფსიქოლოგიური სტრესი იყო. მაგრამ შეუცველი ფეხბურთელი არ გვყავს. თუმცა ასეთ მოთამაშის შემცვლელს უცებ ვერ მოუძებნი. ჩვენ იმან გვიშველა, რომ გუნდურ ფეხბურთს ვთამაშობთ, სადაც მთავარი სათამაშო დისციპლინა და დავალებების შესრულებაა. ასეთ ვითარებაში ლიდერის შემცვლელსაც უადვილდება თამაში. თანაც ჩვენ გვყავს ორი მაღალი კლასის თავდამსხმელი - გაბედავა და კვანტალიანი.

- "გაგრას" უფრო ფლანგებიდან ათამაშებდით, ფინალში კი ცენტრი მეტად დატვირთეთ. ეს თქვენი ტაქტიკა იყო?

- დიახ, დარნმუნებული ვიყავი, "ტორპედო" ჩვენგან ფლანგებზე აქტიურობას ელოდა და შეტევების მიმართულება შეგნებულად შევცვალეთ. თუმცა, ცხადია, ფლანგებსაც აქტიურად ვიყენებდით.

- დამრჩა შთაბეჭდილება, რომ პირველ ტაიმში მეტოქის დაღლას ცდილობდით.

- ფეხბურთში ეს მიღებული ტაქტიკაა. "ტორპედო" ძლიერი გუნდია და გონივრულად უნდა გვეთამაშა. საბოლოოდ, სწორედ მათი დაღლის ტაქტიკა ვამჯობინე: ჩვენ მიერ ბურთის მიმართულების ხშირი ცვლით მათ უბურთოდ ბევრი უნდა ერბინათ და პირველ ტაიმში დაღლილიყვნენ, მეორე ტაიმში კი გადაღლილ მეტოქესთან თამაში უფრო ადვილია. ასეც მოხდა, როდესაც ბურთს აქეთ-იქით ვატრიალებდით, მეტოქე დარბოდა და დიდი ენერგიაც შეგვალია. მართალია, საამისოდ 120 წუთი დაგვჭირდა, მაგრამ თასი მაინც "გაგრას" დარჩა.

- ისიც სათქმელია, რომ გუნდი უმთავრესად დაწუნებული ფეხბურთელებით დააკომპლექტეთ.

- დიახ, ჭსეა და შეიძლება ითქვას, რომ ნიჭიერი მოთამაშეების დაწუნება ქართული ფეხბურთის უბედურებაა. ბევრ მათგანთან მილაპარაკია და ყველა ამბობს, რომ მისით ესა თუ ის ცნობილი კლუბი ინტერესდებოდა, მაგრამ მიჩნდება კითხვა, რატომ არავინ არ აიყვანა? მათ არ ათამაშებდნენ ან იწუნებდნენ და გუნდიდან უშვებდნენ, არადა, უნიჭიერესი ბიჭები არიან და არ მესმის, როგორ შეიძლებოდა მათი დაწუნება?! ბედნიერი ვარ, რომ ჩემი მწვრთნელობისას, "გაგრას" სამი ფეხბურთელით, კალანდაძით, ჯიშკარიანითა და ხურციძით ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელობა დაინტერესდა. ესე იგი, შედეგიანად ვიმუშავეთ.

- საქართველოს თასის მოპოვების შემდეგ რას გრძნობდით?

- ემოციებისგან დავიცალე, ერთი ის ვიცოდი, რომ ბედნიერი ვიყავი, მაგრამ ვეღარაფერს ვგრძნობდი.

მერაბ მამულაშვილი

საქართველოს ჩემპიონატი

ბოლო ოფის წინ

ბადრი კვარაცხელია:

სპარტაკი დანაკლისით, მაგრამ მაინც იმედით

ხვალ ეროვნულ სტადიონზე ცხინვალის "სპარტაკი" და საჩხერის "ჩიხურა" პლეი ოფში ერთმანეთს უმაღლესი ლიგის საგზურისთვის შეებრძოლებიან. სეზონის გადამწყვეტი მატჩის წინ ორივე გუნდის მთავარ მწვრთნელს გავესაუბრეთ.

- სამწუხაროდ, არაერთი ქულა დავკარგეთ და პლეი ოფში მოგვინია თამაშმა. ჩვენთვის ეს სეზონის გადამწყვეტი მატჩია. ბუნებრივია, უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ და ჩვენს გუნდში ეს ყველა ფეხბურთელს კარგად აქვს გათავისებული. "ჩიხურასთან" მატჩისთვის სერიოზულად ვემზადებით და შეკრებაზე ვიმყოფებით.

- დანაკლისი თუ გაქვთ?

- სამწუხაროდ, დანაკლისს ვერ ავცდით და ძირითადი შემადგენლობის ერთბაშად 4 წევრი გვაკლია. მეკარე სოსო გრიშიკაშვილმა ტრავმა ვერ მოიშუშა, დაშავდა შემტევი ნახევარმცველი მიხეილ ბარაბაძე, ლაშა ჯაკობია და ვალერი ბოლქვაძე ამ თამაშს დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებენ. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ყველა ეს ფეხბურთელი ჩვენთვის დიდი ძალაა.

- მეტოქეს როგორ დაახასიათებთ?

- "ჩიხურას" სათანადოდ ვაფასებთ, ვნახეთ მისი მატჩების ჩანაწერები. დალაგებული გუნდია, გამართულ ფეხბურთს თამაშობს და გამოცდილი მწვრთნელი ხელმძღვანელობს. ერთი სიტყვით, კარგი მეტოქე გვყავს, ეს გუნდი ტყუილად არ იყო პირველი ლიგის ლიდერებს შორის.

- როგორ ფიქრობთ, რა იქნება გადამწყვეტი, პირველი გოლი, კლასი თუ სხვა ფაქტორები?

- პირველი გოლის გამტანს ყოველთვის აქვს უპირატესობა და ამ მატჩშიც ასე იქნება. არა მგონია, პირველი გოლი გადამწყვეტი იყოს, მაგრამ დიდი მნიშვნელობა კი ექნება. კლასსა და-გამართლებასაც ყოველთვის აქვს მნიშვნელობა, ისევე, როგორც გულშემატკივრის ფაქტორს. ერთი სიტყვით,

- მატჩი ეროვნულ სტადიონზე გაიმართება. ეს ფაქტორი რამდენად იმოქმედებს შედეგზე?

- კარგ მოედანზე მოგვიწევს ბრძოლა, იქ, სადაც ეროვნული ნაკრები თამაშობს და ეს მომენტი ორივე გუნდისთვის დიდი სტიმულია. ყველანაირად შევეცდებით, კარგი თამაში ვაჩვენოთ და უკმაყოფილო არ დავტოვოთ ის გულშემატკივრები, რომლებიც მატჩს დაესწრებიან.

ბადრი კვარაცხელია

სოსო ფრუიძე:

ჩიხურა კვირას მასპინძელი იქნება

- "ჩიხურას" ფეხბურთელთა აბსოლუტური უმრავლესობა საჩხერელია და ამიტომაც შეკრება არ მოგვიწყვია, თბილისში შაბათს ჩავალთ და გადათამაშებას სრულ მზადყოფნაში შევხვდებით.

- პლეი ოფის ოპტიმალური შემადგენლობით ჩატარებას თუ ახერხებთ?

- სამწუხაროდ, ვერა. ტრავმების გამო მიქაძე და ჩიკვაიძე დაგვაკლდებიან, ხოლო ტყებუჩავა დისკვალიფიცირებულია. დანაკლისი სერიოზულია, მაგრამ მჯერა, ამ ფეხბურთელებს სრულფასოვნად შევცვლით.

- რა შეიძლება დაუპირისპიროს "ჩიხურამ" "სპარტაკს"?

- მეტოქე უფრო გამოცდილია, მაგრამ კოზირები ჩვენც გვაქვს, რის დამტკიცებასაც მოედანზე შევეცდებით. "სპარტაკი" ჩვენთვის ძლიერი გუნდია, მაგრამ ვფიქრობ, გამარჯვების შანსი ორივეს თანაბრად გვაქვს.

- გავრცელებულია აზრი, რომ "ჩიხურასთვის" უმაღლეს ლიგაში გადასვლა პრიორიტეტი არ არის.

- შეიძლება, წინა წლებში ასე იყო, მაგრამ უკვე ოთხი წელიწადია, "ჩიხურას" მთავარი მწვრთნელი ვარ, ჩვენი კლუბი ეტაპობრივად იზრდება და ამბიციებიც გვემატება. გვაქვს კეთილმოწყობილი სტადიონი, ბავშვთა საფეხბურთო აკადემია, ყველანაირი საწვრთნელი პირობები და დროა, საკუთარი შესაძლებლობები უმაღლეს ლიგაშიც მოვსინჯოთ. თუ უმაღლესის საგზური მოვიპოვეთ, გუნდის შემადგენლობის გაძლიერების საშუალებაც გვაქვს. ეს ყველაფერი კი, რაღა თქმა უნდა, ჩვენი სპონსორის, "ქართუ ჯგუფის" დამსახურებაა.

- ალბათ, საჩხერიდან თბილისში ქომაგები მრავლად ჩამოვლენ.

- ჩვენი გუნდის თითქმის არც ერთ წევრს ეროვნულ სტადიონზე არასდროს უთამაშია, მაგრამ გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ ჩვენი ერთგული გულშემატკივრების წყალობით კვირას თავს ისე ვიგრძნობთ, როგორც საჩხერის სტადიონზე, მასპინძელი "ჩიხურა" იქნება.

ლევან ჯანეზაშვილი

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს„ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

● სათასლო ტრიუმფის შემდეგ

ძველი ჩინური სიბრძნე: დაინახე სხვისი ნიჯი და დაინახავ შენსას

ძნელი და სევდიანი გზა ბიჭისა, რომელმაც ყველას მაინც ათქმევინა:

ეს ვინ ყოფილა?!

საქართველოს თასის ფინალში "გაგრამ" დამსახურებულად გაიმარჯვა და ქართული ფეხბურთის ისტორიაში დაუვიწყარი ფურცელი ჩაწერა – პირველი ლიგის კლუბმა ეროვნული თასი მოიპოვა. გულშემატკივრისთვის აღმოჩენა იყო "გაგრას" 25 ნლის მეკარე კონსტანტინე სეფიაშვილი, რომელმაც მნიშვნელოვანი ნვლილი შეიტანა "გაგრას" მიერ საქართველოს თასის მოგებაში. 185 სმ სიმაღლის და საოცარი რეაქციის მქონე სეფიაშვილი საიმედო იყო ხაზზეც და გამოსვლებზეც. გულშემატკივარი ხუმრობდა, მეკარე კი არა, სპაიდერმენი გვყოლიაო. ნლების წინ, როდესაც თბილისის "მერანის" კარში ნიჭიერი ბიჭი ჩადგა, ბევრმაც შენიშნა, თბილისის "დინამოც" იყო დაინტერესებული, მაგრამ მისი კარიერა ნიჭის შესაფერისად ვერ წარიმართა. თუმცა საქართველოს თასის ბოლო ფინალის შემდეგ მისით ბევრი გუნდი დაინტერესდა. გუშინ ფინალის გმირს გავესაუბრეთ.

- ძალიან კარგი ფინალი იყო, რომელშიც მნიშვნელოვანი როლი ითამაშე.

- "გაგრამ" მოგება დაიმსახურა, რადგან კარგი გუნდია. მიუხედავად იმისა, რომ დამატებით დროში გავიტანეთ, ვფიქრობ, ორივე ფინალისტმა საკმაოდ კარგი ფეხბურთი აჩვენა მაყურებელს.

- იმდენი სამუშაო გქონდა, წინახაზელებზე ნაკლებად არ დაიღლებოდი.

- მართლაც ძალიან დავიღალე, თამაშის შემდეგ ჟურნალისტებთან ლაპარაკის თავიც არ მქონდა.

- "გაგრა" ბევრჯერ გადაარჩინე, მაგრამ განსაკუთრებით რევაზ გოცირიძის თავური დამამახსოვრდა - ვერავინ წარმოიდგენდა, რომ დაბალ კუთხეში დარტყმულს მოიგერიებდი.

- ერთხელაც არ მიფიქრია, რომ გავუშვებდი და წავაგებდით. დარწმუნებულიც ვიყავი, რომ თასი ჩვენ დაგვრჩებოდა. არა იმიტომ, რომ მეტოქეს პატივს არ ვცემ, პირიქით, საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს შევხვდით, რომელსაც საუკეთესო თავდამსხმელები ჰყავს, მათ ძალიან კარგად ითამაშეს და ბევრი სამუშაოც მქონდა. მაგრამ მოედანზე გამარჯვებაში დარწმუნებული გავედი.

- უმაღლეს ლიგაში თამაშის შემდეგ შენი ალი-კვალი დაიკარგა. აქამდე სად „იმალებოდი"?

- ვმკურნალობდი და ცხადია, თამაშს ვერ შევძლებდი.

- ასეთი რა გჭირდა?

- წელიც მაწუხებდა, საზარდულიც, ზოგი ექიმი რას მეუბნებოდა, ზოგი რას, მაგრამ ვერ მომარჩინეს. ორწელიწადნახევარი იმიტომ გამიცდა, რომ საქართველოში ბევრია არაკომპეტენტური ექიმი, ან მე შემხვდნენ ასეთები.

- თამაში "გაგრაში" დაიწყე?

- არა, ფეხბურთში ცხინვალის "სპარტაკმა" დამაბრუნა, რისთვისაც ამ კლუბის ხელმძღვანელებს მადლობას ვუხდი, მაგრამ გუნდი მალე დავტოვე. ცოტა ხანი ვიყავი "ვიტ ჯორჯიაში", მერე რუსთავის "ოლიმპში", მაგრამ ვარჯიში ახალი დაწყებული მქონდა და ფეხი ვერსად მოვიკიდე.

ამის შემდეგ "გაგრაში" შემთხვევით აღმოვჩნდი. "მერანის" სტადიონზე მარტო ვვარჯიშობდი, იქ კი ამ დროს "გაგრა" ემზადებოდა. ანატოლი პისკოვეცმა შემნიშნა და მკითხა, მარტო რატომ ვარჯიშობო. ავუხსენი ვითარება, მითხრა, აქეთიქით სირბილს არ გირჩევნია, ჩვენთან მოხვიდეო? ეს იყო შარშან, ოქტომბერში. მივედი, მავარჯიშა, ფორმის აღდგენაში დამეხმარა და მადლობა ღმერთს, ახლა ყველაფერი კარგად არის, ამ გუნდმა და ამ მწვრთნელმა საკუთარი თავის რწმენა დამიბრუნა. პისკოვეცს საქართველოში კარგად არ იცნობენ და მინდა, ყველამ იცოდეს, რომ ის არა მხოლოდ კარგი სპეციალისტი, მშვენიერი პიროვნებაც გახლავთ. თუმცა, იყო შანსი, ფინალი არ მეთამაშა.

- რატომ?

- 8 მაისს მარტვილის "მერანთან" საშინაო შეხვედრაში მხარი ვიტკინე და სამი თამაში გამოვტოვე. მაგრამ ეს სამი შეხვედრა დასავლეთ საქართველოში გვინევდა და 11-დან 20 მაისამდე გრიგოლეთში შეკრება დაიგეგმა. ტრავმა იქ მოვირჩინე და პისკოვეცმა ფინალშიც მათამაშა.

- ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატი იყავი, შენით თბილისის "დინამოც" დაინტერესდა. გუნდები არ გიკავშირდებოდნენ, სად და რატომ დაიკარგეო?

- ვერ ვიტყვი, რომ არავინ ინტერესდებოდა. ზემოთ რომ კლუბები ჩამოვთვალე, იქ თამაშებით გამიხსენეს. მაგრამ დავიწყებდი ვარჯიშს და ტრავმა თავს მახსენებდა.

- პეტარ შეგრტმა ახალგაზრდულ ნაკრებშიც მიგიწვია.

- ეს 2007 ნელს მოხდა. ყაზახეთთან გასვლით მატჩამდე შეკრებაზე გამომიძახა, მაგრამ არ ნამიყვანა. სხვათა შორის, თბილისის "მერანში" თამაშობდა ძალიან პერსპექტიული მეკარე გლუნჩაძე, სამწუხაროა, რომ 23 ნლისამ თამაშს თავი დაანება.

- შენს კარიერაზე მოგვიყევი.

- თამაში თბილისის "მერანში" დავიწყე. მერე ნახევარი ნელი "ბორჯომში" ვითამაშე, საიდანაც "ამერში" გადავედი. გუნდი ზუსტად სამ კვირაში დაიშალა, ერთ კვირაში კი საზარდული გავიგლიჯე...

P.S.

"გაგრას" მთავარმა მწვრთნელმა ანატოლი პისკოვეცმა მატჩის შემდეგ "ლელოსთან" განაცხადა: "საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობა სეფიაშვილს ყურადღებას თუ მიაქცევს, ვფიქრობ, არ წააგებს. რა თქმა უნდა, ეს ჩემი აზრია და მათ თავს არ ვახვევ, მაგრამ დიდი ხანია, ამ ბიჭს ვაკვირდები და დავრწმუნდი, ძალიან ნიჭიერი მეკარეა. ჩემს სამშობლოში, უკრაინაში მაღალი დონის ჩემპიონატია, უმაღლეს ლიგაში მთავარ მწვრთნელად მიმუშავია და ვიცი, იქ რა მეკარეები თამაშობენ. დარწმუნებული ვარ, სეფიაშვილი ამ დონე ზეც მოახერხებს დამკვიდრებას".

მერაბ მამულაშვილმა

● სანაკრებო შეკრება

ეროვნული–ახალგაზრდული 3:2

27 მაისი. ტექნიკური ცენტრი „ბასა". 500 მაყურებელი.

1:0 მოდებაძე (15), 1:1 საბანაძე (20), 2:1 მოდებაძე (27), 3:1 იაშვილი (30), 3:2 კვეკვესკირი (90).

ეროვნული: ლორია - ლობჟანიძე, ხუბუტია, კაშია, კალაძე - კანკავა, მაისურაძე - იაშვილი, ლიპარტია, კვირკველია - მოდებაძე.

შეცვლაზე: კვასხვაძე, ალდაშვილი, რეხვიაშვილი, ხიდეშელი, გორგიაშვილი, გურული, გელაშვილი, დაუშვილი, ადამია.

ახალგაზრდული: ზარქუა - კანდელაკი, კაკუბავა, ხოჭოლავა, სალარიძე - ჯიღაური, კვეკვესკირი - ჭანტურია, თექთურმანიძე, ყაზაიშვილი - საბანაძე.

შეცვლაზე: ნადირაძე, იოსელიანი, შონია, ბეგლარიშვილი, სიხარულია, ლექვთაძე, ქობალია.

რა შიში და რა მორიდება

ეროვნული თბილისელებმა ახალგაზრდა, ანუ მოტივირებული

გუშინ „ბასაზე" ეროვნულმა და ახალგაზრდულმა ნაკრებებმა საკონტროლო შეხვედრა გამართეს. მშვენიერი მოედნის დაგების შემდეგ ტრიბუნაზე სანახევროდ უკვე დაამონტაჟეს ინდივიდუალური სკამები, დარჩენილი სამუშაოებიც მალე დასრულდება, ტრიბუნები გადაიხურება და ერთი კოხტა სტადიონიც შეგვემატება.

მატჩი ეროვნულის უპირატესობით დაიწყო, მაგრამ უფრო მოტივირებულები ახალგაზრდულის ნევრები იყვნენ, თამაშს ხომ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრეთნელი **თემურ ქეცბაია** უყურებდა.

ოთარ გაბელიას შეგირდებიდან განსაკუთრებით მწვავედ **გიორგი ჭანტურია** უტევდა. მატჩი ახალი დაწყებული იყო, როდესაც **კახა კალაძეს** ეფექტურად გასცდა, მერე საჯარიმოთი სცადა გატანა და საერთოდ, გაცილებით გამოცდილთა წინააღმდეგ ისე თამამად და კარგად თამაშობდა, რა შიში და რა მორიდება!

ეროვნული ახალგაზრდა, ანუ მოტივირებული

ანგარიში მე-15 წუთზე გაიხსნა: **უჩა ლობჟანიძის** გადაცემის შემდეგ **თორნიკე ზარქუა** უხეშად შეცდა, ბურთი ხელიდან გაუვარდა და **ირაკლი მოდებაძემ** დაამატა - 1:0.

ახალგაზრდებმა მალე გაათანაბრეს: ჭანტურიამ მარჯვენა ფლანგზე გაილაღა, **აკაკი ხუბუტიას** თავბრუ დაახვია და საჯარიმოში ჩაანოდა, **გიორგი ლორიამ** ბურთი მოიგერია, დამატებაზე კი **ნიკა საბანაძემ** მცველებს დაასწრო - 1:1.

26-ე წუთზე ლობჟანიძის ფლანგური გარღვევა ზუსტი თავური დარტყმით კვლავ მოდებაძემ დააგვირგვინა - 2:1.

მალე **ალექსანდრე იაშვილი** საჯარიმოში მარჯვენა ფლანგიდან ცენტრისკენ შეიჭრა და ზუსტად დარტყა - 3:1.

მეორე ტაიმში შემადგენლობა ორივე გუნდში შეიცვალა. კარგად გამოჩნდა **ზაქარია ბეგლარიშვილი**, რომელიც თანაგუნდელებს მშვენიერი გადაცემებით ამარაგებდა, ეროვნულის შეუთამაშებელმა შემადგენლობამ კი მეტი ვერ გაიტანა.

მეორე ნახევარში ერთადერთი გოლი ბოლო წუთზე **ნიკა კვეკვესკირმა** ჯარიმით გაიტანა - **როინ კვასხვაძე** კედელს აყენებდა და ეგონა, მეტოქეს დარტყმის უფლება არ ჰქონდა, როდესაც ბურთი ცხრიანში ჩაეშვა.

მერაბ მამულაშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ნაკრებს დვალიშვილი დაემატა

ლევან დვალიშვილი

გუშინ თბილისში **ვლადიმერ დვალიშვილი** ჩამოვიდა. **თემურ ქეცბაიამ** ნამგზავრი თავდამსხმელი დაასვენა და ორმხრივ მატჩში არ დატვირთა. 25 მაისს ლადომ ისრაელის თასის ფინალში ითამაშა, მაგრამ დუბლს ვერ შესწვდა – ჩემპიონი ჰაიფას "მაქაბი" თელ ავივის "ჰაპოელთან" 0:1 დამარცხდა.

ახალგაზრდულთან გუშინდელ სპარინგში კუნთი დაიჭიმა **უჩა ლობჟანიძემ** და პირველივე ტაიმში შესაცვლელი შეიქნა, მაგრამ ნაკრების მარჯვენა მცველის მდგომარეობა საგანგაშო არაა.

ლევან ჯანეზაშვილი

მჭედლიძე რისხს აარიდეს

ლევან მჭედლიძე

ახალგაზრდული ნაკრები ჯერ სრული შემადგენლობით ვერ შეიკრიბა. ვუშინ გუნდს ყაზანის რუბინელი ცენტრალური მცველი **საბა კვირკველია** შეუერთდა, დღეს კი ფრანგული " ლე მანის" მეკარე **გიორგი მაკარიძეს** ელიან.

ყველაზე გვიან შეკრებაზე ლოძის "ვიძევის" პლეიმეიკერი **ნიკა ძალამიძე** გამოცხადდება - 30 მაისს პოლონეთის ჩემპიონატში ითამაშებს და ამის შემდეგ გამოფრინდება.

გუშინ ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების შეხვედრას ტრიბუნიდან უყურებდა "ემპოლის" თავდამსხმელი **ლევან მჭედლიძე**. ცხადია, მისი უთამაშებლობის მიზეზით დავინტერესდით.

"საშიში არაფერია, ლევანს ვარჯიშზე ფეხი ოდნავ ასტკივდა და გართულების თავიდან ასაცილებლად დავასვენეთ" - გვითხრა გაბელიამ.

მერაბ მამულაშვილი

● ლეგიონერები

ინტერს ორი ქართველი გამოაპლდა

აზერბაიჯანის დასრულებულ ჩემპიონატში ბაქოს "ინტერმა" ჩემპიონობაც დაკარგა და ვერც ევროტურნირის საგზური მოიპოვა. მართალია, **კახა ცხადაძის** გუნდი "თანამეგობრობის თასს" დაეუფლა, მაგრამ ახალი სეზონის დაწყებამდე სერიოზულ საკადრო ცვლილებებს გეგმავს.

ცხადაძის თქმით, "ინტერი" ორმა ქართველმა ლეგიონერმა უკვე დატოვა.

„კახა მუკანაძემ ტრავმის შემდეგ ფორმა ვერ აღიდგინა და გუნდმა კონტრაქტი აღარ გაუგრძელა. დავით ოდიკაძემ სეზონი კარგად ჩაატარა და მისი დატოვება გვსურდა, მაგრამ კონტრაქტი აღარ გააგრძელა, რადგან სხვა შეთავაზებები აქვს. ხელშეკრულება დაუმთავრდა ილია კანდელაკსაც და ახლის გაფორმებას სთავაზობენ" - გვითხრა ცხადაძემ.

ასე რომ, „ინტერში" ოთხი ქართველი დარჩა - **გიორგი ლომაია, ვალერი აბრამიძე, ილია კანდელაკი** და **ბაჩანა ცხადაძე**. თუმცა "ინტერის" მთავარი მწვრთნელი არ გამორიცხავს, რომ გუნდში ქართველი კიდევ მიინვიოს.

მერაბ მამულაშვილი

● ნომინანტები

ჩემპიონატის რჩეულნი

ორი დღის წინ ყველა ის ფეხბურთელი ვახსენეთ, ახლახან დასრულებულ ჩემპიონატში გოლი ვინც გაიტანა; ახლა კი სეზონის რჩეულნი გვინდა წარმოგიდგინოთ და აქვე შეგახსენებთ, რომ „ლელო“ ყოველი ტურის დასრულების შემდეგ „ტურის სიმბოლურ ნაკრებთან“ ერთად „ტურის მწვრთნელს“ (ანალოგიურად, „თვის სიმბოლურ ნაკრებსა“ და „თვის მწვრთნელს) ასახელებს. გარკვეულ მიზეზთა გამო ორჯერ (კერძოდ, XXXII და XXXV ტურში) არ შეგვიდგენია „ტურის სიმბოლური ნაკრები“, ასევე მაისის „თვის სიმბოლურ ნაკრებზეც“ უარი ვთქვით, თუმცა სეზონის დაწყებიდან იმდენი მატჩი ჩატარდა, რომ ახლა, როცა ჩემპიონატი უკვე დამთავრდა, ვფიქრობთ, შეჯამების დროც მოვიდა.

ნომინანტების ჩამოთვლას მწვრთნელებით დავიწყებთ და ალბათ არავისთვის იქნებოდა მოულოდნელი **გია გეგუჩაძის** უპირატესობა კოლეგებთან შედარებით: საქართველოს ახალი ჩემპიონის, „ზესტაფონის“ თავკაცი ყველაზე მეტჯერ, ექვსჯერ მივიჩნიეთ „ტურის მწვრთნელად“. გეგუჩაძემ პირველობა არც „თვის მწვრთნელებში“ დაამო: „ზესტაფონის“ ტრიუმფული სეზონის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი ამ ნომინაციაში საუკეთესოდ ოთხჯერ დავასახელეთ და, ალბათ, არც ეს ფაქტი იქნებოდა ვინმესთვის საკამათო.

მეკარეებში საუკეთესო შედეგი თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების მეკარეს, 25 წლის **გიორგი ლორიას** აქვს — ექვსჯერ „ტურის სიმბოლურში“ მოხვდა, ორჯერ კი (ისე როგორც „ტორპედოს“ მეკარე, 26 წლის **ომარ მიგინეიშვილი**) — „თვის სიმბოლურში“.

მცველებს შორის მართლაც ჩინებული შედეგით შეუძლია თავი მოიწონონ **ლევან ხმალაძესა** და **თენგიზ ჩიკვილაძეს:** „დინამოს“ 26 წლის მარცხენაფლანგელმა ჩვეული სტაბილურობით ჩაატარა მთელი სეზონი და თანაამპლუელთა შორის ყველაზე მეტჯერ (ათჯერ) მოხვდა „ტურის სიმბოლურში“. ამპლუით ასევე მარცხენა მცველია, 27 წლის თენგიზ ჩიკვილაძე — ქუთაისის „ტორპედოს“ მცველმა-გოლიადორმა ამ სეზონშიც გაიტანა ერთი-მეორეზე ეფექტური გოლები. ხმალაძისა და ჩიკვილაძის მსგავსად, სტაბილურად ჩაატარეს სეზონი 23 წლის **გიორგი რეხვიაშვილმა** („ოლიმპი“) და 22 წლის **გულვერდ თომაშვილმა** („დინამო“). იმავეს თქმა შეიძლებოდა „ვიტ ჯორჯიას“ მარჯვენაფლანგელზეც, 24 წლის **გიგა ბეჭვაიაზეც**, თუმცა ყველას კარგად მოეხსენება, რომ ამ ფეხბურთელს (ისე როგორც **როინ ონიანს, სპარტაკ გოგიასა** და **კახაბერ კირთაძეს**) საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა მაისის დასაწყისში... სამუდამო დისკვალიფიკაცია მიუსაჯა...

ნახევარდაცვაში სამი „გამოკვეთილი“ ლიდერი გვყავს: 29 წლის **ალექსანდრე კოშკაძე** („დინამო“), 26 წლის **რევაზ გეწაძე** („ოლიმპი“) და 22 წლის **ბუბა დაუშვილი** (ზესტაფონი). ანუ, ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში ამ სამივე ნახევარმცველს ადგილი „დაბეებული“ აქვს; აი, რაც შეეხება ამ რგოლის „სრულად დაკომპლექტებას“, აქ უკვე არჩევანის გაკეთება გაგვიჭირდა: „ზესტაფონის“ ორ ნახევარმცველს, 31 წლის **თორნიკე აფციაურსა** და 24 წლის **შოთა გრიგალაშვილს** „ტურისა და თვის სიმბოლურებში“ აბსოლუტურად იდენტური მაჩვენებელი აღმოაჩნდათ; თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ჩემპიონატის გადამწყვეტ, მეორე ეტაპზე გრიგალაშვილმა უფრო შთამბეჭდავად იასპარეზა...

თავდასხმაში, როგორც მოსალოდნელი იყო, უკონკურენტო გახლდათ ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, 25 წლის **ნიკოლოზ გელაშვილი** („ზესტაფონი“), რომელსაც, საერთოდაც, საუკეთესო შედეგი ჰქონდა: 13-ჯერ მოხვდა „ტურის სიმბოლურში“ და ოთხჯერ „თვის სიმბოლურში“!

საუკეთესო ბომბარდირთა დავაში გელაშვილის შემდეგ, მეორე ადგილი **ირაკლი მოდებაძემ** დაიკავა — „ოლიმპის“ 26 წლის ახალნვეულმაც, ვფიქრობთ, რომ სამართლიანად დაიმსახურა „ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში“ მოხვედრა.

ისე, არავინ იცის, თუ როგორი „სახე“ ექნებოდა სეზონის სიმბოლურ ნაკრებს, რამდენიმე ფეხბურთელს მეორე ეტაპზეც საქართველოს ჩემპიონატში რომ ეასპარეზა; ყოველ შემთხვევაში, დიდი იყო იმის ალბათობა, რომ **დავით მუჯირი** („დინამო“), **ჯაბა ლიპარტია** და **ირაკლი კლიმიაშვილი** (ორივე-„ვიტ ჯორჯია“) სეზონის რჩეულთა შორის მოხვედრილიყვნენ...

გია ტუხაშვილი

ნიკოლოზ გელაშვილი

ლევან ხმალაძე

მწვრთნელები

გია გეგუჩაძე (ზესტაფონი)-6, კახა კაჭარავა (დინამო)-5, გია გიგატაძე (ტორპედო)-4, გელა სანაია (სამტრედია)-3, თემურ მახარაძე (ოლიმპი)-2, მერაბ კოჭლაშვილი (ვიტ ჯორჯია)-2, ხვიჩა ქასრაშვილი (სიონი)-2, სოსო ფილია (კოლხეთი)-2, თორნიკე მაისურაძე (ოლიმპი)-2, გიორგი ყიფიანი (სიონი)-1, რამაზ მუმლაძე (ოლიმპი)-1, ბესიკ შეროზია (კოლხეთი)-1, დავით მახარაძე (კოლხეთი)-1, ელგუჯა ქოქეთიანი (ბაია)-1, ბადრი კვარაცხელია (სპარტაკი)-1.

მეკარეები

გიორგი ლორია (დინამო)-6, ლაშა ძაგანია (სამტრედია, კოლხეთი)-5. როინ კვასხვაძე (ზესტაფონი)-4, ომარ მიგინეიშვილი (ტორპედო)-4, სოსო გრიშიკაშვილი (სპარტაკი)-4, მინდია ბობღლიაშვილი (სიონი)-2, გიორგი სომხიშვილი (ბაია)-2, მაქსიმე ქვილითაია (ტორპედო)-2, ზურაბ ბათიაშვილი (ოლიმპი)-1, გრიგოლ ბედიაშვილი (ოლიმპი)-1, გიორგი ძაძამია (ვიტ ჯორჯია)-1, არდალიონ მიქაბერიძე (ვიტ ჯორჯია)-1, დავით ლეგაშვილი (სიონი)-1.

მცველები

ლევან ხმალაძე (დინამო)-10, თენგიზ ჩიკვილაძე (ტორპედო)-8, გულვერდ თომაშვილი (დინამო)-7, გიორგი რეხვიაშვილი (ოლიმპი)-7, გიგა ბეჭვაია (ვიტ ჯორჯია)-7, ალექსანდრე კვახაძე (ოლიმპი)-6, გიორგი ონიანი (ზესტაფონი)-5, სერგი ორბელაძე (სიონი)-5, ალექსანდრე ინწკირველი (კოლხეთი)-5, ლევან კაკუბავა (დინამო)-4, ნიკა აფაქიძე (ბაია)-4, როინ ონიანი (ბაია)-4, გივი დიდავა (სიონი)-4, ზაალ ელიავა (ზესტაფონი)-4, კახა ალადაშვილი (ზესტაფონი)-4, გივი კვარაცხელია (დინამო)-3, სევასტი თოდუა (ტორპედო)-3, ნიკა კვეკვესკირი (ბაია, დინამო)-3, თეიმურაზ ფარულავა (ტორპედო)-3, მამუკა კობახიძე (ზესტაფონი)-3, დავით ლომაია (ვიტ ჯორჯია, სიონი)-2, ლაშა ჯაფარიძე (ოლიმპი)-2, თეიმურაზ ღონღაძე (ოლიმპი, დინამო)-2, პაატა ცხვიტარია (კოლხეთი)-2, დათა რიგვავა (ბაია)-2, გიორგი ხუმარაშვილი (სამტრედია)-2, ბოიომო ფრიდოლინი (სპარტაკი)-2, გიორგი მურველაშვილი (ოლიმპი)-2, ნიკა კვასხვაძე (ტორპედო, სიონი)-2, ნოდარ მაჭავარიანი (ტორპედო)-1, დავით სვანიძე (სიონი)-1, დავით ხურციელავა (ვიტ ჯორჯია)-1, რევაზ ღანიაშვილი (ვიტ ჯორჯია)-1, ირაკლი ჭანკვეტაძე (ვიტ ჯორჯია)-1, გურამ ადამაძე (ვიტ ჯორჯია)-1, გიორგი ხიდეშელი (ზესტაფონი)-1, დაჩი ფოფხაძე (ტორპედო)-1, ლევან ჭაფოძე (სპარტაკი)-1, გიორგი თარგამაძე (სიონი)-1, სპარტაკ გოგია (სამტრედია)-1.

ნახევარმცველები

ალექსანდრე კოშკაძე (დინამო)-9, რევაზ გეწაძე (ოლიმპი)-9, ბუბა დაუშვილი (ზესტაფონი)-7, შოთა გრიგალაშვილ (ზესტაფონი)-5, თორნიკე აფციაური (ზესტაფონი)-5, დავით ბოლქვაძე (ოლიმპი)-4, გიორგი ქავთარაძე (ოლიმპი)-4, დავით მუჯირი (დინამო)-4, შოთა ჩომახიძე (სამტრედია)-4, გიორგი სეთურიძე (ტორპედო)-4, ვალერი ბოლქვაძე (სპარტაკი)-4, ვლადიმერ უგრეხელიძე (სიონი, სპარტაკი)-3, ირაკლი კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია)-3, დათა სიჭინავა (კოლხეთი)-3, თორნიკე გორგიაშვილი (ზესტაფონი)-3, ლაშა ქებაძე (სამტრედია, ტორპედო)-3, კობა შალამბერიძე (სიონი)-3, ლაშა ნოზაძე (სიონი)-2, ირაკლი ლეკვთაძე (დინამო)-2, დავით მეგრელიშვილი (კოლხეთი)-2, ირაკლი ჩირიკაშვილი (სიონი)-2, გიორგი ჯანელიძე (ვიტ ჯორჯია)-2, შოთა ლომია (ბაია)-2, ირაკლი მაისურაძე (ოლიმპი)-2, ალექსანდრე გოგობერიშვილი (ბაია, სიონი)-2, ირაკლი ძარია (ზესტაფონი)-2, გრიგოლ დოლიძე (ტორპედო)-2, ბესიკ დეკანოიძე (სპარტაკი)-2, ირაკლი ლილუაშვილი (დინამო)-1, ლაშა ვაშაკიძე (სიონი)-1, გიორგი სილაგავა (კოლხეთი)-1, ლაშა გვალია (კოლხეთი)-1, მერაბ გიგაური (ტორპედო)-1, თორნიკე თარხნიშვილი (ტორპედო)-1, დავით კირკიტაძე (სამტრედია)-1, ნიკა მგელაძე (სპარტაკი)-1, ლუკა რაზმაძე (ოლიმპი)-1, გიორგი კახელიშვილი (დინამო)-1, ნიკოლოზ მაისურაძე (სპარტაკი, ტორპედო)-1, მიხეილ ბარაბაძე (სპარტაკი)-1, გიორგი გავაშელიშვილი (კოლხეთი)-1, ლევან ბაკურაძე (სამტრედია, ტორპედო)-1, გიორგი ვასაძე (ვიტ ჯორჯია)-1, გიორგი კორიფაძე (ვიტ ჯორჯია)-1, ზურაბ არზიანი (დინამო)-1, გიორგი ცხადაია (სამტრედია)-1, ვაჟა ლომაშვილი (სამტრედია)-1, გიორგი ქუცურუა (სიონი)-1, ლევან ნურწუმია (ბაია)-1, გიორგი ჭანკოტაძე (ზესტაფონი)-1.

თავდამსხმელები

ნიკოლოზ გელაშვილი (ზესტაფონი)-13, ირაკლი მოდებაძე (ოლიმპი)-7, ირაკლი ქობალია (ბაია)-6, ჯაბა ლიპარტია (ვიტ ჯორჯია)-6, გიორგი მეგრელაძე (ბაია, ტორპედო)-5, რატი წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი)-5, ჯაბა დვალი (ზესტაფონი)-3, ვახტანგ კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია, ტორპედო)-3, რობერტინიო (დინამო)-3, დონალდ ჯუისი (დინამო)-3, ირაკლი ეხვაია (ბაია)-3, ზვიად მეტრეველი (დინამო, სპარტაკი)-2, გიგა კვერენჩხილაძე (სამტრედია, კოლხეთი)-2, ნიკოლოზ საბანაძე (ტორპედო)-2, გიორგი ბერიაშვილი (ოლიმპი)-2, რევაზ ჯიქია (კოლხეთი, სიონი)-2, დიმიტრი ტატანაშვილი (დინამო)-2, მიხეილ კაკალაძე (სამტრედია)-1, ლაშა კემუხტაშვილი (ტორპედო)-1, პაატა ბაკარანძე (სამტრედია)-1, ვილი ისიანი (სიონი)-1, მათე ვანაძე (დინამო)-1, რევაზ გოცირიძე (სიონი, ტორპედო)-1, ლევან მდივნიშვილი (კოლხეთი)-1, ლაშა ჯაკობია (სპარტაკი)-1.

თვის ნომინანტები

მწვრთნელები: გია გეგუჩაძე (ზესტაფონი)-4, კახა კაჭარავა (დინამო)-2, გია გიგატაძე (ტორპედო)-2, ბესიკ შეროზია (კოლხეთი-)-1, მერაბ კოჭლაშვილი (ვიტ ჯორჯია)-1.

მეკარეები: გიორგი ლორია (დინამო)-2, ომარ მიგინეიშვილი (ტორპედო)-2, სოსო გრიშიკაშვილი (სპარტაკი)-1, ლაშა ძაგანია (სამტრედია, კოლხეთი)-1, გიზო შენგელია (კოლხეთი)-1.

მცველები: თენგიზ ჩიკვილაძე (ტორპედო)-3, ლევან ხმალაძე (დინამო)-3, გულვერდ თომაშვილი (დინამო)-2, ნიკა კვეკვესკირი (ბაია, დინამო)-2, გიორგი რეხვიაშვილი (ოლიმპი)-2, ალექსანდრე კვახაძე (ოლიმპი)-2, გიგა ბეჭვაია (ვიტ ჯორჯია)-2, ზაალ ელიავა (ზესტაფონი)-1, კახა ალადაშვილი (ზესტაფონი)-1, გიორგი ონიანი (ზესტაფონი)-1, მამუკა კობახიძე (ზესტაფონი)-1, გივი კვარაცხელია (დინამო)-1, როინ ონიანი (ბაია)-1, ნიკა აფაქიძე (ბაია)-1, თეიმურაზ ფარულავა (ტორპედო)-1, მიხეილ მახვილაძე (კოლხეთი)-1, ალექსანდრე ინწკირველი (კოლხეთი)-1, დათა რიგვავა (ბაია)-1.

ნახევარმცველები: რევაზ გეწაძე (ოლიმპი)-4, ბუბა დაუშვილი (ზესტაფონი)-3, ალექსანდრე კოშკაძე (დინამო)-3, თორნიკე აფციაური (ზესტაფონი)-2, შოთა გრიგალაშვილი (ზესტაფონი)-2, ვალერი ბოლქვაძე (სპარტაკი)-2, გიორგი სეთურიძე (ტორპედო)-1, ირაკლი ძარია (ზესტაფონი)-1, გიორგი ჯანელიძე (ვიტ ჯორჯია)-1, ლუკა რაზმაძე (ოლიმპი)-1, დათა სიჭინავა (კოლხეთი)-1, ირაკლი კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია)-1, ირაკლი ლეკვთაძე (დინამო)-1, დავით მუჯირი (დინამო)-1, გიორგი ქავთარაძე (ოლიმპი)-1, თეიმურაზ შონია (სპარტაკი)-1, შოთა ჩომახიძე (სამტრედია)-1, დავით კირკიტაძე (სამტრედია)-1.

თავდამსხმელები: ნიკოლოზ გელაშვილი (ზესტაფონი)-4, ჯაბა ლიპარტია (ვიტ ჯორჯია)-2, ირაკლი ქობალია (ბაია)-2, გიორგი მეგრელაძე (ბაია, ტორპედო)-2, ირაკლი მოდებაძე (ოლიმპი)-1, ვახტანგ კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია, ტორპედო)-1, რატი წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი)-1, ვახტანგ ფანცხავა (დინამო)-1, ზვიად მეტრეველი (სპარტაკი)-1.

● მეორე ლიგა

აღმოსავლეთი

დუშეთი-ავაზა	3:2
ალგეთი-ერთობა	3:0
ზოოვეტი-მერანი	3:2
სასკო-იმედი	5:2
სტუ-თიანეთი-ივერია	7:3
35-ე სკოლა-სამცხე	0:3

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ზოოვეტი	26	17	6	3	62-24	57
2. სტუ-თიანეთი	26	17	3	6	74-36	54
3. სასკო	27	15	7	5	82-43	52
4. ივერია	26	16	2	8	54-33	50
5. გაგრა-2	25	15	4	6	55-21	49
6. ალგეთი	26	13	3	10	51-32	42
7. ავაზა	26	13	2	11	65-45	41
8. აგული	25	13	1	11	40-32	40
9. დუშეთი	26	10	9	7	54-41	39
10. გოლიადორი	26	11	4	11	43-39	37
11. იმედი	26	9	7	10	62-53	34
12. მერანი	26	8	4	14	36-46	28
13. 35-ე სკოლა	26	3	6	17	23-58	15
14. სამცხე	27	4	0	23	22-145	12
15. ერთობა	26	2	0	24	10-85	6

შენიშვნა: აღმოსავლეთ ზონაში 35-ე სკოლა და ერთობა მოხსნილია გათამაშებიდან. ყველა გუნდს მათთან გასამართ შეხვედრებში ჩაეთვლება ტექნიკური მოგება 3:0.

დასავლეთი, ა ზონა

გახმარო-მარგვეთი	1:1
საირმე-მართვე	1:0
მერცხალი-2– მერანი-2	0:5
ქუთაისი-დინამო-2	1:3
რაჭა-ჩიხურა-2	1:1
გურია-2-ბეთლემი	0:1

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ჩიხურა	22	17	5	0	80-15	56
2. სულორი	22	15	1	6	43-24	46
3. დინამო-2	23	13	7	3	46-20	46
4. მარგვეთი	22	12	3	7	46-32	39
5. გახმარო	22	10	7	5	32-32	37
6. ბეთლემი	22	11	3	8	38-30	36
7. მერანი-2	22	8	5	9	26-21	29
8. საირმე	22	8	4	10	20-30	28
9. გურია-2	23	8	3	12	32-44	27
10. რაჭა	22	6	3	13	32-49	21
11. ქუთაისი	22	6	3	13	29-51	21
12. მერანი-2	22	1	7	14	23-69	10
13. მართვე	22	2	3	17	16-46	9

● ინგლისური ამბები

ჩელსი არ გამაგონოთო

პირადად **რომან აბრამოვიჩმაც** რომ მთხოვოს, „ჩელსიში" ცოცხალი თავით არ დაგბრუნდებიო, ამბობს „ლურჯების" მწვრთნელის ყოფილი ასისტენტი, **რეი უილკინსი**. მოგეხსენებათ, სეზონის დამთავრების შემდეგ, დასავლეთლონდონელთა მეპატრონემ მწვრთნელი **კარლო ანჩელოტიც** გააგდო. მის შემცვლელს ჯერ კონკრეტულად ვერ ასახელებენ, თუმცა ცნობილია, რომ აბრამოვიჩს ყველაზე მეტად **გუს ჰიდინკის** მიყვანა უნდა. ხალხი კი, ამასობაში, ნოემბერში გაშვებული უილკინსის დაბრუნებასაც ითხოვს.

თუმცა, უილკინსს საკუთარი პოზიცია აქვს: *„ამ კლუბთან ჩემი ურთიერთობა დასრულებულია. როდესაც ადამიანი საქმეში იმდენ ფულს ჩადებს, რამდენიც აბრამოვიჩმა „ჩელსიში" ჩადო, უფლება აქვს, რაც უნდა, ის გააკეთოს. „სტემფორდ ბრიჯზე" ჩემი ყოფნა აღარ უნდოდა? აღარც ვარ „ჩელსის" თანამშრომელი. მე კლუბიდან გამაგდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მორჩა და გათავდა, ჩემი ცხოვრების ამ ეპიზოდს მტვერი მიეყარა. არ გახლავართ ის ადამიანი, რომელიც იტყვის, ყველაფრის მიუხედავად იქ ყოფნა მინდოდა და დაბრუნდება".*

54 წლის რეი უილკინსი ის კაცია, ვინც ფეხბურთელობაში „ჩელსის" ექვსი წელიწადი ემსახურა. ინგლისის ნაკრების ყოფილმა მოთამაშემ (83 თამაში, 3 გოლი), რომელიც „უემბლიზე" „ნივეას" სარეკლამო ღონისძიებაზე გამოჩნდა, თქვა, რომ მისი აზრით, აბრამოვიჩის მხრიდან ანჩელოტის გაგდებაც უდიდესი შეცდომა იყო. ყოფილმა ნახევარმცველმა, რომლის კარიერაც მთელი 26 წელიწადი გაგრძელდა, თქვა:

„ფანებს კარლო ძალიან უყვარდათ. ახლა ყველა იმას მარჩიელობს, ვინ მივა მის ადგილზე, მაგრამ, ძალიან მაინტერესებს, ვინც არ უნდა იყოს, კარლოზე უკეთესი როგორ იქნება. მე, პირადად, დარწმუნებული ვარ, რომ კარლოზე უკეთესს ვერ მიიყვანენ.

გუს ჰიდინკი? რატომაც არა, კარგი ვარიანტია. მე მასთან ერთად სამი თუ ოთხი თვე ვიმუშავე, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ თურქეთის ნაკრებს თავს დაანებებს და „ჩელსიში" წამოვა. ის ბუნებით ერთგული ადამიანია და თუ თურქები ეტყვიან, რომ მათ სჭირდებათ, ბოლომდე გვერდში დაუდგება".



კარლოს ტევესი

ტევესმა ქალბატონი იუარა

არგენტინელმა თავდამსხმელმა, 27 წლის **კარლოს ტევესმა**, „იუვენტუსში" გადასვლაზე უარი განაცხადა, რასაც „მანჩესტერ სიტის" ქომაგები სიხარულით შეხვდნენ. ტურინული კლუბის წარმომადგენლები მანჩესტერში „მანჩესტერ იუნაიტედის" ვეტერანის, **გარი ნევილის** გამოსათხოვარ მატჩზე იყვნენ დაპატიჟებულნი და ბარემ ფორვარდის აგენტებთან საქმის გაჩარხვაც სცადეს. ინგლისურმა პრესამ შეიტყო, რომ „ბებერი ქალბატონი" ტევესს წელიწადში, დაახლოებით, 20 მილიონ ფუნტს და ზედაც პრემიებს ჰპირდებოდა. იტალიური კლუბის გენერალურმა მენეჯერმა **ჯუზეპე მაროტამ** თქვა:

„საფუძველი უკვე ჩავყარეთ. ახლა საუკეთესო ფეხბურთელები უნდა შევიძინოთ, რათა ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის სახელი დავიბრუნოთ. ეს იმას ნიშნავს, რომ სასურველ ვარსკვლავებს ისეთი წინადადებებით უნდა მივმართოთ, უარის თქმა ძნელი იყოს".

თუმცა, ტევესმა სწორედაც რომ უარი თქვა. არადა, „ბებერ ქალბატონს" ინგლისიდან ფეხბურთელების მიწვევის დიდი ტრადიცია აქვს: **ლაიამ ბრეიდი**, **დევიდ პლატი**, **იან რაში** თუ **ჯონ ჩარლზი** ბრიტანეთის კუნძულებიდან გახლდნენ მიწვეულნი. ტევესის საქციელი კი... ნეტავ, იმას თუ ნიშნავს, რომ არგენტინელი ისტლენდიდან წასვლას აღარ აპირებს და მომავალი სეზონიდან გუნდს ჩემპიონთა ლიგაში უნდა უკაპიტნოს? თუ ასეა, მაშინ მწვრთნელი, **რობერტო მანჩინი** უბედნიერესი ადამიანი იქნება. მოგეხსენებათ, ის ამ დღეებში აბუ დაბიში გაემართა, რათა კლუბის მეპატრონე **შეიხ მანსურთან** სატრანსფერო გეგმებზე ელაპარაკა. პრესაში დაიწერა, რომ შეიხ მანსურს ტევესის აგენტ **კია ჯურაბჩიანთან** კარგი ურთიერთობა აქვს და იქნებ ამანაც ითამაშოს ფეხბურთელის დარჩენაში როლი.

დღეს თავად ტევესი არგენტინაშია, სადაც ყოფილ მეუღლეს შვილებთან ურთიერთობის დალაგების ამბავს უთანხმებს. მას ბავშვების ხშირად ნახვა სურს.

პრემიერლიგა რიცხვებში

შესანიშნავი რამ არის სტატისტიკა - ნათლად ამბობს, ვინ ვის რითი სჯობს. აი, მაგალითად, კითხვაზე, ვინ არის პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირი, სტატისტიკა ასე პასუხობს: „არსენალის" ჰოლანდიელ ფორვარდ, 27 წლის **რობინ ვან პერსის** გასული სეზონის განმავლობაში, ყოველ 98,2 წუთში თითო გოლი გაჰქონდა, რითაც ყველას სჯობდა — ეს OPTA-ს მონაცემები გახლავთ.OPTA სპორტული მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის კომპანია გახლავთ, რომელიც ლონდონში, მიუნხენში, მილანსა და მადრიდში მოღვაწეობს. მისი კლიენტები არიან ფეხბურთის კლუბები, ტოტალიზატორები, გაზეთები, ტელეარხები — ყველა, ვისაც დამუშავებული მონაცემები სჭირდება.

და რა არის საჭირო იმისათვის, რომ თავდამსხმელმა გოლი გაიტანოს? რასაკვირველია, პასი. ამ საქმეში კი 2010-11 წლების სეზონში ყველას „ევერტონის" 26 წლის მარცხენა მცველმა **ლეიტონ ბეინესმა** აჯობა. მან მეტოქეთა საჯარიმოში 249-ჯერ ჩაჰკიდა თავისი ფრთიდან. ამ კომპონენტში ბეინესმა „ასტონ ვილაში" იმავე პოზიციაზე მოთამაშე, თანატოლ **სტიუარტ დაუნინგს** აჯობა - დაუნინგმა 243 ჩანოდება შეასრულა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბეინესმა პრემიერლიგის 38 შეხვედრის ერთი წუთიც კი არ გამოტოვა — სულ მოედანზე იყო. ამიტომაც სურს მისი შეძენა „არსენალის" მწვრთნელ **არსენ ვენგერს**.

24 წლის პორტუგალიელი ნახევარმცველი **ნანი** თანაგუნდელებმა „მანჩესტერ იუნაიტედის" საუკეთესო მოთამაშედ აირჩიეს. მიზეზი? სტატისტიკა მეტყველებს, რომ მან, სეზონის განმავლობაში, ყველაზე მეტი საგოლე პასი შეასრულა. ხაზს ვუსვამთ, აქ არ არის ლაპარაკი მარტო ბურთის ჩაკიდებაზე, გამჭოლ პასზე თუ რბილ დაგორებაზე, ამ შემთხვევაში ყველაფერს ერთად ვგულისხმობთ. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ნანის პასით მანჩესტერელებმა 14 გოლი შეაგდეს, სხვა გუნდების მოთამაშეებმა კი ამდენი ვერ შეძლეს.

ნანის, მოგეხსენებათ, დრიბლინგიც უვარგა — იხელთებს ხოლმე ბურთს და ჯიქურ მიიწევს მეტოქის მცველებისკენ, მაგრამ ამაში „უიგანში" მოთამაშეს, 24 წლის ფრანგ გარემარბ **შარლ ნ'ზოგბიას** ვერ სჯობია. ნ'ზოგბიამ სეზონის მანძილზე 301 გარღვევა შეასრულა. მეორე ადგილზე გასულმა, 27 წლის არგენტინელმა **ხონას გუტიერესმა**, რომელიც „ნიუკასლ იუნაიტედში" გამოდის, მეტოქეთა იმავე ხერხით დანიოკება მხოლოდ 219-ჯერ შეძლო.

ახლა მცველებსაც გადავხედოთ. ლოგიკურია, რომ ყველაზე დაკავებული მცველი სუსტ გუნდებში უნდა ვეძებოთ, რადგან სუსტ გუნდებს უფრო ხშირად უტევენ, ვიდრე ისინი თავად უტევენ. შესაბამისად, თუ სუსტი გუნდის რომელიმე მცველმა თავი გამოიჩინა, უნდა ვივარაუდოდ, რომ საუკეთესოც ის იქნებოდა. ჩავხედოთ სტატისტიკას: საკუთარი კარის მიდამოები ყველაზე ხშირად „ბლექპულის" ფეხბურთელმა, 29 წლის **იან ივეტმა** „გაწმინდა". მან საჯარიმოდან ბურთი 430-ჯერ გააგდო.



რობინ ვან პერსი

და „ცუდი ბიჭების" ამბავი არ გაინტერესებთ? ზოგს ვინ მიაჩნია უხეშ ფეხბურთელად და ზოგს ვინ, თუმცა, ხშირად, ეს შეიძლება მხოლოდ განწყობისმიერი შეხედულება იყოს, სტატისტიკა კი პირუთვნელია: ბოლო რვა სეზონიდან შვიდში ყველაზე მეტჯერ ბოლტინელი **კევინ დევისი** დაჯარიმდა. გასულ სეზონში 34 წლის... თავდამსხმელს (!) 123-ჯერ გააჩერებინეს თამაში, რადგან მან წესი დაარღვია. ცნობისათვის: ეს შედეგი სარეკორდოა. ყოველ შემთხვევაში, რაცOPTA კვლევებს ატარებს, ამდენჯერ მსაჯებს არავის წინააღმდეგ დაუსტვენიათ.

და „კარგი ბიჭი" ვინლაა? ის „ლივერპულის" ბრაზილიელი ნახევარმცველი, 24 წლის **ლუკას ლეივა** გახლავთ. ის 111-ჯერ მივარდა მოწინააღმდეგეს ისე, რომ წესი არ დაურღვევია და ბურთიც მოიპოვა.

კითხვაზე, ვინ წააქციეს გასულ სეზონში ყველაზე ხშირად, სწორი პასუხი ასეთია: „ასტონ ვილას" 25 წლის გარემარბი **ეშლი იანგი**. მას 96-ჯერ „ერჩოდნენ". აი, მის თანაგუნდელ **დარენ ბენტს** კი ოფსაიდის შეგრძნება არ აქვს — 27 წლის ფორვარდი 67-ჯერ ჩარჩა თამაშს გარეთ. თან, მისი მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება მეორე ადგილზე გასული **პიტერ ოდემვინგეს** მაჩვენებელს. 29 წლის ტაშკენტელ (დედა რუსი ჰყავს) ნიგერიელს, რომელიც „ვესტ ბრომვიჩში" თამაშობს, 47-ჯერ უმტყუნა სივრცის შეგრძნებამ.

აი, „ფულჰემის" 31 წლის შემტევმა ნახევარმცველმა **სტიდ მოლბრანკმა** კი სეზონის მანძილზე 44-ჯერ დაარტყა კარში, მაგრამ გოლი ერთხელაც ვერ შეაგდო.

ჰარიო?

ვილაცამ თქვა, **ჰარი რედნაპი** შეიძლება „ტოტენჰემ ჰოთსპურიდან" წავიდესო და ინგლისურ ტოტალიზატორებში ერთი ამბავი ატყდა — კოეფიციენტი, რომ ის „ჩელსის" მომავალი მწვრთნელი გახდება, უცბად შემცირდა. საიდან აღარ შევიდა ფსონები. „სანი" წერს, რომ მავანმა სამხრეთ აფრიკელმაც კი დადო გვარიანი თანხა — ეს კაცი, თურმე, სწორედ რედნაპის „ჩელსიში" მისვლას წინასწარმეტყველებს. ასეთი არეულობა კი, ბუნებრივია, ტოტალიზატორებს დააფრთხობდა და კოეფიციენტს შეამცირებინებდა.

ერთ-ერთი ინგლისური ტოტალიზატორის პრეს-წარმომადგენელმა განაცხადა: *„კვამლი ცეცხლის გარეშე არ არსებობს. რედნაპისა და „ჩელსის" გარშემო ისეთი ამბავი ატყდა, რომ შესაძლოა, მართლაც ხდება რამე".*

ჟურნალისტებმა, რასაკვირველია, თავად რედნაპსაც მიაკითხეს. „სფურზის" თავკაცმა უპასუხა:

„არაფერი ვიცი იმის შესახებ, რასაც ახლა მეუბნებით".

ჰარი რედნაპი

უხ, ეს ცოლები...

კოლოტურეს ორგანიზმში დოპინგი რომ აღმოუჩინეს, ძველი ამბავია, ახლა კი გაირკვა, რომ კოტ დ'ივუარელი ვარსკვლავი ექვსთვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს, რაც იმას ნიშნავს, რომ სექტემბერში ის მოედანზე დაბრუნდება. შეგახსენებთ: ტურე დოპინგ-კონტროლის ბრიგადამ თებერვალში, მანჩესტერული დერბის შემდეგ შეამოწმა.

არ გაინტერესებთ, რატომ აღმოჩნდა 30 წლის აფრიკელის სხეულში აკრძალული ნივთიერება? მეუღლეს რაღაც დიეტური აბი მიუცია. ხუთშაბათს, ლონდონში გამართულ საქმის გარჩევაზე ტურემ აბის ამბავი აღიარა, თუმცა დასძინა, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ აკრძალული ნივთიერება განზრახ არ მიმიღია და სასჯელი შემიმსუბუქოთო. აღსანიშნავია, რომ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის საგანგებო კომისიამ წაიკითხა „სიტის" თავკაც **არსენ ვენგერისა** და ტურეს წინა მწვრთნელის, „არსენალის" შეფის, **არსენ ვენგერის** მიერ დაწერილი დახასიათებებიც ყველაფრის გათვალისწინებით ნახევარწლიანი დისკვალიფიკაცია ბრძანა.

კი მაგრამ, განა ვერდიქტის გამოტანიდან ექვსი თვე სექტემბერში გადის? — იკითხავს ვინმე. საქმე ის გახლავთ, რომ ტურეს დისკვალიფიკაცია დოპინგის ამბის გამომჟღავნებისთანავე მიუსაჯეს, ეს კი მარტში მოხდა. შესაბამისად, მომავალ სეზონში მას მხოლოდ და მხოლოდ არასრული თვის გაცდენა მოუწევს. ფეხბურთის ასოციაციამ საქმესთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადებაც გამოაქვეყნა:

„ტურეს დანაშაული ის გახლავთ, რომ აბის მიღების წინ სიფრთხილე არ გამოიჩინა და არ შეისწავლა ის რა ნივთიერებებს შეიცავდა. პროფესიონალი ფეხბურთელი, საქმიანობიდან გამომდინარე, ვალდებულია გაცილებით მეტი დაკვირვებით მოეპყრას მედიკამენტებს".

კიდევ, ფეხბურთის ასოციაციამ განაცხადა, რომ ამიერიდან, ორი წლის განმავლობაში, კოლო ტურე დოპინგკონტროლის ლაბორატორიების მხრიდან საგანგებო ყურადღების ქვეშ მოექცევა. რამდენადაც ცნობილია, კომისიის ასეთი დადგენილებით „მანჩესტერ სიტის" ხელმძღვანელები უკმაყოფილონი არ დარჩენილან. შეგახსენებთ, რომ კანონის თანახმად, მაქსიმალური სასჯელი შესაძლოა ორი წელიწადი ყოფილიყო.

ტურემ თქვა: *„გასული გაზაფხული ჩემთვის მძიმე იყო. ძალიან ვწუხვარ, მონაწილეობა რომ ვერ მივიღე ასოციაციის თასის მოგებასა და პრემიერლიგის წარმატებულ შეხვედრებში, თუმცა როდესაც გავიგე, რომ სექტემბრიდან მოედანზე დავბრუნდები, გულს მომეშვა. დიდი მადლობა ფეხბურთის ასოციაციის საგანგებო კომისიას, ჩემს არგუმენტებს რომ მოუსმინა და გაითვალისწინა".*

პირში მთქმელი პირსი

ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი **სტიუარტ პირსი** „არსენალის" მწვრთნელ **არსენ ვენგერზე** გაბრაზდა. მოგეხსენებათ, ვენგერის დაჟინების შედეგად პირსმა 19 წლის ნახევარმცველი **ჯეკ უილშირი** დანიაში დანიშნულ ევროპის ჩემპიონატზე ვერ წაიყვანა.

პირსმა რიტორიკული შეკითხვა დასვა: კი მაგრამ, თუ ვენგერი უილშირის ჯანმრთელობას ასე უფრთხილდებოდა და ეჭვი ჰქონდა, რომ გადაღლის გამო ფეხბურთელი შეიძლებოდა დაშავებულიყო, თავად რატომ ათამაშებდა პრემიერლიგის შეხვედრებში?

„ბოლო ექვსი კვირის განმავლობაში „არსენალმა" ბიჭი ერთი წამით არ დაასვენა, არადა, უილშირის პარამეტრები მეტყველებდა, რომ მოთამაშის ორგანიზმი გადაღლილი იყო და ეს ყველაფერი შეიძლებოდა დღე დღეზე ტრავმით დასრულებულიყო".

პირსის აღშფოთება გასაკვირი არც არის. მას ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე „მანჩესტერ სიტის" მცველი **მიკა რიჩარდსიც** დაუშავდა — რიჩარდსმა ორთავა კუნთი იტკინა და ევროპის ჩემპიონატზე ვერ წავა.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

უცხოური ფეხბურთი

● ლიგა 1. XXXVIII ტურის წინ

თითქმის უფუნქციო ტური

ჩრდილოეთ საფრანგეთი ტრიუმფატორების მოლოდინში

ხვალ	
23:00	არლი-სოშო
23:00	ბორდო-მონპელიე
23:00	ბრესტი-ტულუზი
23:00	კაენი-მარსელი
23:00	ლილი-რენი
23:00	ლორიანი-ოსერი
23:00	მონაკო-ლიონი
23:00	ნანსი-ლანსი
23:00	სენტ ეტიენი-პსჟ
23:00	ვალანსიენი-ნიცა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ლილი	37	20	13	4	65-34	73
2. მარსელი	37	18	13	6	60-37	67
3. ლიონი	37	16	13	8	59-40	61
4. პსჟ	37	15	14	8	55-40	59
5. რენი	37	15	11	11	36-32	56
6. სოშო	37	16	7	14	57-42	55
7. ლორიანი	37	12	13	12	45-46	49
8. სტ. ეტიენი	37	12	12	13	45-46	48
9. ბორდო	37	11	15	11	41-42	48
10. ტულუზი	37	13	8	16	36-36	47
11. მონპელიე	37	12	11	14	32-41	47
12. ოსერი	37	9	19	9	43-40	46
13. ბრესტი	37	11	13	13	36-41	46
14. ნიცა	37	11	13	13	32-46	46
15. ვალანსიენი	37	9	18	10	43-40	45
16. კაენი	37	11	12	14	44-49	45
17. ნანსი	37	12	9	16	39-48	45
18. მონაკო	37	9	17	11	36-38	44
19. ლანსი	37	7	14	16	35-54	35
20. არლი	37	3	11	23	20-67	20

18-ათასიანი "ლილ მეტროპოლი" ფრანგული ფეხბურთის წლის უმთავრეს გმირებს მასპინძლობს. ჯერ კიდევ იქამდე, ვიდრე "ძაღლები" საფრანგეთის თასსა და შემდგომ ჩემპიონობას მოიპოვებდნენ, ცნობილი გახდა, რომ ჩრდილოფრანგული ქალაქის არენაზე ბოლო ტურის მატჩის ყველა ბილეთი უკვე გაყიდული იყო. ახლა წარმოიდგინეთ იმ გულშემატკივრის მოლოდინი, ვინც თამაშზე დასწრების უფლება ერთი თვის წინ მოიპოვა და მას მერე ამ დღეს ელოდება. ორმაგი ტრიუმფატორების დასახვედრად მხოლოდ სტადიონი კი არა, მთელი ქალაქი ემზადება. გარდა გუნდური ტრიუმფისა, "ლილის" მწვრთნელ-ფეხბურთელებმა ინდივიდუალურადაც შეძლეს თავის გამოჩენა. 20 წლის **ედენ აზარი** ლიგა 1-ისა და ლიგა 2-ის მწვრთნელთა და კაპიტანთა გამოკითხვამ ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა, ხოლო **რუდი გარსია** – საუკეთესო მწვრთნელად. ლიგის სპეციალურმა ტექნიკურმა კომისიამ **ჟურვინო, მუსა სოვი** და **ადილ რამი** ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა (ბუნებრივია, იქვეა ედენ აზარიც).

ამ წყვილის დაპირისპირება საინტერესო იმითია, რომ სწორედ "ლილსა" (34) და "რენს" (32) აქვთ გაშვებული ყველაზე ცოტა გოლი წლევანდელ სეზონში. თუმცა ჩემპიონებს მეტოქისგან განსხვავებით თავდასხმაში ყველაფერი რიგზე აქვთ, მათ "რენზე" 29 გოლით მეტი აქვთ გატანილი (65 36-ის წინააღმდეგ). ისიც აღსანიშნავია, რომ ბრეტონელთა დაცვა ამ ბოლო დროს ძალიან შესუსტდა, ისინი უკვე დიდი ხანია ვეღარ ახერხებენ კარის მშრალად შენახვას – მათ ბოლო 11-დან 9 შეხვედრაში ერთი გოლი მაინც გაუშვეს და ამ წესიდან გამონაკლის მატჩებშიც 0:0 ითამაშეს. "ფრანს ფუტბოლთან" ინტერვიუსას **ადილ რამიმ** სწორედ იმას გაუსვა ხაზი, რომ მის გუნდს ერთადერთი მიზანი აქვს ამ შეხვედრაში, მოახერხონ ისე, რომ საფინალო სასტვენის შემდეგ სწორედ "ლილს" ჰქონდეს საუკეთესო დაცვა ლიგა 1-ში. ამისთვის **მუსა სოვსა** და **ტულიო დე მელოს** 3 გოლის გატანა მართებთ, რაც სრულიად არ არის გადაუჭრელი ამოცანა. სოვს "რენთან" თავისი ანგარიშები აქვს. მოგეხსენებათ, სენეგალელი "რენში" თამაშობდა, მაგრამ იქ მას სათანადოდ არ ენდობოდნენ.

ლევან ბიბილაშვილი

● სკანდალი

დაუბრუნეთ საათები!

ადამიანმა უფლებადამცველი საერთაშორისო ორგანიზაცია "ჰუმან რაითს ვოტჩის" საფრანგეთის ბიუროს ხელმძღვანელმა **ჟან-მარი ფორდომ** სპეციალური მიმართვა გამოაქვეყნა მისი თანამემამულე ფეხბურთელების მიმართ. ლაპარაკია იმ ვეტერან სპორტსმენებზე, რომლებიც ცოტა ხნის წინ გრროზნოში ახალი სტადიონის გახსნის ცერემონიალს დაესწრნენ და ჩეჩნეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურ **რამზან კადიროვისგან,** რესპუბლიკის მილიციის სახელით საჩუქრად ბრილიანტის თვლებით მოოჭვილი უძვირფასესი საათები მიიღეს. აი, რა წერია ამ მიმართვაში:

"ბატონებს, ამოროს, ბარტეზსა და პაპენს! აშკარაა, რომ ჩეჩნეთში ვიზიტამდე თქვენ არ შეუნუხებიხართ არავითარ ეთიკურ პრობლემას. თუმცა "კანალ+-ის" სიუჟეტში კარგად გამოჩნდა ჩეჩნეთში დამყარებული ავტორიტარული რეჟიმის ნამდვილი სახე. თუნდაც ხუმრობით, მაგრამ სტუმრებს განუცხადეს, რომ თუკი კადიროვის გუნდი წააგებდა, მათ რესპუბლიკიდან ფეხს არ გაადგმევინებდნენ. არ ვიცი, კადიროვის რეჟიმის შესახებ შეიძლება "ვიკიპედიაში" ნაიკითხეთ სტატია, მაგრამ არ იქნებოდა ცუდი, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები რას წერენ ჩეჩნეთზე, ესეც ნაგეკითხათ. იქნება ეს "ჰუმან რაითს ვოტჩი", "საერთაშორისო ამნისტია" თუ "რეპორტიორები საზღვრებს გარეშე". ისინი მუდამ იმას უსვამენ ხაზს, რომ ამ რესპუბლიკაში ძალიან ხშირია ადამიანების გატაცება და წამება, უფლებადამცველებზე ზეწოლა და ასე შემდეგ.

თქვენი მხრიდან გადაწყვეტილება, გამგზავრებულიყავით ჩეჩნეთში, იყო უღირსი საქციელი, რადგან წამითაც კი არ დაფიქრებულხართ ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე ამ რეგიონში. უკან დაბრუნებისას კი ჩეჩნეთის მეთაურისგან საჩუქრად უძვირფასესი საათები მიიღეთ. მე მხოლოდ თქვენ იმიტომ მოგმართავთ, რომ თქვენ საფრანგეთის მოქალაქეები ხართ და სულაც არ მგონია, რომ თქვენმა არგენტინელმა, იტალიელმა, ინგლისელმა და ჩილელმა მეგობრებმა უკეთესი საქციელი ჩაიდინეს. თქვენ მონაწილეობა მიიღეთ ღონისძიებაში, რომელსაც საერთო არაფერი აქვს სპორტთან და მხოლოდ ერთი მიზანი აქვს – ჩეჩნეთის ლიდერის პოპულარიზაცია. იმისთვის, რომ თქვენი ღირსება აღადგინოთ, ბატონებო, თქვენ ახლავე მოგინევთ დაუბრუნოთ პრეზიდენტ კადიროვს ეს საათები, ხოლო ის თანხა, რომელიც ფეხბურთისთვის მიიღეთ, გადარიცხოთ იმ უფლებადამცველი ორგანიზაციების ანგარიშებზე, რომლებიც ჩეჩნეთში მუშაობენ. მარტში ანალოგიურ ღონისძიებაზე გროზნოში რონალდო, ბებეტო და რაი იმყოფებოდნენ. ამ სამეულიდან მხოლოდ რაიმ აღიარა, რომ ნანობს მის მიერ გადადგმულ ნაბიჯს და ამიერიდან ჩეჩნეთსა და ზოგადად რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს ყურადღებით დააკვირდება".

აღნიშნული წერილი გაზეთმა "ლე მონდმა" გამოაქვეყნა.

ლევან ბიბილაშვილი

● სერია A

ერთიანი ბირჟა

სეზონის 5 იმედგასაცრუება

სერია A-ს 2010/2011 წლების სეზონი ძალიან საინტერესოდ წარიმართა, რომელსაც ჰყავდა თავისი გმირები და ანტიგმირები. ბევრმა სასიამოვნოდ გაგვაოცა, ეს ცალკეულ ფეხბურთელებზეც შეიძლება ითქვას და გუნდებზეც, თუმცა დღეს მათზე უნდა შევაჩეროთ თქვენი ყურადღება, რომლებისგანაც მეტს ველოდით, მაგრამ განსაკუთრებული ვერაფერი ვიხილეთ. ჩამონათვალი კიდევ უფრო დიდი შეიძლებოდა ყოფილიყო და კანდიდატები უხვად იყვნენ, მაგრამ ვარჩიეთ 5 მთავარი იმედგაცრუება გამოგვეყო. დანარჩენს ქვემოთ შეიტყობთ...

5. ფიორენტინა

„ფიორენტინას" იტალიაში და არა მარტო, უამრავი გულშემატკივარი ჰყავს - გამომდინარე აქედან, ფლორენციელი გუნდისგან ყოველთვის მაღალი მიზნებისთვის ბრძოლას ელიან. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2010/2011 წლების სეზონი „ვიოლასთვის" წარუმატებელი გამოვიდა. ულიმღამო, არასტაბილური თამაში, რომლის შედეგი მეცხრე ადგილია სატურნირო ცხრილში და ევროტურნირებს მიღმა დარჩენა.

ექსპერტთა უმეტესობა დამნაშავედ გუნდის მთავარ მწვრთნელს, **სინიშა მიხაილოვიჩს** მიიჩნევს, რომელმაც ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს დაუშვა შეცდომები და შედეგიც შესაბამისი მოიმკო. როდესაც გაცხადდა, რომ **სტევან იოვეტიჩის** სახით, „ვიოლას" უდიდესი ძალა გამოაკლდა, გულშემატკივრებმა ღირსეული შემცვლელის პოვნა მოითხოვეს, თუმცა კლუბის მესვეურები მთავარი მწვრთნელის პოზიციას ამოეფარნენ და განაცხადეს, რომ ახალი შემტევის საჭიროება არ იყო. მაშინ მიხაილოვიჩი კლუბის ბიუჯეტს გაუფრთხილდა,

დელ ნერომ იუვეს ხელი დაუქნია

მესვეურთა გული მოიგო და საბოლოო ჯამში, ეს გუნდის შედეგებზე უარყოფითად აისახა.

მიუხედავად ამისა, სერბი სპეციალისტი რჩება დაკავებულ პოსტზე და თუ რაიმე გაუგებრობა არ მოხდა, მომდევნო სეზონშიც უთავკაცებს „ფიორენტინას".

4. დიეგო მილიტო

2009/2010 წლების სეზონის „ინტერის" ტრიუმფში **დიეგო მილიტომ** უდიდესი წვლილი შეიტანა და ალბათ უფრო მეტი, ვიდრე „ინტერის" სხვა თავდამსხმელებმა, თუნდაც **სამუელ ეტოომ**. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არგენტინელმა ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიტანა ორი გოლი და შეხვედრის უდავო გმირად იქცა. გამომდინარე აქედან, მილიტოსგან ამ სეზონშიც ანალოგიურ გმირობებს ელოდნენ, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. დიეგო ჩრდილში მოექცა და ლიდერის როლი სამუელ ეტოომ იკისრა.

მილიტო ტრავმებმა გატანჯეს და ეს ნამდვილად შემამსუბუქებელი გარემოებაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, სეზონის ერთ-ერთ იმედგაცრუებად უნდა მივიჩნიოთ. არგენტინელისთვის იმდენად ცუდად წარიმართა სეზონი, რომ მისი „ჯენოაში" დაბრუნების შესახებ გავრცელდა ცნობები, თუმცა თავად ფეხბურთელმა მოვლენათა ასეთი განვითარება კატეგორიულად გამორიცხა. ანუ, მილიტო „ინტერში" რჩება და ვნახოთ, როგორ გაირჯება მომდევნო სეზონში.

3. რაფაელ ბენიტესი

მას შემდეგ, რაც **ჟოზე მოურინიოს** მადრიდში გადაბარგების შესახებ გაცხადდა, **მასიმო მორატი** აქტიურად შეუდგა პორტუგალიელი სპეციალისტის შემცვლელის ძიებას და არჩევანი **რაფაელ ბენიტესზე** შეაჩერა. ესპანელი იქამდე „ლივერპულს" თავკაცობდა და გუნდი ორჯერ გაიყვანა ჩემპიონთა ლიგის ფინალში - შესაბამისად, გამარჯვებული მენტალიტეტის მქონე მწვრთნელის სახელი ჰქონდა დაგდებული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ რაფას მილანში ჩასვლას საფეხბურთო იტალია ოპტიმისტურად შეხვდა და მორატის გადაწყვეტილებაც ყველამ ერთხმად მოიწონა.

ვერ გეტყვით, რა დაემართა ბენიტესს, მაგრამ „ინტერის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე რომ სრული კრახი განიცადა, ყველას კარგად მოგეხსენებათ. ესპანელის ხელში „ნერაძურიმ" დაკარგა ყველაფერი, რაც ჟოზე მოურინიოს პერიოდში ჰქონდა და გუნდი ღრმა კრიზისში ჩაეფლო. არადა, რაფას იტალიაში აქვს სამწვრთნელო განათლება მიღებული და ჯერ კიდევ ესპანეთში მუშაობის დროს ამბობდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად მოსინჯავდა ძალებს აპენინებზე, რადგან მისთვის ყველაზე ორგანული სწორედ იტალიური საფეხბურთო კულტურა იყო. დიახ, შესაძლოა უკვე იყო, რადგან ბენიტესი კალჩოს ნამდვილად ვერ შეეწყო.

2. სამპდორია

გუნდმა, რომელმაც გასულ სეზონში ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზური მოიპოვა, წელს სრული კრახი განიცადა და სერია B-ში დაქვეითდა. ამას არავინ ელოდა და შესაბამისად, „სამპდორია" სეზონის ერთ-ერთ უმთავრეს იმედგაცრუებად უნდა მივიჩნიოთ. ექსპერტები და ჟურნალისტები დიდი ხანია საუბრობენ იმის შესახებ, რომ ასეთი წარუმატებლობა კლუბის მესვეურთა არასწორმა საკადრო პოლიტიკამ განაპირობა.

კრიტიკის მთავარი ობიექტი პრეზიდენტი **რიკარდო ჯორნე** გახლავთ, რომელმაც შუა სეზონში გუნდის ორი წამყვანი ფეხბურთელი გაასხვისა და ფაქტობრივად, თავდასხმის გარეშე დარჩა. **ანტონიო კასანოს** და **ჯამპაოლო პაცინის** შეცვლა ვერც **ნიკოლა პოციმ, მასიმო მაკარონემ, ჯონათან ბიაბიანმა** და **ფედერიკო მაკედამ** მოახერხეს. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან კასანო-პაცინის ტანდემი ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ ევროპის მასშტაბით. სეზონის მეორე ნახევარი „სამპდორიამ" კოშმარულად ჩაატარა, გუნდს საშინლად უჭირდა გოლის გატანა და შესაბამისად, ქულების მოგროვება. ბოლო აკორდი საკუთარ მოედანზე „პალერმოსთან" განცდილი მარცხი იყო, რის შემდეგაც „სტადიო მარასიზე" სამგლოვიარო განწყობამ დაისადგურა - ყველაზე ამაღელვებელი კი **ანჯელო პალომბოს** საქციელი გახლდათ, როდესაც ოთხივე ტრიბუნასთან თვალცრემლიანმა მიირბინა და გულშემატკივრებს პატიება სთხოვა.

1. იუვენტუსი

ახალი სპორტული დირექტორი, ახალი მთავარი მწვრთნელი, ახალი ფეხბურთელები და იმედი იმის, რომ „იუვენტუსი" დაიბრუნებდა ადგილს იტალიური, შემდეგ კი ევროპული ფეხბურთის მწვერვალზე, არ გამართლდა. „იუვემ" არა თუ მწვერვალები დაიპყრო, ჩემპიონთა ლიგის საგზურიც კი ვერ მოიპოვა. თუმცა, რომელ ჩემპიონთა ლიგაზეა ლაპარაკი, როდესაც „ბიანკონერი" საერთოდ ევროტურნირებს მიღმა დარჩა.

ტურინელთა წარუმატებლობაში მეტწილად ორ ადამიანს: **ჯუზეპე მაროტას** და **ლუიჯი დელ ნერის** ადანაშაულებენ. პირველმა არასწორი ტრანსფერები გაჩარხა, ხოლო მეორემ გუნდი ვერ დააყენა და დადებითი შედეგი ვერ დადო. არადა, სწორედ მათ გაიყვანეს შარშან „სამპდორია" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე და ამადაც დაიმსახურეს „იუვეში" მუშაობის პატივი. დღევანდელი გადასახედიდან, ნამდვილად ჯობდა, რომ გენუაში დარჩენილიყვნენ - ასეთ შემთხვევაში ალბათ არც „სამპდორია" დატოვებდა ელიტარულ დივიზიონს და არც „იუვენტუსი" დარჩებოდა ევროტურნირებს მიღმა. სხვათა შორის, თუ კალჩოპოლის ცნობილ მოვლენებს არ ჩავთვლით, ეს პირველი შემთხვევაა 1991 წლის შემდეგ, როდესაც „ვეკია სენიორამ" ევროტურნირის საგზური ვერ მოიპოვა.

ლაშა წიკლაური

● მწვრთნელები

გაუხანგრძლივეს, გაუშვეს, დანიშნეს

იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ლაციოს" მესვეურებმა ახალი ხელშეკრულება გააფორმეს მთავარ მწვრთნელთან და კიდევ მინიმუმ ერთი სეზონის განმავლობაში გუნდს **ედუარდო რეია** უთავკაცებს. კონტრაქტი ერთნლიანია, თუმცა ერთ მეტად საინტერესო პუნქტს შეიცავს - თუ რომაულმა გუნდმა ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა, კიდევ ერთი სეზონით ავტომატურად გახანგრძლივდება. რეიამ პრესისთვის მოკლე კომენტარიც გააკეთა:

„გასული სეზონით მთლიანობაში კმაყოფილი ვარ, რადგან ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბოლო ტურამდე ვიბრძოდით. დარწმუნებული ვარ, რომ სეზონის წინ ამას არავინ ელოდა, თუმცა ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ანგარიშგასაწევი ძალა ვართ. გუნდი ვითარდება, სწორი გზით მივდივართ და დარწმუნებული ვარ, არც მომდევნო სეზონში შევირცხვენთ თავს".

სამაგიეროდ, „კიევოს" მესვეურებმა გაწყვიტეს ურთიერთობა **სტეფანო პიოლისთან** და ახალი მთავარი მწვრთნელის ძიებაში არიან. 45 წლის სპეციალისტმა ერთი წელი იმუშავა ვერონულ გუნდთან და სეზონი მეთერთმეტე ადგილზე დასასრულა. პიოლის თქმით, „რომას" მესვეურებთან ანარმოებს მოლაპარაკებებს და საერთოდ არ ნაღვლობს, რომ „კიევოს" დატოვებამ მოუწია.

ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს „ბოლონიას", გუნდს, რომელიც **ალბერტო მალეზანიმ** დატოვა და უახლოეს მომავალში „ჯენოას" ჩაიბარებს. „ბოლონიას' მესვეურებს დიდ ხანს არ უფიქრიათ და გუნდი **პიერპაოლო ბიზოლის** ჩააბარეს, რომელმაც ერთი წლის წინ „ჩეზენა" გადაიყვანა სერია A-ში, შემდეგ „კალიარიში" დაინიშნა, თუმცა ნოემბერში გაათავისუფლეს დაკავებული პოსტიდან. ბიზოლი 44 წლის გახლავთ და აცხადებს, რომ „ბოლონიასთან" ერთად ევროსაგზურის მოპოვებას შეეცდება.

რეია დარჩა

ლაშა წიკლაური

ინტერვიუ. ქარიმ ბენზემა

ამ გუნდმა ყველაფერი უნდა მოიგოს

შემდეგ სეზონში ოქროს ბუცისთვის ვიბრძოლებ

მარკა სტუმრად ქარიმთან

ქარიმ ბენზემა ახლა შვებულებაშია და ლიონში ისვენებს, გაზეთმა „მარკამ" რეალის ფრანგ ფორვარდს ინტერვიუ სამშობლოში ჩამოართვა.

„ამ სეზონში „რეალის" და საფრანგეთის ნაკრების მაისურით 30 გოლი გავიტანე. ასე რომ, ჩემთვის სეზონი ძალიან კარგი იყო. იანვრიდან მოყოლებული მეტი თამაში მიწევდა და ვიცოდი, რომ კარგადაც ავთამაშდებოდი, როგორც კი თვითრწმენა გამიძლიერდებოდა. „რეალში" თამაში მსიამოვნებს. ძალიან მიყვარს კლუბის ფანები, ჩვენი სტადიონი. მე აქ ძალიან დიდხანს დავრჩები.

„რეალმა" მხოლოდ ჩემპიონატში 102 გოლი გაიტანა. ეს იმათ საყურადღებოდ ვამბობ, რომლებიც დაცვითი ფეხბურთის თამაშს გვაბრალებენ. ეს არის დაცვითი ფეხბურთი? ჩემპიონ „ბარსელონასაც" გავუსწარით. ამ გუნდს თავისუფლად შეუძლია გაისად ტიტულების ჰეთ თრიკი შეასრულოს. „სამეფო თასი" 18 წელი მოპოვებული არ გვქონდა და ეს ტიტული ძალიან საამაყოა ჩვენთვის, მაგრამ მეტი გვინდა. ამ კლუბმა უნდა მოიგოს ყველაფერი. ასეთი განწყობა ზე დადგები კონტრაქტ ზე ხელის მოწერიდან პირველივე დღეს, „რეალში" ასეთი აურაა - იქ მხოლოდ გამარჯვებებ ზე ფიქრობ. რაც შემეხება მე, ვფიქრობ, რომ მომატება კიდევ შემიძლია. ახლა თავს ფიზიკურად და მენტალურად ბრწყინვალედ ვგრძნობ, ისე ვარ, როგორც თევზი წყალში - ასე რომ, მომავალ სეზონში ელოდეთ კიდევ უფრო გაუმჯობესებულ ბენზემას.

მოურინიოს უყვარს მოგებები, ასეთი ვარ მეც. მან არა მარტო ჩემს ფეხბურთელად „გაზრდაში" მიიღო მონაწილეობა, არამედ მის ხელში უკეთესი პიროვნებაც გავხდი. მან თავიდანვე მითხრა, რომ ჩემგან ძალიან ბევრს ელოდა, მაგრამ როცა გამიჭირდა, ამის მიღწევაში დამეხმარა კიდევაც. ახლა ძალიან კარგად ვიცი, რა შემიძლია და როგორ ვჭირდები მწვრთნელს. მე ჯერ კიდევ დასამტკიცებელი მაქვს, რომ ამ გუნდს ვიმსახურებ. ძალიან კარგად ვიცი, როგორი ძნელია სასტარტო შემადგენლობაში დამკვიდრება, მაგრამ მე ამისთვის ყველაფერს გავიღებ.

„რეალმა" უკვე სამი ახალწვეული დაიმატა და, მინდა ვთქვა, რომ სამივე კარგი შენაძენია. ისინი აუცილებლად დაეხმარებიან გუნდს მიზნების მიღწევაში. ნური შაჰინი ბუნდესლიგაში საუკეთესო ფეხბურთელი იყო და ეს უკვე თავისთავად ყველაფერზე მეტყველებს. საუკეთესოებმა კი „რეალში" უნდა ითამაშონ.

კრიშტიანო რონალდომ 41 გოლი გაიტანა ლა ლიგაში (შენიშვნა: ინტერვიუ „მარკამ" ჩაწერა, რომელიც ამტკიცებს, რომ პორტუგალიელმა 41 გოლი გაიტანა სეზონში და არა 40). ეს ისეთი რეკორდია, რომლის დამხობა ძალიან, ძალიან გაუჭირდებათ წლების განმავლობაში. მის მაგივრად მიხარია, რადგან არა მარტო თავად უყვარს გატანა, არამედ თანაგუნდელებსაც გვარიანად ეხმარება. ჩვენ მოედანზე ერთმანეთის ძალიან კარგად გვესმის.

რა გეგმები მაქვს მომავალ სეზონში? რა და, „ოქროს ბუცისთვის" უნდა ვიბრძოლო. რონალდომ ხომ უკვე აიღო, მომავალ წელს მე მსურს. რატომაც არა - მე ხომ მსოფლიოს საუკეთესო კლუბში ვთამაშობ. ჩვენ სუპერგუნდი ვართ. როცა ვიხსენებ, ბოლო სეზონს, ვრწმუნდები, რომ მე ეს შემიძლია. შემდეგი სეზონი უკეთესი იქნება - ყველაფრის მოგება მინდა".

ნიკოლოზ ნეფარიძე

ინტერვიუ. დიდიე დეშამი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდიე დეშამი (მარჯვნივ)

რომა? ამაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა

"მარსელის" მთავარმა მწვრთნელმა დიდიე დეშამმა "ევროსპორტის" ფრანგულ განყოფილებას მცირე ინტერვიუ მისცა, სადაც საფრანგეთის ექსჩემპიონების ბანაკში შექმნილ მდგომარეობაზე ილაპარაკა. არადა, სამხრეთელთა თავს ბოლო ხანს მართლაც საინტერესო ამბები ტრიალებს.

- დიდიე, იქნებ კომენტარი მოგვცეთ იმაზე, რაზეც ბოლო დღეებში ძალიან ბევრს წერენ. შეგიძლიათ დაადასტუროთ თქვენდამი "რომას" ინტერესი?

- არა. არ შემიძლია.

- რა ხდება ამ ეტაპზე. ისიც დაიწერა, რომ თქვენ "მარსელთან" კონტრაქტის გახანგრძლივება გინდათ.

- პირველ რიგში იმას ვიტყვი, რომ ფინანსური მხარე ჩემთვის გადამწყვეტი არ იქნება. ასე რომ, ჯერჯერობით რაღაცებზე ლაპარაკი ნაადრევია. არის დეტალები, რომელშიც უნდა გავერკვე. კლუბთან კონტრაქტი მე კიდევ ერთი წლით მაკავშირებს. ხელშეკრულების თანახმად, 15 ივნისამდე არჩევანში თავისუფალი ვარ, რადგან შემდეგ უკვე მომდევნო სეზონისთვის მზადებას ვიწყებთ. "მარსელთან" კონტრაქტის გასაგრძელებლად იმის ცოდნა მჭირდება, რამდენად ლაღად ვიგრძნობ თავს სატრანსფერო საკითხებში, შევძლებ თუ არა სასურველი ფეხბურთელების შეძენას.

- გაბრიელ ჰაინცემ განაცხადა, რომ "ველოდრომზე" აღარ დარჩება. გული არ გწყდებათ?

- ვწუხვარ, რომ მან ეს არჩევანი გააკეთა. მადლობა მინდა ვუთხრა გაწეული სამუშაოსთვის, რადგან "მარსელი" ტიტულებს ყოველთვის მისი დონის ფეხბურთელების წყალობით იგებდა. ის პროფესიონალიზმისა და თავდადების კარგი მაგალითია სხვებისთვის. გაბის დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენს ბოლოდროინდელ წარმატებებში. მისი ღირსეული შემცვლელის ნახვა ნამდვილად გაგვიჭირდება.

ლევან ბიბილაშვილი

ამბები

ბეტისის მწვრთნელმა გაახანგრძლივა

„ბეტისის" თავკაცმა **ჰეპე მელმა** კლუბთან 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. 48 წლის სპეციალისტი ანდალუსიაში 2014 წლის ზაფხულამდე დარჩება. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ კლუბი დაბრუნდა პრიმერადივიზიონში. *„ვრჩები და ძალიან მიხარია. ჩვენი პროექტი გრძელდება. სამი წელი დიდი დროა წარმატების მისაღწევად"*, - განაცხადა სპეციალისტმა, რომლის გუნდმაც ჩემპიონატის დასრულებამდე გაინაღდა ელიტაში დაბრუნება. სევილიური „ბეტისი" ესპანეთში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გუნდია, მას ძალიან ბევრი მხარდამჭერი ჰყავს. ბეტისს ლა ლიგა ერთხელ, კოპა კი ორჯერ აქვს მოგებული.

ფიფა... ბლატერის წინააღმდეგ

საოცარი ცნობა მოვიდა შვეიცარიიდან - ფიფა იწყებს გამოძიებას... პრეზიდენტ **ზეპ ბლატერის** წინააღმდეგ, რომელიც მექრთამეობაშია დადანაშაულებული. ამას წინათ ამას პრეზიდენტობის მეორე კანდიდატი **მოჰამედ ბინ ჰამამი** ითხოვდა, რომელიც ამტკიცებდა, რომ თავად პრეზიდენტი იყო ბევრ საქმეში გარეული. ფიფა-ს ეთიკის კომიტეტმა გადაწყვიტა, აღნიშნული ფაქტის გამოძიება ორგანიზაციის მე-16 პუნქტის მიხედვით. შეგახსენებთ, რომ ფიფა-ს პრეზიდენტის არჩევნები 1 ივნისს იმართება და ბლატერის მოწინააღმდეგე მოჰამედ ბინ ჰამამია.

ბლატერი 29 მაისს დაიბარეს ციურიხში, სადაც მან ფიფა-ს ეთიკის კომიტეტის წინაშე თავი უნდა იმართლოს.

ნიკოლოზ ნეფარიძე



ზეპ ბლატერი

რეალი

რეალი ჩინეთში მიდის

მადრიდის „რეალის" ოფიციალურმა საიტმა დაადასტურა, რომ „სამეფო კლუბი" წინასასეზონო ტურნეს ჩინეთში მოაწყობს, სადაც ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს. 3 აგვისტოს ესპანური გრანდი „გუანჯოუ ევერგრანდეს" შეხვდება, ხოლო სამი დღის შემდეგ „ტიანინ ტედას" დაუპირისპირდება. ჩინური ტურის პრეზენტაციას **ემილიო ბუტრაგენიო** დაესწრო. შეგახსენებთ, რომ „რეალი" ფიფა-მ მე-20 საუკუნის ყველაზე წარმატებულ საფეხბურთო კლუბად აღიარა.

სხვათა შორის, „რეალი" 2005 წლის მერე აზიაში არ ყოფილა. ამ ორი მატჩის გარდა კიდევ ბევრი ღონისძიება იგეგმება. „რეალი" გარანტიას აძლევს ჩინურ მხარეს, რომ ტურნეზე ძირითადი გუნდით წავა. აი, რა თქვა ბუტრაგენიომ, რომელიც „რეალის" დირექტორია საზოგადოებრივ საკითხებში: *„ჩინეთში ჩვენ 100 მილიონ ფანზე მეტი გვყავს. „რეალის" ვიზიტი ხელს შეუწყობს სპორტის განვითარებას ამ ქვეყანაში".*

ნიკოლოზ ნეფარიძე

ამბები

ლილისა და ემანას რომანი

სევილიის "ბეტისის" კამერუნელი შემტევი ნახევარმცველი **აჩილ ემანა** შეიძლება პრიმერადივიზიონის დებიუტანტიდან საფრანგეთის ჩემპიონ "ლილში" გადაბარგდეს, რაც, დაგვეთანხმებით, დიდი ნახტომი იქნება აფრიკელის კარიერაში. 28 წლის ფეხბურთელის სამსახურით "ძაღლები" მას მერე დაინტერესდნენ, რაც ლიგა 1-ში პრაქტიკულად ყველაფერი გაირკვა. თანხმობის შემთხვევაში სევილიელები 6 მილიონ ევროს მიიღებენ. ამასთან, უნდა ისიც ითქვას, რომ ფრანგული სეზონის ტრიუმფატორები შესაძლოა, მომავალ სეზონს რამდენიმე სერიოზული დანაკარგით შეხვდნენ. უკვე გარკვეულია, რომ ცენტრალური მცველი **ადილ რამი** "ვალენსიაში" გადავა, ხოლო **ედენ აზარის** ბედი ჯერ არ გარკვეულა. 20 ნლის ბელგიელით სერიოზულად არის დაინტერესებული მილანის "ინტერი".

გაუგებრობა ნარინჯისფრებში

ჰოლანდიის ნაკრების თავკაცმა **ბერტ ვან მაარვიიკმა** განაცხადა, რომ მას თან ესმის და თან არ ესმის "აიაქსის" ცენტრალური ნახევარმცველის **დემი დე ზეუვის** უარის, ევთამაშა ნაკრების სამხრეთამერიკულ ტურნეში. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელმა ეს განცხადება სამშაბათს "ტვიტერზე" თავის გვერდზე დაწერა და ყოველივე "ძლიერი ფიზიკური და მორალური გადაღლილობით" ახსნა. მნვრთნელი გაკვირვებულია შეგირდის განცხადებით: *"მე თავისუფლად შემიძლია წარმოვიდგინო, თუ რა მძიმე სეზონი ჰქონდა დე ზეუვს, თუმცა არც ის მავინყდება, რომ ბოლო ტურებში ის ხალისიანად და მხნედ გამოიყურებოდა. ვფიქრობ, რომ მას შეეძლო ჩემთვის რამდენიმე დღით ადრე მაინც ეთქვა ყოველივე, ან მას მერე მაინც, როცა შემადგენლობა დავასახელე. თუკი ის გადაღლილი იყო, ჯობდა, რომ "აიაქსთან" ერთად ამერიკაში კი არ გაფრენილიყო, სახლში დარჩენილიყო და დაესვენა".*

ლევან ბიბილაშვილი

ბერტ ვან მაარვიიკი

ჩემპიონთა ლიგა. ფინალის წინ

დღეს უკმბლიზე. 22:45 ბარსელონა-მანჩესტერი

ვინ ? ვის ?

ბარსელონა

სავარაუდო შემადგენლობა

4-3-3

ვიქტორ ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, ტეიელი, აბიდალი - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - პედრო, მესი, ვილია.

ერთიანი ბიბლიოთეკა

მანჩესტერი

სავარაუდო შემადგენლობა

4-2-3-1

ვან დერ სარი - ფაბიო და სილვა, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა - ქერიკი, პარკი - ვალენსია, რუნი, გიგზი - ერნანდესი.

გნებავთ ამ სეზონის მიხედვით იმსჯელეთ, გნებავთ ბოლო წლების შედეგები გაითვალისწინეთ: „მანჩესტერისა“ და „ბარსელონას“ ჯახი უდავოდ საოცნებო ფინალია. თუმცა ასე იყო 2009 წელსაც, მაგრამ მაშინ „იუნაიტედისა“ და „ბარსას“ ფინალმა იმედები გაგვიცრუა. ორი წლის წინ „მანჩესტერმა“ კატალონიურ გრანდს წინააღმდეგობა ვერ გაუწია. იმედია, დღეს ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო ფინალს ვნახავთ.

პრეზიდენტი: ვიქტორ კასაი (უნგრეთი)

მესი და კომპანია: გვჯერა!

„მანჩესტერ იუნაიტედს“ „ბარსელონას“ დამარცხების შანსი მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება, თუ ლიონელ მესი გახურების დროს დაშავდება და მოედანზე გასვლას ვერ შეძლებს,“ - ეს „ბარსას“ თავკაც **პეპ გვარდიოლას** სიტყვები არ გეგონოთ, ინგლისური ფეხბურთის ცოცხალმა ლეგენდამ, თვით **გარი ლინეკერმა** თქვა. მიუხედავად იმისა, რომ „ბარსას“ ყველა ფეხბურთელი მონდების სიმაღლეზეა, ყურადღების ცენტრში მესია მოქცეული - ინტერესის უმთავარეს ობიექტად მაინც არგენტინელი რჩება.

„არც ისე ხმირად!“ - ასე უპასუხა მესიმ BBC-ის ჟორსპონდენტის კითხვას იმის შესახებ, უყურებს ხოლმე თუ არა ინგლისის ჩემპიონატის მატჩებს და იქვე დასძინა, სიმართლე გითხრათ, ფეხბურთის თითქმის არასდროს ვუყურებო. თუმცა ლეონიცის, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ ძალიან ძლიერი გუნდია, რომელმაც დამსახურებულად მოიპოვა ინგლისის ჩემპიონობა. *„პრემიერლიგის მოგება ძალიან ძნელია, „მანჩესტერის“ დამარცხება ალბათ არ იქნება,“* - ამბობს მესი.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ლეონ „მანჩესტერის“ სისუსტეებზე საუბარი არ ისურვა - არ განვეკუთვნები იმ კატეგორიას, ვინც მეტოქის სუსტ მხარეებზე ლაპარაკობს, მე მხოლოდ ის ვიცი, ჩვენ რა უნდა გავაკეთოთ და იმედია არ მიხვენი, არც ამის შესახებ რომ არ ვისაუბრებო.

„ჩვენ ყველამ ვიცით, რაც შეგვიძლია და ამას სეზონის განმავლობაში ვამტკიცებდით, - აცხადებს ლეონ, - რაც მთავარია, ძალიან კარგ ფორმაში ვართ, ბიჭები კი უაღრესად მონდომებულები არიან.“

აბიდალი VS ვალენსია ან ნანი

ეს ისაა რა უნდა, ის თქვას, ფაქტი კი ფაქტად რჩება: „ბარსელონას“ სუსტი წერტილი დაცვის მარცხენა ფრთაა. **ერიკ აბიდალი** საუკეთესო ფორმაში არ არის, **მაქსეული** და **ადრიანა** კი ყველანაირი ფორმისაგან შორს არიან. ყოველ შემთხვევაში, „ბარსას“ დაცვის მარცხენა ფრთაზე არ ჰყავს ისეთი მოთამაშე, როგორიც დაცვის მარჯვენა ფლანგზე ჰყავს **ფანი ალვეშის** სახით. 2009 წელს „ბარსელონას“ მარცხენა მცველი **სილვინო** იყო...

ეჭვგარეშეა, რომ ფერგიუსონი ამის სათავისოდ ვიდგება - „იუნაიტედის“ ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე **ნანი** თამაშობს, თუ ვალენსია, ფაქტია, რომ სერ ალექსი შეტევის მარჯვენა ფრთაზე განსაკუთრებულ აქტიურობას მოიფიოფავს.

მესი VS ფერდინანდი/ვიდიჩი/ქერიკი

გვპარდიოლამ კარგად იცის, რომ „მანჩესტერის“ საჯარიმოში მაღალ ჩაწოდებებს აზრი არ აქვს, რადგან იქ ვიღიჩისა და ფერდინანდის სახით მაღალი, მეორე სართულზე იდეალურად მებრძოლი მცველები დგანან და ესეც რომ არ იყოს, „ბარსას“ ცენტრალური თავდასმსმელი მესია, რომელიც არცა ტიპური ცენტრალური თავდასმსმელი. მოუხდავად იმისა, რომ 2009 წელს ლეონ „იუნაიტედს“ გოლი თავით გაუტანა, მეორე სართულზე თამაში მისი ძლიერი მხარე არაა. სამაგიეროდ, მესი უზადო ფრიქლიორია, ასეთ თავდასმსმელებთან თამაში კი, ფერდინანდსაც უჭირს და ვიდიჩსაც, რადგან არც ერთი არაა სწრაფი და მოქნილი. სწორედ ამიტომ, მესის თამაშდაწა გათიშვას ფერგიუსონი პირველ რიგში პირველ საყრდენს, **ქერიკს** დაავალებს და საინტერესოა, როგორ გაართმევს ეს უკანასკნელი თავს ამ ამოცანას. სწორედ ქერიკმა არ უნდა მისცეს ჩაგის და მესის კომბინაციების გათამაშების შესაძლებლობა და ერთი სიტყვით, ახალგაზრდა საყრდენზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

1992/1993. მეუნახევრე. „ლიგამპიონებთა ჯადოქრიონი“

ბარსელონა-მილანი 1:0

ბარსელონა (4-4-2): ბარტეზი - ანგლო

ძიუდო. მოსკოვის ტურნირი

მორიგი მოგვერდი ცირეკიძისგან

ოლიმპიურ ჩემპიონს ხელფასი მოუხსნეს

ძიუდოში მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **ირაკლი ცირეკიძის** (100) ირგვლივ კვლავ გაურკვევლობაა. ძიუდოისტი გუშინ მოსკოვში უნდა წასულიყო „დიდ მუზარადზე" საჭიდაოდ, მაგრამ გუნდს არ გაჰყოლია. მეტიც - ის არც ბოლო შეკრებაზე გამოჩენილა, ტელეფონიც გამორთული აქვს და მთელი ამ დღეების განმავლობაში მასთან დაკავშირება შეუძლებელი გახდა. ბოლო შეკრების წინ ფალავანმა ერთი დღით ითხოვა გათავისუფლება ქუთაისში პირადი საქმეების მოსაგვარებლად. ფედერაციაც დათანხმდა, მაგრამ მას შემდეგ სპორტსმენი საერთოდ გადაიკარგა. იქიდან მოყოლებული, მის მოხელეთებას ამაოდ ცდილობდა ფედერაციაც, ნაკრების ხელმძღვანელობაც და ოლიმპიური კომიტეტიც. სეოკ-დან გუშინაც ხშირად ეხმიანებოდნენ, ურეკავდნენ ფედერაციიდანაც, ჩვენც გვინდოდა კომენტარი გვეთხოვა, მაგრამ მობილური ტელეფონი გამორთულია. სეოკ-მა საქმეში ქუთაისელი ნაცნობ-მეგობრები, ძიუდოისტები თუ რეგიონალური ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელებიც ჩართო, მაგრამ ცირეკიძესთან დაკავშირება ვერც იქაურებმა შეძლეს. სეოკ-ის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა** გვითხრა, რომ ამ ეტაპზე ოლიმპიურ ჩემპიონს მიმდინარე თვის ხელფასს დაუქვითავენ, დანარჩენზე კი მას შემდეგ იმსჯელებენ, როცა საქმის ვითარებაში გაერკვევიან. მე მეტი არაფერი შემიძლია - სპეცნაზს ვერ გავუგზავნი, ჩხუბს ვერ დავუწყებ და ძალით ვერ მოვიყვან სავარჯიშოდ" - დასძინა ნაცვლიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ცირეკიძეს არც წინა ტურნირზე უჭიდავია ბაქოში - მაშინ თავიდან მონაწილეთა შორის ასახელებდნენ, მაგრამ ბოლოს ითქვა, რომ მხოლოდ სავარჯიშოდ წავიდოდა ერთობლივ შეკრებაზე. საბოლოოდ ასეც მოხდა, ახლა კი მორიგი უსიამოვნო სიურპრიზი... შეგახსენებთ, რომ მის სახელს უკავშირდება ორი უსიამოვნო ინციდენტი - შეხვედრაზე დაგვიანება შარშან ტოკიოში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე და ზედმეტი წონით მისვლა საქართველოს შარშანდელივე პირველობაზე, რისთვისაც საასპარეზოდ არც დაუშვეს. სხვათა შორის, მაშინ ამისთვის ნაკრების იმჟამინდელმა და დღემდე დე-ფაქტო თავკაცად მყოფმა **სოსო ლიპარტელიანმა** გუნდის ყველაზე ტიტულოვან სპორტსმენს ერთი წლით, ანუ ქვეყნის მომავალ პირველობამდე ნაკრების კარებიც მიუხურა. ამ თემაზე საუბრისას კი ხშირად ამბობდა, რომ შეგირდს ვეღარ ენდობოდა - მაგან ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზეც შეიძლება დაგვიანოს ან რამე ამგვარი ჩაიდინოსო. ვიმეორებთ - ჯერ არ ვიცით ცირეკიძის გაუჩინარების მიზეზი და ახლანდელ ვითარებაში არც ბრალმდებლად გამოვდივართ, თუმცა შეუძლებელია, ლიპარტელიანის ეს სიტყვებიც არ გაგვახსენებოდა. ცირეკიძეს იქნებ მართლაც აქვს დაგვიანების ობიექტური მიზეზი, მაგრამ საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულება გვგონია მისი დუმილი, ერთი ზარი არავისთვის არაა პრობლემა. ეს ფაქტი კიდევ უფრო გაამყარებს ეჭვს და ჭორებს, რომ ცირეკიძემ შარშან ტოკიოში შეგნებულად დაგვიანა მსოფლიოს პირველობის შეხვედრაზე საჭიდაოდ გასვლა.

ზაიზენბახერის უცნაური როჟი

ცირეკიძემ ხომ გაგვაკვირვა, მაგრამ სიურპრიზებში სპორტსმენს არც ნაკრების ავსტრიელი მწვრთნელი **პეტერ ზაიზენბახერი** ჩამორჩა, ოლიმპიური ჩემპიონის შემცვლელად მოსკოვში ისეთი ფალავანი წაიყვანა - **იოსებ მსხალაძე!** გვესმის, რომ მწვრთნელს თავისი მოსაზრებები გააჩნია, მაგრამ ქომაგებსაც აქვთ უფლება იკითხონ - უკეთესი კანდიდატურა ვერავინ შეარჩია? მსხალაძე უკვე რამდენიმე ტურნირზე გამოსცადეს, მაგრამ შედეგი ვერსად აჩვენა და იქნებ სხვა ნაყვანათ, თუნდაც სხვა წონიდან, ვისაც ცოტა მეტი შანსი ექნებოდა? ამ საკითხზე ზაიზენბახერისეული მიდგომა საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა **გიორგი ალექსიძემ** გაგვაცნო. მისი თქმით, ავსტრიელს სურდა, ამ წონიდან შეარჩიოს და შიდა კონკურენციაში როგორმე „ამოსწიოს" ვინმე, რათა **ლომერ ჟორჟოლიანი** გამუდმებით გრძნობდეს კონკურენტის „სუნთქვას" და არ მოდუნდეს, მიზნის მისაღწევად კი მსხალაძეზე უკეთესი კადრი არ ჰყავს! ჰყავს თუ არა, ეს ჯერ კიდევ საკითხავია, მაგრამ დაველოდოთ ტურნირის შედეგებს, აქ კი იმას შეგახსენებთ, რომ ზაიზენბახერს დისციპლინის დარღვევისთვის ერთი ხანობა ჟორჟოლიანიც ჰყავდა დასაჯილი. ვფიქრობთ, ამ მხრივ მან კიდევ მეტი სიმკაცრე უნდა გამოიჩინოს და სპორტსმენი, რომელიც ვარჯიშებზე ბოლომდე არ იხარჯება, მკაცრად უნდა დასაჯოს. თუ საჭირო გახდება, საერთოდაც შინ დატოვოს, თუნდაც ჩავაგდოთ ის ერთი შეჯიბრება - არაა აუცილებელი, ყველა წონაში გვყავდეს მონაწილე და ამის ხარჯზე დისციპლინა გავწიროთ.

მოსკოვმა დიდი მუზარადი მოირგო

თავად მოსკოვურ ტურნირს რაც შეეხება, მსხალაძისა და ჟორჟოლიანის გარდა, იქ საქართველოდან **ნუგზარ ტატალაშვილი, ამბაკო ავალიანი** (ორივე - 73), **ზვიად ხანჯალიაშვილი** (+100) და **ნინო ოძელაშვილი** (70) იჭიდავებენ. ჩვენებურთაგან დღეს ტატამზე მხოლოდ 73-ის წარმომადგენლები გავლენ, დანარჩენები კი ხვალ იასპარეზებენ.

უკვე გაიმართა წილისყრა და გაირკვნენ ჩვენებურთა მეტოქეებიც. ტატალაშვილი პირველ წრეში ისვენებს, მეორეში კი ახალგაზრდა რუს **დენის იარცევს** შეხვდება. მომდევნო წყვილში მათ შორის მოგებულის მეტოქე ბელგიელი ევროპის ჩემპიონისა და მსოფლიოს პრიზიორ **დიკ ვან ტიხელტის**, თბილისის წლევანდელი ტურნირის ფინალში ავალიანთან დამარცხებულ ბელარუს **ალექსეი რამანჩიკისა** და ესტონელ ევროპის პრიზიორ **კინტერ როტბერგის** შეხვედრებში გაირკვევა. ავალიანი პირველივე წრიდან იჭიდავებს და ახალგაზრდებში აზიის ჩემპიონ ჩინელ **ვეი ლიუს** ხვდება, ვისაც წლეულს ერთხელ უკვე მოუგო - ვარშავაში, 1/16-ფინალში. ამ წყვილში მოგებულს მეორე წრეში მრისხანე მეტოქე უდარაჯებს - ჰოლანდიელი ევროპისა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **დექს ელმონტი**. დიდი შანსია, ამათთან წარმატების შემთხვევაში ავალიანს ქართველებთან მოუწიოს ურთიერთობის გარკვევამ - საავარაუდო მეტოქეთა შორის ისრაელის სახელით მოჭიდავე **იოსებ ფალელაშვილი** და რუსეთის წლევანდელი ჩემპიონი **სერგეი ბადრიაშვილიც** არიან. ამ უკანასკნელს ავალიანი ჯერ არ შეხვედრია, ფალელაშვილს კი წლეულს ორჯერ ეჭიდავა და ორივე მოუგო - თბილისსა და ვარშავაში.

ჟორჟოლიანი პირველ წრეში ისვენებს, მეორეში კი კამერუნელ **ფრანკ მარტიალ მუსიმა ევანეს** ხვდება. ალბათ, სასწაული იქნება, ევროპის ვიცე-ჩემპიონი აფრიკელთან რომ დამარცხდეს, მომდევნო შეხვედრა კი უზბეკ **რამზიდინ საიდოვსა** და პოლონელ **ტომაშ დომანსკის** შორის მოგებულთან მოუწევს. მსხალაძე უზბეკ **უხტირ ყურბანოვს** ეჭიდავება.

ხანჯალიაშვილი თავიდანვე ჩაებმება შეჯიბრებაში და ყირგიზ **იური კრაკოვეცკის** შეხვდება, ხოლო თუ მოუგებს, სავარაუდოდ, გერმანელ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ **ანდრეას ტოლცერს** დაეჭიდება. ყოველ შემთხვევაში, ის მონგოლ **სუგარჯარგალ ბოლდბურეევს** ხვდება და მასთან წარმატება არ უნდა გაუჭირდეს. ოძელაშვილიც პირველივე წრიდან ჩაებმება კორეელ აზიის ორგზის ჩემპიონ **იესულ ჰვანგთან** შეხვედრით.

ირაკლი თავაძე

ჭიდაობა

ერთიანი გუნდით თასი მოგებით დავიწყეთ

გერმანულ პლაუენში გუშინ დაიწყო მსოფლიოს თასის გათამაშება თავისუფალი სტილით მოჭიდავე ახალგაზრდებს შორის. მოგეხსენებათ, ტურნირში რვა გუნდი გამოდის, რომლებიც წილისყრით ორ ჯგუფში განაწილდნენ. ჩვენი ნაკრები B ჯგუფში მოხვდა აზერბაიჯანის, იაპონიისა და აშშ-ს გუნდებთან ერთად. შეიძლება ითქვას, ჩვენებს გაუმართლათ, რადგან აქ ჩვენ და აზერბაიჯანი გამოკვეთილი ლიდერები ვართ, აი, პირველ ჯგუფში კი ყველა ანგარიშგასაწევია - რუსეთიც, ირანიც, თურქეთიც და გერმანიაც. ამათგან რუსეთი თითქოს უფრო გამოკვეთილია, მაგრამ მასთან ბრძოლა ირანსაც შეუძლია და თურქეთსაც, გერმანია კი მასპინძელია და ამით ბევრი რამეა ნათქვამი.

გუშინვე გაიმართა პირველი რაუნდის შეხვედრები და ჩვენებმა ამერიკელებს მოუგეს - 6:2. **ნუგზარ სხირელის** შეგირდთაგან **ლევან როჭიკაშვილმა** (50), **ლაშა ლომთაძემ** (55), **ზურაბ იაკობაშვილმა** (60), **დავით გალეგაშვილმა** (66), **სანდრო ამინაშვილმა** (84) და **ომარ გუსოშვილმა** (96) იმარჯვეს, **ბექა პეტრიაშვილი** (74) და **გიორგი ასლანიშვილი** (120) კი დამარცხდნენ. ჩვენი ჯგუფის მეორე შეხვედრაში აზერბაიჯანმა დიდი უპირატესობით - 7:1 დაამარცხა იაპონია. ხვალ ჩვენები პირველად სწორედ აზერბაიჯანელებს დაუპირისპირდებიან, მერე კი იაპონიასთან ჩაატარებენ ჯგუფის ბოლო შეხვედრას. თუმცა მთავარი და გადამწყვეტი მაინც აზერბაიჯანთან ბრძოლა იქნება - სწორედ აქ გაირკვევა ჯგუფის გამარჯვებულის ანუ ფინალში გამსვლელის ბედი.

რაც შეეხება პირველ ჯგუფში განვითარებულ მოვლენებს, რუსეთმა მმრალი ანგარიშით დაამარცხა მასპინძლები - 8:0. დღის ყველაზე უფრო დაძაბული შეხვედრა აქ გაიმართა ირანსა და თურქეთს შორის. დრამატულ ორთაბრძოლაში თავიდან ირანელები 2:0 დაწინაურდნენ, მაგრამ მეექვსე წრის შემდეგ ანგარიშიუკვე თანაბარი იყო - 3:3. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს თურქთა ბოლო გაბრძოლება გამოდგა - ორივე დარჩენილი შეხვედრა 84 და 96 კილოგრამებში ირანელებმა იმარჯვეს და საბოლოო ანგარიშით 5:3 მოიგეს. დღეს აქაც დღის პირველი რაუნდი იქნება გადამწყვეტი - ერთმანეთს რუსეთი და ირანი ეჭიდავებიან.

ირაკლი თავაძე

სპორტის სახეობის ისტორია

სათამაშო



ჭადრაკი კაცობრიობის უძველესი თამაშია. მეცნიერები დღესაც ვერ ასახელებენ ზუსტად მისი გამოგონების თარიღს. უმრავლესობა იზიარებს ინგლისელი მკვლევრის ჰაროლდ მერეის (1868-1955) შეხედულებას, რომ ჭადრაკი VI საუკუნეში წარმოიშვა ინდოეთში. არსებობს მოსაზრება, რომ ჭადრაკი მანამდეც იყო ცნობილი ჩინეთში.

თანამედროვე ჭადრაკი დაახლოებით 400 წლისაა. მანამდე მან დიდი ცვლილებები განიცადა.

ინდოეთში გავრცელებულ ჭადრაკს ჩატურანგა ერქვა, რაც ჩვენს ენაზე „ოთხწევრად" ითარგმნება. ჩატურანგა შეესაბამებოდა ინდური ჯარის ნაწილებს — ეტლები, სპილოები, მხედრები და ქვეითები. თამაშობდნენ საგანგებო კამათლით მეტოქეთა ძალების სრულ განადგურებამდე.

ისტორიას არ შემოუნახავს ჭადრაკის გამომგონებლის სახელი, მაგრამ ცნობილია მრავალი ლეგენდა მის შემქმნელზე. განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული ერთი გადმოცემა. თურმე ვინ სინმა ჭადრაკი გამოიგონა და ახალი სათამაშო ქვეყნის თავკაცს მიართვა საჩუქრად. ამ უკანასკნელს ესიამოვნა საჩუქარი და სინს უთხრა მთხოვე, რაც გსურსო. მან სთხოვა: ბრძანეთ, იმდენი პურის მარცვალი მომცენ, რაც დაგროვდება ჭადრაკის დაფაზე, თუ პირველ უჯრაზე ერთ მარცვალს დადებენ, მეორეზე — ორს, მესამეზე — ოთხს და ასე შემდეგო.

კარის მათემატიკოსებმა გამოიანგარიშეს, რომ სინს 18 446 744 073 709 551 615 მარცვალი დაუგროვდებოდა, რომლის წასაღებადაც ათი ათასი უღელი ხარ-კამეჩი არ ეყოფოდა.

ცხადია მხოლოდ ის, რომ ჭადრაკი ერთი კაცის, თუნდაც გენიოსის, ფანტაზიის ნაყოფი არ არის. იგი კაცობრიობის წინსვლის პარალელურად ვითარდებოდა.

ინდოეთიდან ჩატურანგა ირანსა და შუა აზიაში გავრცელდა. ირანში თამაშს ბევრი ქომაგი გაუჩნდა. VII საუკუნეში არაბებმა დაიპყრეს ირანი და ისინიც ეზიარნენ ახალ თამაშს.

არაბებმა მალე შეიყვარეს ჩატურანგა და არსებითად შეცვალეს კიდეც იგი. პირველ ყოვლისა, ნესად შემოიღეს, რომ ჭადრაკი ორ კაცს უნდა ეთამაშა და, რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, კამათელი მოსპეს. თამაშმა ახალი ელფერი შეიძინა. იგი მეტოქეთა დამოუკიდებელი აზროვნების სარბიელად გადაიქცა. ახლა წარმატებას გონების ძალა განსაზღვრავდა. სახეშეცვლილ ჩატურანგას არაბებმა შატრანჯი შეარქვეს.

მემატიანეთა ცნობით, არაბეთში ძლიერი მოჭადრაკეები ყოფილან. მათ დაგვიტოვეს ხელნაწერი ნაშრომებიც. IX საუკუნეში უძლიერესად იყო აღიარებული ალ-ადლი, რომელმაც თავისი ტრაქტატი შექმნა. X საუკუნეში მოღვაწეობდა ას-სული, რომელმაც ხელნაწერებში მოიხსენია თავისი წინამორბედი დიდოსტატები ზაირაბი, ნაიმი, ხორეზმი და ალ-ადლი. ამ ხელნაწერებმა შემოგვინახა შატრანჯის ამოცანები (მანსუბები), პარტიები, სადებიუტო პოზიციები (ტაბიები), ანალიზები.

არაბების მეოხებით შატრანჯს ევროპაც გაეცნო, მეცნიერები ფიქრობენ, რომ ეს პროცესი XI საუკუნიდან დაიწყო. ჭადრაკს ჯერ ესპანეთი ეზიარა, მერე სამხრეთი იტალია.

შატრანჯის რეფორმა მხოლოდ XV საუკუნის მიწურულს მოხდა. მაშინ მიიღო ამ თამაშმა თანამედროვე ჭადრაკის სახე. რა თქმა უნდა, ეს თანდათანობით მოხდა. მაშინ შეეცვალა სახელიც. რუსეთში მას შახმატი დაერქვა. საინტერესოა, რომ მხოლოდ ქართველებს შემოგვრჩა თამაშის სახელწოდება ჭადრაკი, რაც, აკადემიკოს გ. ახვლედიანის აზრით, ჩატარანგადან არის წარმოქმნილი.

ამ დროს შატრანჯმა დიდად იცვალა სახე. ლაზიერს, რომელიც ადრე მხოლოდ ერთ უჯრაზე თამაშობდა, ეტლისა და კუს უფლებები მიენიჭა. თვით კუ, რომელსაც მხოლოდ სამ უჯრაზე თამაშის უფლება ჰქონდა, შორსმროელი ფიგურა გახდა, ესე იგი, მთელ დიაგონალზე შეეძლო გადაადგილება. ჰაიკმა თავიდან ორ უჯრაზე თამაშის უფლება მიიღო. არ შეუცვლიათ თამაშის წესები მხოლოდ მეფეს, ეტლსა და მხედარს. მოგებად ივლებოდა შამათი, ყველა ფიგურის განადგურება და პატი (ნაგებული იყო ის, ვისი ფიგურებიც პატში აღმოჩნდებოდა). ბოლოს შემოვიდა როქის წესი.

>> გვ-11 გვერდზე

ქართული სპორტი

● ნიჩბოსნობა

ოლიმპიური ჩემპიონის სახელობისა

მიუნხენის ოლიმპიური ჩემპიონის - ვიქტორ კრატასიუკის სახელობის საერთაშორისო რეგატა საბაიდარო და კანოეთი ნიჩბოსნობაში ექვსი წელიწადია, ტარდება ფოთში. გუშინ რიონზე მე-7 რეგატა დამთავრდა, რომელშიც თბილისელ, მცხეთელ, დუშელ, ქუთაისელ, რუსთაველ და ფოთელ ახალგაზრდებთან ერთად აზერბაიჯანელი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ.

ორ ასაკობრივ ჯგუფში გოგონებმა და ჭაბუკებმა ბაიდარათი და კანოეთი 200 და 500 მეტრზე იასპარეზეს.

1993-1994 წლებში დაბადებულნი. ერთადგილიანი ბაიდარა. ვაჟები. 200 მ. 1. გიორგი მარტოლეკი (მცხეთა), 2. გიორგი ტაბატაძე (ფოთი), 3. ნიკა ბოდაველი (დუშეთი). **500 მ.** 1. გიორგი მარტოლეკი (მცხეთა), 2. ბადრი ყაველაშვილი (თბილისი), 3. გიორგი ტაბატაძე (ფოთი).

ორადგილიანი ბაიდარა. ვაჟები. 200 მ. 1. აზერბაიჯანი, 2. ქუთაისი, 3. ფოთი. **500 მ.** 1. აზერბაიჯანი, 2. თბილისი, 3. ქუთაისი.

ერთადგილიანი კანოე. ვაჟები. 200 მ. 1. ზაზა ნადირაძე (მცხეთა), 2. გიორგი შაბურიშვილი (დუშეთი), 3. ალეკო ჩაჩავა (ფოთი). **500 მ.** 1. ზაზა ნადირაძე (მცხეთა), 2. გიორგი შაბურიშვილი, 3. გიორგი ჭინჭარაშვილი (ორივე-დუშეთი).

1995-1996 წლებში დაბადებულნი. ვაჟები. ერთადგილიანი კანოე. 200 მ. 1. გიორგი ჭინჭარაშვილი (დუშეთი), 2. იასონ ბართია (ფოთი), 3. ლუკა ბენგლიანი (მცხეთა). **ერთადგილიანი ბაიდარა. 200 მ.** 1. ბადრი ყაველაშვილი (თბილისი), 2. გიორგი გოგელაშვილი (ქუთაისი), 3. ცოტნე დუდაური (დუშეთი). **ორადგილიანი ბაიდარა. 200 მ.** 1. ფოთი, 2. ქუთაისი, 3. დუშეთი.

ერთადგილიანი ბაიდარა. გოგონები. 200 მ. 1. ეკატერინე შაბურიშვილი, 2. თამარ შაბურიშვილი (ორივე-დუშეთი), 3. ანა გვილავა (მცხეთა).

ვაჟა დანელია

● ჭადრაკი

ჩიკაგოში ფულუხვ მასპინძლებთან



თამაზ გელაშვილი

გუშინ ჩიკაგოში (აშშ) დაიწყო მოჭადრაკეთა ტრადიციული მე-20 საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები სიძლიერის მიხედვით 6 სექციაში არიან განთესილნი. ძირითად ჯგუფში 136 ქალ-ვაჟი იბრძვის ჯილდოებისთვის. ფესტივალის საპრიზო ფონდია 100 000 ამერიკული დოლარი. მთავარი ტურნირის გამარჯვებული 10 000 დოლარს მიიღებს. მომდევნო 9 ადგილზე გასულნი, შესაბამისად, 5000, 2500, 1200, 1000, 700, 600, 500 და 400-400 დოლარით დაჯილდოვდებიან.

ფესტივალზე წარმატებით აიღეს სტარტი ქართველმა დიდოსტატებმა: რუსთაველმა **თამაზ გელაშვილმა** პირველ ტურში მექსიკელ საერთაშორისო ოსტატ **ალვარო ბლანკოს** სძლია, თბილისელმა **გიორგი ყაჭეიშვილმა** (შარშან მსგავს შეჯიბრებაზე მე-13 იყო, 2009 წელს კი — მეექვსე) ამერიკელი **ჰოვარდ ჩენი** დაამარცხა. შეჯიბრება 30 მაისს დამთავრდება.

ვაჟა დანელია

« მე-10 გვერდიდან

ახალმა რეფორმებმა გაამძაფრა ჭადრაკის თამაში, დინამიკა და ჰარმონია შემატა. ჭადრაკი ესპანეთისა და იტალიის კულტურული ცხოვრების მშვენებად იქცა.

1575 წელს მოეწყო პირველი საერთაშორისო შეხვედრა. ესპანეთის მეფე ფილიპ მეორემ თავის სასახლეში მოიწყო ცნობილი ესპანელი და იტალიელი მოჭადრაკეების შეჯიბრება. რა თქმა უნდა, ცნობილი მოთამაშეები მანამდეც ხვდებოდნენ ერთმანეთს. იმ დროს უძლიერესებად აღიარებული იყვნენ ესპანელები რუი ლოპესი, ალფონსო სერიონი, იტალიელები ჯოვანი ლეონარდო და პაოლო ბოი. სწორედ ისინი ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს მეფის სასახლეში. გაიმარჯვა ლეონარდომ.

იმ დროს მოჭადრაკეებს ლიტერატურული პაექრობაც ჰქონდათ ხოლმე. XV საუკუნის ბოლოს დაინერა ესპანელი ლუსენის ტრაქტატი. ამ პერიოდს მიაკუთვნებენ აგრეთვე ეგრეთ წოდებულ ჰეტინგენის ხელნაწერს (ავტორის ვინაობა უცნობია). 1512 წელს რომში იტალიურ ენაზე გამოიცა პორტუგალიელი დამიანოს წიგნი. მას სხვა წიგნებიც მოჰყვა. საინტერესოა, რომ ლეონარდოს სეკუნდანტის ჯულიო პოლერიოს ღრმად შინაარსიანი ნაშრომი, რომლითაც მოჭადრაკეები თითქმის ორი საუკუნის მანძილზე სარგებლობდნენ, სტამბურად მხოლოდ 1873 წელს გამოვიდა. ბოლერიომ ბევრად გაუსწრო თანამედროვეებს. მას განხილული აქვს თითქმის ყველა ცნობილი ღია დებიუტი.

XVII საუკუნეში ჭადრაკი დიდად პოპულარულია არა მარტო ესპანეთსა და იტალიაში, არამედ საფრანგეთში, ინგლისში და გერმანიაშიც. მოჭადრაკეთა პაექრობები ფართო საზოგადოების ყურადღებას იქცევს.

ამ დროს ჭადრაკის იტალიურ სკოლას თავკაცობს ჯოაკინო გეკო (1600-1634). იგი ბევრს მოგზაურობს, თამაშობს მატჩებს და ჭადრაკის დიდ პროპაგანდას ეწევა. საყოველთაო მოწონება დაიმსახურა მისმა ნაწერებმა (რამდენიმე რვეულმა), რომლებიც სხვა ენებზეც ითარგმნა.

გრეკოს მოღვაწეობის პერიოდში (XVII ს.) საძირკველი ჩაეყარა ჭადრაკის იტალიურ ანუ კალაბრიულ სკოლას (კალაბრია გრეკოს მშობლიური მხარეა). იტალიური სკოლის დამახასიათებელი ნიშანია თავიდანვე მეტოქის მეფის დალაშქვრისკენ სწრაფვა, მსხვერპლის თამამად გაღება შამათის მიზნით. ბევრ შემთხვევაში იერიში მოკლებული იყო საღ აზრს, გონიერებას და ბრძოლის ბედი შემთხვევითი კომბინაციის ან დაგებული მახის შემწეობით წყდებოდა.

იტალიურმა სკოლამ უდავოდ დადებითი როლი შეასრულა საჭადრაკო აზროვნების განვითარებაში. მან ნიადაგი მოამზადა ჭადრაკის შემდგომი სრულყოფისათვის, საფუძველი ჩაუყარა დებიუტებისა და ენდშპილის ანალიტიკურ შესწავლას.

თენგიზ გიორგაძე

ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

ეროვნული ფეხბურთელი



1960 წელი. სკვო-ველი, აშშ ზამთრის VIII ოლიმპიური თამაშების ემბლემა და medali

● პირველი. პირველმა. პირველად...

პირველი აკადემიური ნავი შეიქმნა ინგლისში. იქვე 1715 წლიდან რეგულარულად ტარდებოდა შეჯიბრებები ერთეულთა კლასში.

პირველმა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატში 400 მატჩი ჩაატარა **ვიქტორ შუსტიკოვმა.**

პირველად ტელერეპორტაჟი ოლიმპიური თამაშებიდან გადაიცა 1936 ნელს (ბერლინი).

● ვიქტორინა.

1. დაასახელეთ ლეგენდარული მორაგბე, რომელმაც ევერესტი დაიპყრო

ა – ჯონა ლომუ
ბ – შონ ფიცპატრიკი
გ – რიჩარდ პარქსი

2. რომელია ის ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც მსოფლიოში წლის საუკეთესო სპორტსმენად დასახელდა?

ა – მარადონა
ბ – პელე
გ – ზიდანი

3. დაასახელეთ მარათონულ რბენაში ოლიმპიურ სარბიელზე ზედიზედ ორგზის გამარჯვებული

ა – ვლადიმერ კუცი
ბ – სტეფან გალდინი
გ – აბეგე ბიკილა

4. ვინ იყვნენ ელადონიკები ანტიკურ ოლიმპიურ თამაშებში?

ა – მაცნეები
ბ – მსაჯები
გ – გამარჯვებულები

5. აღორძინებულ პირველ ოლიმპიურ თამაშებში 1896 წელს ერთმა ათლეტმა სპორტის სამ სახეობაში — ტანვარჯიში, ძალოსნობა, ჭიდაობა მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. ვინ იყო იგი?

ა – კარლ შუმანი (გერმანია)
ბ – ფრენკ ანგლერი (აშშ)
გ – დანიელ ნორლინგი (შვეცია)

:იდნაზიერ

● თარიღი. 28 მაისი - ვიკნისი

28. 05. 2006 წ. ფორმულა 1-ის მონაკოს გრან-პრი მოიგო ალონსომ, მაგრამ დაჯილდოებამ შამპანურის გარეშე ჩაიარა. ასე მიაგეს პატივი საბურავების ფირმა „მიშელინის" მფლობელ ედუარდო მიშელინის ხსოვნას, რომელიც რბოლამდე ორი დღით ადრე, 26 მაისს გარდაიცვალა.

29. 05. 1960 წ. გამოვიდა ყოველკვირეული „ფუტბოლის" პირველი ნომერი.

29. 05. 1985 წ. ბრიუსელის ეიზელის სტადიონზე მოხდა ტრაგედია. ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩისას („იუვენტუსი"-„ლივერპული") დაიღუპა 39 ადამიანი.

31. 05. 1970 წ. „აცტეკას" სტადიონზე მექსიკა-სსრკ (0:0) მეხიკოში გაიხსნა ფეხბურთში IX მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ტურნირი.

31. 05. 1986 წ. „აცტეკის" სტადიონზე იტალია-ბულგარეთის (1:1) მატჩით გაიხსნა ფეხბურთში XII მსოფლიო ჩემპიონატი.

01. 06. 1993 წ. პარაგვაის საფეხბურთო ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში, მსაჯმა მოედნიდან 20 მოთამაშე გაიძევა.

02. 06. 1891 წ. მიიღეს ირლანდიელი მაკრუმის წინადადება ფეხბურთში პენალტის შემოღების შესახებ.

03. 06. 1978 წ. ჰოლანდიელი რენსენბრინკის მიერ ჰოლანდია-ირანის მატჩში გატანილი გოლი მეათასე აღმოჩნდა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში.

● ლევილავარ ანთაძის კუთხე

ფეხბურთი ახლო ხედით

კარიდან დარტყმა

კარიდან დარტყმა — თამაშის განახლების ხერხია და ინიშნება მაშინ, როცა ბურთი ჰაერში ან მინაზე მთლიანად გადაკვეთს კარის ხაზს შემტევი გუნდის ფეხბურთელისგან. თუკი უშუალოდ კარიდან დარტყმის შემდეგ ბურთი არავის შეხებია და ისე გავიდა გოლი, მაშინ იგი ჩაითვლება. კარიდან დარტყმის დროს არ ფიქსირდება თამაშგარე მდგომარეობა. თუკი კარიდან დარტყმის შემდეგ ბურთი მიუვიდა მეტოქეს, რომელიც საჯარიმოში იმყოფება, დარტყმა უნდა განმეორდეს. კარიდან დარტყმა შეიძლება კარის ბაქანის ნებისმიერი ადგილიდან.

თუკი კარიდან დარტყმის შემდეგ, ისე, რომ არავის შეხებია, ბურთი უკან დაბრუნდა და კარში შევარდა, გოლი არ ჩაითვლება. თუკი მეკარის მიერ დარტყმის შემდეგ, სანამ ბურთი საჯარიმოს ფარგლებს დატოვებს, საჯარიმოში შეიჭრება თავდამსხმელი და მას მცველი უხეშად წააყენებს, ფეხბურთელი წითელი ბარათით დაისჯება, მაგრამ თამაში კარიდან განმეორებითი დარტყმით გაგრძელდება, რადგან სანამ მეკარის დარტყმული ბურთი საჯარიმოს არ დატოვებს, საჯარიმოში შესვლა არ შეიძლება.

კარიდან დარტყმის შესრულება შეუძლია ნებისმიერ ფეხბურთელს, არა მარტო მეკარეს.

● თავსატეხი „ანთა"

„ანთა" ინტელექტუალურ-გასართობი თავსატეხია საფეხბურთო ცხრილის შესახებ, თუმცა მის ამოსახსნელად სპორტის ამ სახეობის განსაკუთრებული ცოდნა საჭირო არ არის. თავსატეხის არსი კი შემდგომში მდგომარეობს: ჩვენ შემოგთავაზებთ პირობით ქვეჯგუფს ოთხი გუნდის შემადგენლობით, თუმცა, ყველა გრაფა, გარდა ბურთების ბალანსის, ქულისა და დაკავებული ადგილისა, იქნება ცარიელი. თქვენ უნდა დააკვირდეთ თითოეულ მონაცემს და ლოგიკურად შეავსოთ ცარიელი ისე, რომ არ დაირღვეს არსებული მონაცემები. დაადგინეთ ურთიერთშეხვედრების ანგარიშები და ასევე ის, რამდენი მოგება, ფრე და წაგება აქვთ პირობითად A, B, C და D გუნდებს.

შენიშვნა: თ-თამაში; მ-მოგება, ფ-ფრე; წ-წაგება; ბ-ბურთების ბალანსი; ქ-ქულა; ა-ადგილი.

ანთა					თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	ა
A									4-2	7	I
B									2-0	7	II
C									2-3	3	III
D									1-4	0	IV

წინა ამოცანის პასუხი

ანთა					თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	ა
A		1:1	3:0	1:0	3	2	1	0	5-1	7	I
B	1:1		0:0	2:1	3	1	2	0	3-2	5	II
C	0:3	0:0		1:0	3	1	1	1	1-3	4	III
D	0:1	1:2	0:1		3	0	0	3	1-4	0	IV

კროსვორდი



თარაზულად: 3. არბიტრი ანუ... 5. შეჯიბრების სანყისი, 6. საფრანგეთის საფეხბ. კლუბი, 9. ფეხბურთელი ... შიფო, 10. ცხენის მოსართავი, 11. 1960 წლის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი, 14. რუსთავის სტადიონი, 15. თბილისის „დინამოს" საფეხ. კლუბის სახელი 90-იანი წლების დასაწყისში, 17. მოედანი სასტენდო სროლისათვის, 18. რუსეთის საფეხ. კლუბი, 19. თანამედროვე მარადონა, 20. „მანჩესტერის" ფრანგი მცველი, 25. „რომას" კაპიტანი, 26. ქართული ჭიდაობის ილეთი, 27. ფრენბურთელები .. და გია, 31. ფეხბურთში მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ქვეყანა, 32. სპორტის სახეობა, 33. სპორტული ინფრასტრუქტურით ცნობილი სიდიდით მესამე ქალაქი იაპონიაში.

შვეულად: 1. „რეალის" ბრაზილიელი ვარსკვლავი, 2. იაზონის ხომალდი, 3. იტალიის საფეხ. კლუბი, 4. ლეგენდარული იტალიელი ფეხბურთელი, მეკარე, 5. ლატვიის საფეხ. გუნდი, 7. საქართველოს საფეხ. კლუბი, 8. კალათბურთელი, ... ბერდი, 12. სპორტნაწარმის ფირმა, 13. ქართველი მოჭადრაკე, ელიზბარ ..., 14. ლეგენდარული მწვრთნელი, ვისენტე ..., 16. თბილისში მიმდინარე მორაგბეთა საერთაშორისო ტურნირი, 21. ჩოგბურთის მოედანი, 22. „ატლეტიკის" ქალაქი, 23. გერმანული საფეხ. კლუბი, 24. დოლში მონაწილე, 28. ზამთრის VI ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 29. შეჯიბრების ნანილი, 30. ბავშვთა საფეხ. სკოლა და მოედანი თბილისში.

შეადგინა თენგიზ თომაშვილმა

გვერდი მომზადებულია **თენგიზ თომაშვილის პროექტით**

● ქართველები და ევრობასკეტი

ნაკრები კანზასსაც დაეჭიდება

საქართველოს ეროვნული გუნდი 24 ივლისს ავსტრიაში შეიკრიბება და 12 საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებს. დღემდე ცნობილი იყო მხოლოდ 10 მეტოქის ვინაობა. ესტონეთისა და ჰოლანდიის საერთაშორისო ტურნირებზე მეტოქეებად ამერიკის კოლეჯების გუნდები უნდა გვყავდეს, თუმცა, როცა მზადების გეგმა შედგა, მათი ვინაობა ცნობილი არ იყო.

გუშინ ესტონურმა გამოცემებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომლის თანახმად ტალინში გასამართ ოთხთა ტურნირზე მასპინძელთა, შვედებისა და ქართველების გარდა კანზასის კოლეჯის გუნდი ითამაშებს. თუმცა, მწვრთნელი **ფრენკ მარტინი** მხოლოდ კანზასელებს არ დაეყრდნობა - ესტონეთში ჩაიყვანს აიოვასა და სირაკუზის კოლეჯების გამორჩეულ კალათბურთელებს.

ესტონელები დიდ ყურადღებას ამახვილებენ საქართველოს ნაკრებზე, **ფაჩულია, შერმადინი, ცინცაძე, სანიკიძე**. მოკლედ, კარგი გუნდი გვეწვევაო... შვედეთის ნაკრებში კი სავარაუდოდ „დეტროიტის" მეფარე **იონას იერებკო** ითამაშებს.

ტალინის ოთხთა ტურნირი 5-7 აგვისტოს გაიმართება და ნაციონალური ტელევიზიით გადაიცემა.

ვაჟა სიმონიშვილი

● ლეგიონი

ბოლონიელებს სანიკიძის დაგოვება სურთ

ვიქტორ სანიკიძის „ვირტუსმა" იტალიის ჩემპიონატი მეოთხედფინალში დაასრულა - „მონტეპასკისთან" 1:3 დამარცხდა. ამ მოვლენიდან მეორე დღეს მთავარმა მწვრთნელმა **ლარდო ლინომ** გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა, რასაც კლუბის ხელმძღვანელი **კლაუდიო საბატინი** არ შეწინააღმდეგებია.

„ვირტუსი" უმწვრთნელოდ მხოლოდ ერთი დღე იყო - ლარდო ლინოს შემცვლელად **ალესანდრო ფინელი** დანიშნეს. 44 წლის სპეციალისტი ბოლოს „რეჯო ემილიას" წვრთნიდა, მანამდე „ლივორნოში", „იმოლაში", „ფერარასა" და „მონტეგრანაროში" მოღვაწეობდა.

მწვრთელის საკითხის მოგვარების შემდეგ ბოლონიელთა ხელმძღვანელობამ კალათბურთელებისთვისაც მოიცალა. მართალია, ჯერ ბევრი არაფერი გადაწყვეტილა, მაგრამ ერთი ფაქტია - „ვირტუსს" ფინანსურად ნამდვილად არ ულხინს და კლუბის ხელმძღვანელობაც ჯიბესქელი სპონსორის ძიებაშია.

საინტერესოა ვიქტორ სანიკიძის საკითხიც, რომელსაც კონტრაქტის ვადა სეზონის დასრულებასთან ერთად ამოეწურა. გუნდის პრეზიდენტმა კლაუდიო საბატინიმ გაზეთ „კორიერე დი ბოლონიასთან" ინტერვიუში რამდენიმე კალათბურთელზე ილაპარაკა. ზოგზე თქვა - ჩვენთან არ სურთ დარჩენა და გზა მშვიდობისა ჰქონოდეთო, ასევე ჩამოთვალა მოთამაშეები, რომელთა გუნდში დატოვებაზე უკვე მუშაობს:

- არის ზოგიერთი კალათბურთელი, რომლებსაც მომავალ სეზონშიც სიამოვნებით ვიხილავ „ვირტუსის" ფორმით: ვიქტორ სანიკიძეს, ჯარედ ჰოუმანს, ჯუზეპე პოეტას... დაველაპარაკებით და ყველაფერს გავარკვევთ.

ვაჟა სიომონიშვილი

● წინასადრაფტო მსჯელობა

შერმადინი სადრაფტო ცენტრების ტოპათეულში

NBA-ს დრაფტი 23 ივნისს გაიმართება. მასში ორი ქართველი მიიღებს მონაწილეობას - **გიორგი შერმადინი** და **თორნიკე შენგელია**. თორნიკე შედარებით ახალგაზრდაა (1991 წელსაა დაბადებული), ამიტომ შესაძლოა, ბოლო მომენტში მისმა აგენტმა განაცხადი გამოიტანოს. 216 სმ სიმაღლის (1989) გიორგი შერმადინი კი უშუალოდ დრაფტის ცერემონიალს დაესწრება.

მისი აყვანით ზოგიერთი კლუბი დაინტერესებას გამოთქვამს, თუმცა ჯერ-ჯერობით მხოლოდ ზოგად საუბრებს უნდა დავეყრდნოთ. მაგალითად: გუშინ ამერიკელმა ჟურნალისტმა **ტონი მეიამ** გამოცემა „პრო-ბასკეტბოლისთვის" წინასადრაფტოდ 10 საუკეთესო ცენტრი ჩამოთვალა. მეათე ნომრად გიორგი შერმადინი მოხვდა. აი, რას წერს ჟურნალისტი: *„ჯარგი ცენტრია. სავარაუდოდ, NBA-ს რომელიმე გუნდი აიყვანს და დროებით ევროპაში დააბრუნებს".*

ათეული ასე გამოიყურება: 1. ენეს კანტერი (თურქეთი), 2. დონატას მატიეუნასი (ლიტვა), 3. ლუკას ნოგუეირა (ბრაზილია), 4. იონას ვალანციუნასი (ლიტვა), 5. ჯერემი ტაილერი (სან დიეგო, აშშ), 6. მაიკლ დანიგანი (ჩიკაგო, აშშ), 7. კეიტ ბენსონი (ოკლენდი, აშშ), 8. ნიკოლა ვუჩევიჩი (სერბეთი), 9. ჯორდან უილიამსი (მერილენდი, აშშ), 10. გიორგი შერმადინი (საქართველო).

ვაჟა სიომონიშვილი

● საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი

ტექნიკოსებმა თსუ-ს დაასტუკეს

სტუ-ს გამარჯვებით დასრულდა საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი. ტექნიკოსებმა თსუ ფინალურ სერიაში 2:0 დაამარცხეს.

ბოლო წლებში ახალგაზრდულ პირველობას „რუსთავი" ლიდერობდა, რომლის საკვანძო ფიგურა **აკაკი დვალიშვილი** იყო. მან დაგროვილი გამოცდილება თსუ-სთან ფინალურ სერიაში გამოიყენა და სტუ-ს ჩემპიონობისკენ გაუძღვა. დვალიშვილმა ორი მატჩის ჯამში 55 ქულა და 36 მოხსნა მოაგროვა.

ტექნიკოსებს მეორე ლიდერიც ჰყავდათ: **ბექა ჩიკვილაძე**, რომელმაც პირველ შეხვედრაში 31 ქულა ჩააგდო, მეორეში - 19.

ვაჟა სიომონიშვილი

ფინალი

თსუ-სტუ 72:102

18:30, 13:30, 21:26, 20:1

თსუ: კობაიძე (4ქ), სუხაშვილი (2ქ, 3პ), ლეჟავა (2ქ, 4პ), ახალაია (11ქ), გაბისიანი (4ქ), ორმოცაძე, ბექაური (15ქ, 13მ, 4პ, 5დ), მაისურაძე (2ქ, 5მ), დეკანოიძე (9ქ, 9მ), ჩქარეული (23ქ, 6მ, 4ჩ), სანაია.

სტუ: ტეტელაშვილი (2ქ, 7მ, 5პ), გურაბანიძე (2ქ), ჩიკვილაძე (31ქ, 8მ), ლომოური (8ქ, 6მ, 5ჩ), ქოხონელიძე (6ქ, 3ჩ), გუგულაშვილი, მალრაძე (1ქ), ქევხიშვილი, ლაშქარაძე (6ქ), დვალიშვილი (33ქ, 21მ, 6პ, 3ჩ), ბაქრაძე (13ქ, 7პ, 3ჩ)

სტუ-თსუ 80:74

23:20, 14:19, 17:18, 26:17

სტუ: სტუ: ტეტელაშვილი (8ქ, 7მ, 7პ), გურაბანიძე, ჩიკვილაძე (19ქ, 8მ, 3პ, 4ჩ), ლომოური (15ქ, 2ჩ), ქოხონელიძე (2ქ), დვალიშვილი (22ქ, 15მ, 6დ, 3ჩ), ბაქრაძე (14ქ)

თსუ: ლეჟავა (12ქ, 4პ, 5ჩ), ახალაია (11ქ, 13მ), ორმოცაძე, ბექაური (14ქ, 11მ, 3პ, 2დ), მაისურაძე (23ქ, 7მ, 6პ), დეკანოიძე (9ქ, 8მ), ჩქარეული (5ქ, 3პ), სანაია.

● ჩოგბურთი



ჩახნაშვილმა დაასრულა

მაკა ჩახნაშვილმა (234) წარუმატებლად იასპარეზა იტალიურ გრადოში, 25-ათასიან ტურნირში. ჩვენი თანამემამულე მერვედფინალში ტურნირის პირველ ჩოგანს, ავსტრიელ **ივონ მოიზბურგერს** (124) გადაეყარა და ოდნავი წინააღმდეგობაც ვერ გაუწია - 0:6, 2:6. მოიზბურგერი აქამდეც სულ უგებდა ჩვენებურს, მაგრამ თანაბარ ბრძოლაში. მაკა წყვილთა თანრიგის მეოთხედფინალიდან დაეთხოვა გრადოს - მან და ბულგარელმა **ელიცა კოსტოვამ** (189) მოიზბურგერისა და **ჰანა ბირნეროვას** (ჩეხეთი) დუეტთან წააგეს - 2:6, 2:6.

მეხიკოს საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი დოლარი) პირველივე წრეში წააგო **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** (651) მასპინძელ **მიგელ გალიარდო-ვალესთან** (584) - 1:6, 5:7. ჩვენი პირველი ჩოგანი წყვილთა ბადესაც დაემშვიდობა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჩემპიონთა ვინაობას დღეს შევიგყობთ

ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიისა და კლუბ „სიტი სპორტის" კორტებზე გრძელდება 12, 14 და 16 წლის ჩოგბურთელთა საქართველოს პირველობა, რომელშიც ასამდე გოგონა და ვაჟი მონაწილეობს. 12-წლიანებმა შეჯიბრება გვიან დაიწყეს, ამიტომ ასპარეზობას ორშაბათს დაასრულებენ, დანარჩენ ორ ასაკში კი დღეს ნახევარფინალები და გადამწყვეტი ორთაბრძოლები გაიმართება.

გაუწყებთ გუშინდელ მეოთხედფინალურ შეხვედრათა შედეგებს:

16-წლიანები. გოგონები. ესთერ სარქისიანი-ნინო ჩიტიშვილი 6:1, 6:1. ბარბარე ერისთავი-გვანცა ჭინჭარაშვილი 6:2, 6:2. ანი გოგვაძე-კლეოპატრა ქარუმაშვილი 6:2, 6:3. მარიამ გოგელაშვილი-მარიამ მითაიშვილი 6:3, 6:3. ამ ასკის **ვაჟებისთვის** მეოთხედფინალური პაექრობები წინა დღეს მოეწყო. ნახევარფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: რატი ძიძიგური-გიორგი ჯავახიშვილი, ლევან ფაშიშვილი-ალექსანდრე დავლიანიძე, სარქისიანი-ერისთავი, გოგვაძე-გოგელაშვილი.

14-წლიანები. გოგონები. მარიამ ბოლქვაძე-ანი დობორჯგინიძე 6:2, 6:0. ანანო ახალკაცი-ნანო ჯანელიძე 6:4, 6:3. მედეა პეტრიაშვილი-მარიამ მითაიშვილი 5:7, 6:4, 6:2. თამარ კუტუბიძე-მარიამ ამირანაშვილი 6:2, 6:2. **ვაჟები.** გიორგი ბუზალაძე-საბა ხუციშვილი 6:1, 6:1. ირაკლი კერესელიძე-ზუკა ტყემალაძე 7:5, 3:6, 6:2. ირაკლი მეტრეველი-გიორგი კაკულია 6:3, 6:1. გიორგი დათაშვილი-გიორგი ნადიბაიძე 6:0, 6:0.

ნახევარფინალში ითამაშებენ: **ბოლქვაძე-ახალკაცი, პეტრიაშვილი-კუტუბიძე; ბუზალაძე-კერესელიძე, მეტრეველი-დათაშვილი.**

ვაჟა დანელია

საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება ვეტერანი ძალოსნის, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის და რეკორდსმენის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის

ელგუჯა დვალის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა წარსულში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი ძალოსნობაში, სპორტის ამ სახეობაში თაობების აღმზრდელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი

ელგუჯა დვალი

და უსამძიმრებს მის ოჯახს.

საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაცია თანაუგრძნობს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველ ვიცე-პრეზიდენტს ბატონ რამაზ გოგლიძეს დედის გარდაცვალების გამო.

საქართველოს ჭადრაკის ეროვნული ფედერაცია თანაუგრძნობას უცხადებს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველ ვიცე-პრეზიდენტს რამაზ გოგლიძეს დედის გარდაცვალებით გამოწვეულ ღრმა მწუხარებაში.

ოთელო ქორაქიძე სახელობის
სუპერთასი
თბილისის სპორტის სასახლე
29 მაისი
არმია - მსხ 14:00

● ლეგიონერები

კლერმონი რეკორდს უმიზნებს, მონპელიე ფინალს

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში დღეს ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართება. ქვეყნის ჩემპიონის ტიტულისთვის ქართველ მორაგბეთა ორი გუნდი, „კლერმონი და „ტულონი“ იბრძვის.

ჩემპიონატის შარშანდელი გამარჯვებული, **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი“ მარსელში დაუპირისპირდება ფრანგული რაგბის ერთ-ერთ ყველაზე ტიტულოვან „ტულუზს“, რომელმაც ნლეულს რეგულარული გათამაშება მოიგო.

მიმდინარე ჩემპიონატში „ვულკანებმა“ მეტოქეს შინ 32:25 მოუგეს, სტუმრად კი, მეორე წრეში 6:15 წააგეს. სპეციალისტთა შეფასებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ გუნდების შეხვედრა, ფაქტობრივად ფინალია.

„კლერმონი“ და „ტულუზი“ საფრანგეთის ჩემპიონატში ყველაზე შედეგიანი გუნდები არიან. ჩვენებურის გუნდმა 61 ლელო გაიტანა, ტულუზელების ანგარიშზე კი ერთით მეტია. „ვულკანები“ ეცდებიან რეკორდი დაამყარონ. გამარჯვების შემთხვევაში ისინი ზედიზედ მეხუთედ ითამაშებენ ფინალში. სულ კი მათ ანგარიშზე 12 ფინალია. აქედან, მხოლოდ ერთხელ შეძლეს ჩემპიონის ტიტულის მოპოვება.

განსხვავებული, ბევრად უკეთესი სტატისტიკა აქვს „ტულუზს“. ამ გუნდმა საფრანგეთის ჩემპიონატის ფინალში თვრამეტჯერ ითამაშა და ჩემპიონი თერთმეტჯერ გახდა. ბოლოს ტულუზელებმა 2008 წელს ფინალში სწორედ „კლერმონი“ დაამარცხეს.

ამ შეხვედრაში საინტერესო იქნება, როგორ ითამაშებს „ტულუზის“ მგეზავი **დავიდ სკრელა,** რომელიც მომავალი სეზონიდან უკვე „ვულკანების“ კვართს მოირგებს. ზირაქაშვილი სათადარიგოთა შორისაა.

მარსელში გაიმართება მეორე ნახევარფინალური მატჩიც, რომელშიც ერთმანეთს **მამუკა გორგოძის, გიორგი ყღენტის, გოდერძი შველიძის, გიორგი ჩხაიძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიე“ და პარიზული „მეტრო რასინგი“ დაუპირისპირდება.

მონპელიელებმა თავისი მოკლე ისტორიის მანძილზე (კლუბი 1984 წელსაა დაარსებული) პლეი ოფის ნახევარფინალში პირველად გააღწიეს. რასაც ვერაფრით ვიტყვით მათ მეტოქეზე. „მეტრო რასინგი“ სულაც საფრანგეთის პირველი ჩემპიონია, თუმცა ას წელინადზე მეტი ისტორიის განმავლობაში, ამ გუნდმა ბევრ ქარტეხილს გაუძლო. ელიტარული, პირველი დივიზიონი არაერთხელ დაუტოვებია, მაგრამ უკან, საუკეთესოთა შორის დაბრუნებას მუდამ ახერხებდა.

ამჟამად პარიზულ გუნდს მშვენიერი დროება უდგას. გუნდს საფრანგეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, ლეგენდარული **პიერ ბერბიზიე** წვრთნის და საკმაოდ საფუძვლიანი, საჩემპიონო ამბიციები აქვს.

სერიოზული ცვლილებები მოხდა ბოლო კვირაში „მონპელიეს“ დირექტორატში. კლუბის აქციების საკონტროლო პაკეტი ბიზნესმენ **მოჰედ ალტრადის** ხელში გადავიდა, რაც მას, სულ რაღაც 2 400 000 ევროდ დაუჯდა. სამაგიეროდ, გუნდის დაფინანსებაზე უარი განაცხადა „ნიკოლინის“ ჯგუფმ,. რაც ალტრადის ძალიან გაუკვირდა და ნიკოლინების ოჯახს თანამშრომლობა შესთავაზა. ამაზე „მონპელიეს“ ახალმა შეფმა ცივი უარი მიიღო.

ამდენად, მარსელში „ველოდრომზე“ გუნდის საქომაგოდ მხოლოდ მოჰედ ალტრადი მივა. მამაშვილი ნიკოლინები კი ლონდონში გაემგზავრებიან ფეხბურთში ჩემპიონთა ლიგის ფინალის საყურებლად.

ერთი სიტყვით, მარსელში ორივე გუნდი გამარჯვების მისაღწევად არაფერს დაიშურებს. პარიზელებს დისკვალიფიცირებული **სებასტიან შაბალი** დააკლდებათ. „მონპელიე“ კი ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშებს. გუნდის გაფართოებულ სიაში ქართველთაგან მხოლოდ გორგოძე, ყღენტი და შველიძე არიან.

I დივიზიონი

ნახევარფინალი

კლერმონი-ტულუზი,
მონპელიე-მეტრო რასინგი

ფედერალ 1 დივიზიონში ხვალ პლეი ოფის მეოთხედფინალის განმეორებითი შეხვედრები გაიმართება. ელიტურ, მეორე დივიზიონში ასვლას ქართველ მორაგბეთა სამი გუნდი ცდილობს.

„ქართული გუნდებიდან“ ყველაზე რთული მდგომარეობა **გიორგი მჭედლიშვილისა** და **ლაშა მალაღურაძის** „ბეზიეს“ აქვს, რომელმაც პირველ მატჩში სტუმრად წააგო „ბურგ ან ბრესთან“ - 9:23 და ახლა 14-ქულიანი დეფიციტის აღმოსაფხვრელად დიდი გარჯა დასჭირდება.

ნახევარფინალში გასვლის ერთნაირი შანსი აქვთ „მასის“ და „პერიგოს“. **შალვა სუთიაშვილის, სანდრო ესაკიას, დავით აშვეთიასა** და **არჩილ კობაურის** „მასის“ პირველ შეხვედრაში სტუმრად მინიმალური სხვაობით წააგო „ლიმოჟთან“ და, წესით, ერთ ქულაზე მეტით მოგება არ უნდა გაუჭირდეთ.

წარმატების შემთხვევაში „მასის“ მეტოქე იქნება **თედო ზიბზიბაძის, ალექსანდრე მარგველაშვილის, ირაკლი ნინიძისა** და **დავით დადუნაშვილის** „პერიგო“, რომელიც პირველ მატჩში სტუმრად ფრეს დასჯერდა „ბობინისთან“ - 22:22.

ტრავმის მოშუშების შემდეგ გუნდს დაუბრუნდა საქართველოს ნაკრების შუამარბი თედო ზიბზიბაძე, რომელმაც პერიგოელთა გუნდიდან ერთადერთი ლელო გაიტანა და მარცხისგან იხსნა.

ფედერალ 1

მეოთხედფინალი

მასი-ლიმოჟი (18:19), პერიგო-ბობინი (22:22), ბეზიე-ბურგ ან ბრესი (9:23), ტიროსი-ვანი (12:9)

ბურთით მამუკა გორგოძე

● მსოფლიო ალაფი

საქართველო-კანადა

მოგდევნო მეტოქე ზიმბაბვეა-ისევ ავჭალაზე

„მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის“ გათამაშებაში, რომელიც იმავდროულად 2012 წელს სამხრეთ აფრიკაში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირიცაა, მეორე ტურის შეხვედრები გაიმართება.

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები „ავჭალის“ სარაგბო სტადიონზე ზიმბაბველ თანატოლთა გუნდს დაუპირისპირდება. „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა“ პირველ ტურში კანადის ნაკრები დაამარცხეს დიდი ანგარიშით - 38:9 და დაამტკიცეს, რომ B ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება რეალურად შეუძლიათ.

კანადელებთან მატჩისგან განსხვავებით ჩვენი გუნდის შემადგენლობაში სამი ცვლილებაა. პირველ ხაზში, შერკინების კვაჭ **მერაბ მატკავას** ნაცვლად **ირაკლი ჩომახაშვილი** ითამაშებს. ტრავმირებულ მგეზავ **გოდერძი ჭინჭარაულს** კი **ლუკა კვარაცხელია** შეცვლის. გუნდის განაცხადში არ არის გარემარბი **გიორგი აბრამიძეც,** რომლის ადგილიც ძირითად შემადგენლობაში **ლევან გოგოლაშვილმა** დაიკავა.

ამავე ჯგუფში საკმაოდ საინტერესო ორთაბრძოლაა მოსალოდნელი კანადისა და იაპონიის ნაკრებებს შორის. „ნეკერჩხლის ფოთლები“ საქართველოს ნაკრებთან წაგების შემდეგ, ყველა ღონეს იხმარენ, რომ მათთვის შექმნილი რთული მდგომარეობა გამოასწორონ. იაპონელები კი, ჯგუფში პირველობაზე ოცნებობენ და, ცხადია, საამისოდ მხოლოდ გამარჯვება სჭირდებათ.

A ჯგუფში ერთმანეთს ლიდერები - სამოასა და ურუგვაის ნაკრებები დაუპირისპირდებიან. კუნძულელებმა პირველ ტურში ყველაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, თუმცა სამხრეთამერიკელებიც საკმაოდ მებრძოლი, ტექნიკური მორაგბეები არიან და, თუ ჯგუფში პირველობა უნდათ, სამოას აუცილებლად უნდა მოუგონ.

საქართველო-ზიმბაბვე

საქართველო: 15. ბახვა კობახიძე, 14. ზურაბ ძნელაძე, 13. დავით ლოსაბერიძე, 12. გიორგი მარგიანი, 11. ლევან გოგოლაშვილი, 10. ლუკა კვარაცხელია, 9. რამაზ ჯინაშვილი. 1. ზურაბ ჟვანია, 2. ირაკლი ჩომახაშვილი, 3. ლევან ჩილაჩავა, 4. ბექა ბიწაძე, 5. კოტე მიქაუტაძე, 6. გიგა თხილაიშვილი, 7. გიორგი ტყეშელიაძე, 8. ლევან თხელიძე.

16. მერაბ მატკავა, 17. ზურაბ ნავროზაშვილი, 18. გიორგი ყღენტი, 19. ნიკოლოზ ჩხიკვაძე, 20. ჯიმი ღამბაშიძე, 21. უჩა მჭედლიშვილი, 22. ვანო გაბროშვილი.

ზიმბაბვე: 15. ლუნგი ცუმა, 14. ჯასტინ კოლისი, 13. დილან კუცია, 12. კორი ფან რინსბურგი, 11. კუდა ჩივანზა, 10. ტომი ნელსონი, 9. ჩარლზ ჯიჯი. 1. მურეი ბრის როჯერსი, 2. ტატენდა კარურუ, 3. იან მუზა, 4. ტაკუ ჯარავაზა, 5. გრემ ლოგანი, 6. ტაკუდზვა მანდივაზა, 7. ტატენდა ჩიკაკა, 8. მარკო მემა.

16. სიმბა გონიზი, 17. დელროი სიბანდა, 18. ზერუ მაკომვა, 19. რეჯის მატანგადურა, 20. ჰილტონ მუდარიკი, 21. მარკუს ნილი, 22. შონ ლინფილდი.

მსაჯი: ხოაკინ მონტესი (ურუგვაი)

მსოფლიო ალაფი

II ტური

A ჯგუფი

სამოა-ურუგვაი, რუსეთი-აშშ

B ჯგუფი

საქართველო-ზიმბაბვე, იაპონია-კანადა

საბურნირო მდგომარეობა

A ჯგუფი: 1. სამოა - 5 ქულა, 2. ურუგვაი - 4, 3. რუსეთი - 0, 4. აშშ - 0

B ჯგუფი: საქართველო - 5 ქულა, 2. იაპონია - 5, 3. ზიმბაბვე - 0, 4. კანადა - 0

● ზე რაგბი

ჩემპიონების ბოლო შანსი

ზე რაგბის გათამაშების მე-15 ტური A და B ჯგუფის მესამეადგილოსნების, ველინგთონის „ჰარიკენზისა“ და პერთის „ფორსის“ დაპირისპირებით დაინყო. თამაში საკმაოდ საინტერესო გამოდგა და მაყურებელმა ჯამში შვიდი ლელო იხილა.

ველინგთონელებმა პირველი ტაიმი 10:18 წააგეს, თუმცა შესვენების შემდეგ უკეთ ათამაშდნენ და 34:28 მოიგეს. მასპინძლებმა მეტოქეს ოთხი ლელო გაუტანეს, აქედან ორი შუამარბ **მაა ნონუს** ანგარიშზეა.

ტურის ცენტრალური შეხვედრა გაიმართება ბრისბენში, სადაც A ჯგუფის ლიდერი „რედსი“ ზე რაგბის ყველაზე ტიტულოვან გუნდს, ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზს“ დაუპირისპირდება. ქრიასთჩერჩელებს, რომლებსაც 48 ქულა დაუგროვდათ და B ჯგუფში მეორე ადგილზე არიან, შესანიშნავი შანსი აქვთ ლიდერ ოქლენდის „ბლუზს“ გაუსწრონ.

„კრუსეიდერზი“ ამ მატჩის წინ კარგ ხასიათზეა, რადგან ახლახან გუნდთან ოთხი წლით გაახანგრძლივეს კონტრაქტი ნამყვანმა მოთამაშეებმა, **რიჩი მაქკოუმ** და **დენ კარტერმა.**

C ჯგუფის ლიდერი კეიპთაუნის „სტორმერზი,“ სტუმრად A ჯგუფის მეოთხეადგილოსან კანბერის ბრამბიზს“ დაუპირისპირდება, რომელიც აბსოლუტურად უმოტივაციოდაა. ამიტომ, ადვილი შესაძლებელია, სტორმერზელებმა მეტოქეს უპრობლემოდ სძლიოს.

შარშანდელი ჩემპიონი, პრეტორიის „ბლუ ბულზი“ შინ მიიღებს ბლუმფონტეინის „ჩიტაზს“. „ლურჯი ხარები“ C ჯგუფში 40 ქულით მესამე ადგილზეა და მეორეადგილოსან დურბანის „ნატალ შარქსს“ სამი ქულით ჩამორჩება. „ზვიგენები“ თავის მხრივ, შინ დაუპირისპირდება B ჯგუფის მეორეადგილოსან სიდნეის „ვორათაზს“.

XV ტური

A ჯგუფი

ბრამბიზი-სტორმერზი, რედსი კრუსეიდერზი

საბურნირო მდგომარეობა

1. რედსი - 54, 2. ვორათაზი - 45, 3. ფორსი - 28, 4. ბრამბიზი - 24, 5. მელბურნ რებლზი - 19

B ჯგუფი

ჰარიკენზი-ფორსი 34:28, ჰაილენდერზი-ლაიონზი

საბურნირო მდგომარეობა

1. ბლუზი - 50 ქულა, 2. კრუსეიდერზი - 48, 3. ჰაილენდერზი - 43, 4. ჰარიკენზი - 34, 5. ჩიფსი - 30

C ჯგუფი

ნატალ შარქსი-ვორათაზი, ბლუ ბულზი-ჩიტაზი

საბურნირო მდგომარეობა

1. სტორმერზი - 48 ქულა, 2. ნატალ შარქსი - 43, 3. ბლუ ბულზი - 40, 4. ჩიტაზი - 34, 5. ლაიონზი - 19.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

msy.gov.ge

უსახოური სპორტი

NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი



ლებრონი და MVP

დიდი ტრიო ფინალშია

დიდი ხანი კონფერენციათა ფინალები ასეთი ერთნაირი არ ყოფილა. ისევე როგორც „დალასისა“ და „ოკლაჰომას“ სერიაში, „ჩიკაგოსა“ და „მაიამის“ დაპირისპირებაში ახალგაზრდა გუნდმა ვერ შეინარჩუნა თითქმის გარანტირებული გამარჯვება. ამჯერად „ოკლაჰომას“ როლში აღმოჩნდა **ტომ ტიბოდოს** ახალგაზრდა გუნდი, რომელმაც ბრწყინვალე თამაშის მიუხედავად, სასნაულებრივ ვერ შეინარჩუნა 12-ქულიანი უპირატესობა.

შეხვედრის დებიუტი ნამდვილად გაახარებდა „ხარების“ გულშემატკივრებს. მართალია, მასპინძლებმა პირველივე წუთებიდან ალღო ვერ აუღეს „ჰიტის“ თამაშს, მაგრამ სწრაფად მოეგნენ გონს და ორივე ფართან აქტიური თამაში დაიწყეს. მაგალითად, „ბულზის“ მცველებმა შესანიშნავად იმუშავეს მეტოქის „დიდი ტრიოს“ წინააღმდეგ, იმ დროს, როცა თავდასხმაში შეუდარებლად მოქმედებდნენ **დერიკ როუზი** და **ლუოლ დენგი**.

მეორე მეოთხედი პირველის ლოგიკური გაგრძელება გახდა. ფლორიდელებს ბევრი არაფერი გამოსდიოდათ შეტევაში, არადა, **ლებრონ ჯეიმსი** და **კრის ბოში** ამ მატჩში თითქმის პაუზის გარეშე თამაშობდნენ, რასაც ვერ ვიტყვით **დუეინ უეიდზე**, რომელსაც მხარი ჰქონდა დაზიანებული. შესაბამისად, უკვე მეორე 12-წუთეულში „ხარების“ უპირატესობა 12 ქულამდე ავიდა. მიუხედავად ამისა, დიდი შესვენებისთვის „ჩიკაგომ“ 10 ქულაზე მეტი ვერ მოიგო.

უნდა ითქვას, რომ ამ შეხვედრაში „ბულზს“ ბევრი რამ გამოსდიოდა. გუნდმა მოიგო მოხსნები, უკეთესად ათამაშებდა ბურთს, ნაკლები შეცდომა დაუშვა, მეტი ჩაადგო სამწერტილიანიდან და სწრაფი გარღვევების დროს. თუმცა ეს არ აღმოჩნდა საკმარისი წარმატებისთვის.

მეორე ტაიმის დასაწყისი იმავე სცენარით წარიმართა, როგორც პირველი. **ტომ ტიბოდოს** შეგირდები დამაჯერებლად აკონტროლებდნენ თამაშს და ინარჩუნებდნენ მეტ-ნაკლებად კომფორტულ უპირატესობას. მაგრამ მესამე მეოთხედის შუაში ჩიკაგოელებს რატომღაც ნერვებმა უმტყუნეს. ყველაფერი ლებრონ ჯეიმსის წინააღმდეგ **კარლოს ბუზერის** უხეშობით დაიწყო. ამის შემდეგ „ბულზის“ მოთამაშეები აგრძელებდნენ უხეშობას და „ჰიტს“ სასიცოცხლო მნიშვნელობის ტექნიკურ ჯარიმებს აგდებინებდნენ. იმის გათვალისწინებით, რომ „მაიამის“ ბევრი არაფერი გამოსდიოდა შეტევაში, ხოლო მათმა ლიდერმა თამაშიდან ზედიზედ 9 სროლა ააცილა, ასეთი შეცდომები მასპინძლებს, შესაძლოა, ძვირად დაჯდომოდათ.

ადგილობრივი პუბლიკისთვის საბედნიეროდ, „ჩიკაგო“ გაუმკლავდა ამ წარუმატებელ მონაკვეთს. საპასუხო სპურტის ინიციატორი „ხარების“ ვეტერანი **კურტ ტომასი** გახდა. ამ სერიაში ის პირველად გამოჩნდა მოედანზე და ბრწყინვალედ ითამაშა. რამდენიმე ზუსტმა ტყორცნამ და უმნიშვნელოვანესმა მოხსნებმა მასპინძლებს 10-ქულიანი უპირატესობა დაუბრუნეს. ეს ყველაფერი მეოთხე მეოთხედში მოხდა.

ვეტერანის თამაშის შემხედვარე გაჩნდა კითხვა - რატომ არ ენდობოდა წინა მატჩებში ტომ ტიბოდო ტომასს? მართალია, **ომერ აშიქი** პერიოდულად საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ ფლორიდაში გამართულ წინა ორ მატჩში აშკარად ჩანდა, რომ „ჩიკაგოს“ სწორედ ასეთი გამოცდილი კალათბურთელი აკლდა. არადა, იმის გახსენებაც შეიძლება, რა შესანიშნავად გამოიყურებოდა ტომასი რეგულარულ ჩემპიონატში, როცა ტრავმირებულ **ჟოაკიმ ნოას** ცვლიდა.

საბოლოოდ, ტიბოდო იმდენად მოიხიბლა კურტისა და **გიბსონის** თამაშით, რომ უბრალოდ დაავიწყდა, სათადარიგოთა სკამზე ბუზერი და ნოა რომ ჰყავდა. რთული გასახსენებელია გუნდი, რომელიც კონფერენციის ფინალის მატჩს ისე ასრულებდა, რომ რეზერვში ჰყავდა გადასროლილი ორი წამყვანი კალათბურთელი.

ტიბოდო შეცდომებისთვის ყველაზე არასასურველ მომენტში დაისაჯა. „ჯალათის“ როლში ლებრონი და უეიდი მოგვევლინენ. ბოლო წუთებში 14:2 გაქცევის შემდეგ სტუმრებმა არათუ გაათანაბრეს ანგარიში, არამედ ორი ქულით წინ გასვლაც მოახერხეს. თავის ბოლო სრულფასოვან შეტევაში „ჩიკაგო“ ტრადიციულად დერიკ როუზს ენდო. სეზონის MVP-მ შეძლო ლებრონის მოტყუება და მას ჯარიმის აღება აიძულა. დერიკმა პირველი ჯარიმა ჩაადგო, მეორე ააცილა და საფინალო სირენამდე 16 წამით ადრე ანგარიში იყო 81:80 „მაიამის“ სასარგებლოდ.

ბუნებრივია, „ხარებმა“ შეგნებული ჯარიმის ტაქტიკას მიმართეს, მაგრამ ბოშმა ორივე საჯარიმო ჩაადგო - 83:80. ბოლო შეტევაში ილინოისელებს აუცილებლად სჭირდებოდათ სამქულიანი, მაგრამ მასპინძლები „ჰიტის“ მჭიდრო პრესინგის პირობებში დაიბნენ. შედეგად როუზმა მოუმზადებელი სამქულიანი ესროლა და, რა თქმა უნდა, ააცილა.

დერიკი მატჩისა და მთლიანად სერიის ანტიგმირი აღმოჩნდა. გუშინ მან 29 ტყორცნიდან მხოლოდ ცხრა მოათავსა კალათში. „მაიამისთან“ ოთხ ნაგებულ მატჩში როუზმა ჯამში 98-ჯერ ესროლა. ეს არის საშუალოდ 24.4 ტყორცნა მატჩში. სულ ჩააგდო 32 ბურთი. მივიღეთ რეალიზაციის 32.6 პროცენტი. კომენტარი ზედმეტია.

„ჩიკაგო“ არდადეგებზე გაემგზავრა, რომლის დროსაც ტიბოდოს სერიოზული მუშაობა მოუწევს შეცდომების გასაანალიზებლად. „მაიამის“ კი წინ აქვს თავის ისტორიაში მეორე სუპერფინალი, სადაც მას ძველი ნაცნობი „დალას მავერიქსი“ ელოდება.

ალმოსავლეთი

ჩიკაგო–მაიამი 80:83

25:21, 20:17, 17:19, 18:26

ჩ: როუზი (25+8 პასი+5 მოხსნა), დენგი (18+7 მოხსნა+4 პასი), ბრიუერი (10), ბუზერი (5+6 მოხსნა), ნოა (5+8 მოხსნა+3 დაფარება), ბოგანსი (5), კორვერი (5), ტომასი (4+8 მოხსნა), უოტსონი (3), გიბსონი (0+7 მოხსნა).

მ: ჯეიმსი (28+11 მოხსნა+6 პასი+3 ჩაჭრა+2 დაფარება), უეიდი (21+6 მოხსნა), ბოში (20+10 მოხსნა+4 დაფარება), მილერი (7+6 მოხსნა), ჩელმერსი (4), ენტონი (3+2 დაფარება), ჰასლემი (0+5 მოხსნა).

სერია: 1-4

ფინალი

21 მაისი - მაიამი-დალასი
2 ივნისი - მაიამი-დალასი
5 ივნისი - დალასი-მაიამი
7 ივნისი - დალასი-მაიამი
9 ივნისი - დალასი-მაიამი
12 ივნისი - მაიამი-დალასი
14 ივნისი - მაიამი-დალასი

ახალი გუნდი ბრუკლინ ნეტსი



„ნიუ ჯერსის“ ხელმძღვანელობა უახლოეს თვეში გამოაცხადებს გუნდის ახალ სახელწოდებას. შეგახსენებთ, რომ „ნეტსი“, რომლის მფლობელია რუსი მილიარდერი **მიხაილ პროხოროვი**, 2012 წლიდან ბრუკლინში ახალ არენაზე სათამაშოდ გადადის.

სწორედ ამის გამო გუნდის ახალი სახელწოდება იქნება - „ბრუკლინ ნეტსი“. ამის შესახებ უკვე რამდენჯერმე ახსენა „ნიუ ჯერსის“ გენერალურმა მენეჯერმა **ბრეტ იორმარკმა**.

■ ■ ■

როგორც ჩანს, „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ ახალი ისტორიის მიჯნაზე დგას. მთავარ მწვრთნელად **მაიკ ბრაუნის** დანიშვნა პირველი ნაბიჯია იმ გარდაქმნებისკენ, რომელიც გუნდის მფლობელებმა ჩაიფიქრეს.

კლუბთან დაახლოებული სანდო წყაროს ცნობით, უახლოეს ორ წელიწადში „ლეიკერსის“ შემადგენლობა კარდინალურად შეიცვლება.

„ლეიკერსის“ ხელმძღვანელობა სამი-ოთხი წლით წინ იყურება. მათ უკვე მიანიშნეს ყველას, რომ უახლოეს სეზონებში გუნდში კარდინალური ცვლილებები მოხდება“, - აცხადებს ინკოგნიტო ინფორმატორი.

ქალათბურთი

ცუდი ამბავი ავსტრალიიდან

ავსტრალიაში გარდაიცვალა თანამედროვე ქალთა კალათბურთის ყველაზე ტანმაღალი მოთამაშე, პოლონელი **მალგოჟატა დიდეკი.** 37 წლის სპორტსმენს ერთი კვირის წინ გულის შეტევა ჰქონდა. მკურნალობამ შედეგი არ გამოიღო და ვეტერანი კალათბურთელი საავადმყოფოში გარდაიცვალა. დიდეკის სიმაღლე 218 სანტიმეტრი იყო.

დიდეკი ბოლო დროს ერთ-ერთ ავსტრალიურ კლუბში მთავარ მწვრთნელად მუშაობდა. კალათბურთელმა გონება ქალაქ ბრისბენში საკუთარ სახლში დაკარგა. ექიმებმა ის ხელოვნური კომის მდგომარეობაში გადაიყვანეს, მაგრამ გადარჩენა მაინც ვერ შეძლეს. დიდეკი მესამე ბავშვზე იყო ფეხმძიმედ.

პოლონელმა კალათბურთელმა ქალთა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში თამაშით გაითქვა სახელი. დიდეკი WNBA-ში „იუტა სტარზის“, „სან ანტონიო სილვერ სტარზის“, „კონეკტიკუტ სანისა“ და „ლოს ანჯელეს სპარკსის“ რიგებში თამაშობდა და ასოციაციის რეკორდი დაამყარა დაფარებების საერთო რაოდენობით. მალგოჟატამ კარიერა 2008 წელს დასრულა.

სპორტსმენს მეუღლე და ორი ვაჟი ჰყავდა - სამი წლის და შვიდი თვის.

მალგოჟატა დიდეკი

მძლეოსნობა

ბოლტი მოგებით დაბრუნდა

იტალიის დედაქალაქ რომში „ბრილიანტის ლიგის“ მესამე ეტაპი გაიმართა. ეს სტარტი გამორჩეული იყო - ხანგრძლივი შესვენების შემდეგ სარბენ ბილიკზე გამოჩნდა პლანეტის უსწრაფესი ადამიანი **უსაინ ბოლტი**.

იამაიკელმა შარშანდელი სეზონი ვადაზე ადრე ტრავმის გამო დაასრულა. ეს აგვისტოში მოხდა. და საერთოდაც, უსაინის საზომით მსოფლიოს საუკეთესო სპრინტერს 2010 წელს განსაკუთრებული არაფერი უჩვენებია. თუმცა ბოლტს უნდა ვაპატიოთ ეს ჩავარდნა, რადგან შარშან არც ოლიმპიადა ჩატარებულა და არც მსოფლიოს ჩემპიონატი, წელს კი უსაინს პლანეტის პირველობაზე სპრინტში ტიტულის დაცვა მოუწევს.



უსაინ ბოლტი

რომში ბოლტს გამარჯვება გარანტირებული არ ჰქონდა, რადგან მის გვერდით იდგა **ასაფა პაუელი**, რომელმაც სეზონი კარგა ხნით ადრე დაიწყო და ფორმაშიც იყო შესული.

თუმცა პაუელს უკვე დიდი ხანია არ მოუგია დუელი თანამემამულისთვის. მსოფლიოს ჩემპიონატებზე მას ყოველთვის ნერვები ღალატობს, ეს კი „ბრილიანტის ლიგის“ ერთი რიგითი ეტაპი იყო. ამ ტურნირებზე ასაფა ყოველთვის კარგად გამოდის.

სეზონის პირველ დიდ გარბენს 47 ათასმა მაყურებელმა ადევნა თვალი. მაისურის გამოცვლისას უსაინმა დემონსტრაციულად დაანახა ყველას, რომ სეზონებს შორის შესვენებისას ბევრი ივარჯიშა და ბრწყინვალე ფიზიკურ ფორმაში იმყოფებოდა. შემდეგ თავისი საფირმო ჟესტებიც შემოგვთავაზა. თათა, რომ წინ არ გადახრილა და 9.91 წამი დააფიქსირა. პაუელმა ორი მეასედი წამი წააგო და ფინიშის შემდეგ თბილად მიულოცა წარმატება თანამემამულეს.

„ეს ჩემი პირველი სტარტი იყო. ამიტომაც ძალიან ვინერვიულე. დასაწყისი არ გამომივიდა, რადგან მცირე პანიკა მქონდა. მაინც მოვახერხე გამარჯვება. ჩემი მწვრთნელი გააანალიზებს ამ გარბენს, თუმცა წინასწარვე შემიძლია გითხრათ, რომ საამაყო არაფერი მაქვს“, - განაცხადა ფინიშის შემდეგ ბოლტმა.

ამ იამაიკურ დაპირისპირებაში ოდნავ დაიკარგა **კრისტოფ ლემეტრი**, რომელიც პირველად გამოდიოდა ასეთ ძლიერ გარბენში. ევროპული სპრინტის მეფემ მესამე შედეგი აჩვენა. მისი დრო იყო ზუსტად 10 წამი. ღირსეული შედეგია, თუმცა ფრანგს მეტი შეუძლია. ის ხომ პირველი თეთრკანიანი სპრინტერია ისტორიაში, ვინც 100 მეტრი 10 წამზე ნაკლებ დროში გაირბინა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ველოსპორტი

ერთგული ბიბლიოთეკა

ისევ ლენსის პატიოსნების შესახებ

ლენს არმსტრონგის ყოფილმა თანაგუნდელმა **ტაილერ ჰემილტონმა** CBS-თვის მიცემულ ინტერვიუში ტურ დე ფრანსის შვიდგზის ჩემპიონი დოპინგის მიღებაში დაადანაშაულა. ასე რომ, კვლავ დადგა დღის წესრიგში ლეგენდარული ლენსის სპორტული პატიოსნების საკითხი.

ჰემილტონმა აღნიშნა, რომ არმსტრონგი და US Postal-ის სხვა წევრები აკრძალულ პრეპარატებს იღებდნენ ტურ დე ფრანში მონაწილეობისთვის. ტაილერი აკონკრეტებს - არმსტრონგი იყენებდა მრავალრიცხოვან სტიმულატორებს, EPO-ს, ტესტოსტერონს და ე. წ. „სისხლის დოპინგს“.

„თავს ცუდად ვგრძნობ იმის გამო, რომ ამის შესახებ მოყოლა მინევს. მაგრამ მესმის, ჩემი სიტყვები მომავალში დაეხმარება სპორტს და ის უფრო სუფთა გახდება. იმ დროს არმსტრონგი ჩვენს გუნდში მთავარი ვარსკვლავი იყო და ბევრ საკითხს ხელმძღვანელობდა. ის იღებდა დოპინგს, როგორც სხვები. მაშინ ყველაფერს ვაკეთებდით არმსტრონგის გამარჯვებისთვის“, - განაცხადა ჰემილტონმა.

ტაილერის ნაამბობიდან ვიგებთ, რომ US Postal-ის ხელმძღვანელობა და ექიმები არ კრძალავდნენ დოპინგის გამოყენებას, თანაც მსგავსი სიტუაცია ამერიკულ საჯინიბოში არმსტრონგის მისვლამდეც იყო. აკრძალული პრეპარატები, მათ შორის EPO და ზრდის ჰორმონი ველომრბოლებს სადილის შემდეგ ურიგდებოდათ. გარდა ამისა, სპორტსმენებს სასტუმროში „სუფთა“ სისხლს უღებდნენ, რომელსაც მოგვიანებით უკან უსხამდნენ მათ. ეს იმ მიზნით კეთდებოდა, რომ დაემალათ ათლეტთა ანალიზში აკრძალული პრეპარატების კვალი.

უნდა აღინიშნოს, რომ ადრე ჰემილტონი უარყოფდა თავის მონაწილეობას ანტისადოპინგო კანონმდებლობის დარღვევაში. ახლა კი საქვეყნოდ აღიარა დანაშაული და თავისი ყოფილი თანაგუნდელიც „გასვარა“. ველოსპორტის სამყაროში ჰემილტონის ასეთ არათანმიმდევრულ საქციელს იმით ხსნიან, რომ ამერიკელს ფულის გაკეთება უნდა ცოტა ხნის წინ მისი ავტორობით გამოსული წიგნის მეშვეობით.

არმსტრონგის ნაცვლად ჰემილტონს პასუხი ლენსის ადვოკატმა **მარკ ფაბიანმა** გასცა: *„ტელეარხმა CBS-მა არაპროფესიონალი ზმი გამოავლინა. ჟურნალისტები სენსაციას გამოეკიდნენ. ტელევიზია ენდო საეჭვო წყაროს და სრული იგნორირება გაუკეთა არმსტრონგის 500 სუფთა დოპინგსინჯსა და მის ათეულობით თანაგუნდელის ა ზრს,*

წინ ლენსი, უკან ჰემილტონი

რომლებიც მზად არიან დაადასტურონ ლენსის ნიჭი და პატიოსნება“.

ჰემილტონი ამტკიცებს, რომ უკვე მისცა ჩვენება ლოს ანჯელესის სასამართლოში. ამერიკის ფედერალური პროკურატურა გამოიძიებს არმსტრონგის გუნდის კავშირს ნარკოტიკების გავრცელების ქსელთან. იტყობინებიან, რომ აშშ-ის მთავრობა უკვე დაუკავშირდა კოლეგებს საფრანგეთიდან ამ საქმეში თანამშრომლობისთვის. კერძოდ, ამერიკელებმა მოითხოვეს არმსტრონგის შარდის ანალიზი, რომელიც ველომრბოლმა 1999 წელს ჩააბარა. ამასთან, პროკურატურას უფრო აინტერესებს გუნდის მხრიდან ანტისადოპინგო კანონის დარღვევის საკითხი, ვიდრე არმსტრონგის სინჯის შედეგი, რადგან ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ჟურნალისტებმა ლენსის დადანაშაულება სცადეს, მაგრამ ვერაფერი დაამტკიცეს. ადრე ფრანგულმა გამოცემა „ეკიპმა“ გამოაცხადა, რომ 1999 წელს ველომრბოლის ექვსი დოპინგსინჯი დადებითი შედეგისა იყო. მაგრამ მაშინ ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირმა ასე ახსნა სიტუაცია - სინჯები არასწორად იყო გამოყენებული და მათი მტკიცებულებად გამოყენება არ შეიძლებაო.

ტურ დე ფანსი არ არის ერთადერთი რბოლა, რომელთან დაკავშირებითაც არსებობს ლენსის მიმართ ეჭვი. ჰემილტონმა გამოაცხადა, რომ 2001 წელს არმსტრონგმა დადებითი დოპინგსინჯი ჩააბარა „შვეიცარიის ტურზე“, რომელიც წინ უძღოდა ტურ დე ფრანსს. მაგრამ ჰემილტონის სიტყვებით, ლენსი ამის გამო სულაც არ ნერვიულობდა. ჰემილტონი მიიჩნევს, რომ არმსტრონგმა გარიგება დადო ველომრბოლთა კავშირთან და ამჯერადაც „მშრალი“ ამოვიდა წყლიდან.

აგრეთვე თავის ინტერვიუში ჰემილტონმა განაცხადა, რომ არმსტრონგი და იტალიელი მწვრთნელი **მიჩელე ფერარი** განიხილავდნენ, როგორ გამოეყენებინათ სნორად დოპინგი: *„იტალიელი ასწავლიდა ლენსს, როგორ მიეღო აკრძალული პრეპარატები. ველოსპორტში არის კიდევ რაღაც, გარდა ჯანსაღი კვებისა და ვარჯიშებისა. არსებობს კიდევ ერთი ელემენტი - ეს არის დოპინგი“.* აქვე უნდა გაგახსენოთ, რომ ფერარი სამუდამოდ არის დისკვალიფიცირებული იტალიის ველოსპორტის ფედერაციის მიერ. არმსტრონგმა ასევე გაწყვიტა ყველანაირი ოფიციალური პროფესიული ურთიერთობა ამ იტალიელ მწვრთნელთან, მაგრამ მასთან დღემდე აქვს კავშირი.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ამხანაგური მაჩაჩი

უელსი-ჩრ. ირლანდია	2:0

Under 21

ჰოლანდია-ისრაელი	2:0

საფრანგეთი

II დივიზიონი

ანჟერსი-დიჟონი	1:0
კლერმონი-გულონი	1:0
ევიანი-მეცი	4:3
ისტრი-შატორუ	5:3
ლავალი-რეიმსი	1:2
ჰავრი-გრენობლი	5:0
ლე მანი-ნანტი	3:2
ნიმი-აიაჩო	1:2
სედანი-ტური	1:0
ტრუა-ვანი	0:1

შვეიცარია

II დივიზიონი

ჰამარგიუ-დეგერფორსი	1:2

ფინეთი

II დივიზიონი

ოპს-კპვ	2:0

ჩეხეთი

II დივიზიონი

სეზიმოვო-დულკა	1:2
იულავა-ჭლუჩინი	3:1

რუსეთი

ნალჩიკი-ტერეკი	2:2
რუბინი-ტომი	4:1
ლოკომოტივი-ანჟი	1:2

II დივიზიონი

სპა ენერგია-ტორპედო	0:1
ლუჩ ენერგია-ბალტიკა	0:0
კამაზ-ჟემჩუჟინა	1:0
მორდოვია-ჩერნომორეცი	2:1
ალანია-ფაკელი	1:0
ვოლგარი-ხიმკი	1:0

ბულგარეთი

ლევსკი-მონტანა	3:0

ბელარუსი

ბელშინა-დინამო (მნ)	2:3
ვიტებსკი-დინამო (ბ)	2:1
მინსკი-დნეპრი	1:3
შახტიორი-ტორპედო	1:0

ლიტვა

კაუნასი-ჟალგირისი	0:1
კრუოია-ბანგა	0:0
დაინავა-სუდუვა	0:6
ეკრანასი-ატლანტასი	7:0

კალათბურთი

ესპანეთი

ბარსელონა-კახა ლაბორალი	86:71
რეალი-ბილბაო	78:67

თურქეთი

ბანვითი-გალათასარაი	85:74
ეფესი-ფენერბაჰჩე	82:87

საფრანგეთი

შოლე-გრაველენი	77:62

FM 107,9

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის„ (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ„ დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო„.

TV პროგრამა

28 მაისი. შაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:00 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ტოტენჰემი.
14:00 არგენტინის ჩემპიონატი. ესტუდიანტესი-ველესი.
16:00 იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-ჯენოა.
18:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-მარსელი.
20:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-რეალი.
23:00 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შტუტგარტი.
01:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:30 ბრაზილიის ჩემპიონატი. ბოტაფოგო-სანტოსი (LIVE).

GMG-სპორტი

10:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ჩიკაგო-მაიამი. V მატჩი.
12:15 ჩოგბურთი. „დიდი სლემი“. როლან გაროსი. მიმოხილვა.
13:15 ჩოგბურთი. „დიდი სლემი“. როლან გაროსი. VII დღე. პარიზი (LIVE).
23:30 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. ტულუზა-კლერმონი.
01:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ჩიკაგო-მაიამი. V მატჩი.

I არხი

15:55 რაგბი. 20-წლამდელები. იაპონია-კანადა (LIVE).
17:55 რაგბი. 20-წლამდელები. საქართველო-ზიმბაბვე (LIVE).
22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. ბარსელონა-მანჩესტერ იუნაიტედი (LIVE).

რუსთავი 2

22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. ბარსელონა-მანჩესტერ იუნაიტედი (LIVE).

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

21:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. მანჩესტერ იუნაიტედი-ბარსელონა (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

17:10 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ოთხთა ფინალი. 1/2 ფინალი. რაინის ლომები (გერმანია)-ბარსელონა (ესპანეთი). გერმანია (LIVE).
19:55 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ოთხთა ფინალი. 1/2 ფინალი. სიუდად რეალი (ესპანეთი)-ჰამბურგი (გერმანია). გერმანია (LIVE).

HTB-პლუსი (კალათბურთი)

13:45 კალათბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ქალები. სუპერფინალი. საპასუხო მატჩი (LIVE).
20:00 WNBA. წინასასეზონო მატჩი. ბრიტანშ ნეიშენალი-ატლანტა დრიმი (LIVE).

SPORT+

13:45 კალათბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ქალები. სუპერფინალი. საპასუხო მატჩი (LIVE).
17:10 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ოთხთა ფინალი. 1/2 ფინალი. რაინის ლომები (გერმანია)-ბარსელონა (ესპანეთი). გერმანია (LIVE).
19:55 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ოთხთა ფინალი. 1/2 ფინალი. სიუდად რეალი (ესპანეთი)-ჰამბურგი (გერმანია). გერმანია (LIVE).

EUROSPORT

13:00 ჩოგბურთი. „დიდი სლემი“. როლან გაროსი. VII დღე. პარიზი (LIVE).
16:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XX ეტაპი. იტალია (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. „დიდი სლემი“. როლან გაროსი. VII დღე. პარიზი (LIVE).

EUROSPORT-2

13:00 ჩოგბურთი. „დიდი სლემი“. როლან გაროსი. VII დღე. პარიზი (LIVE).

29 მაისი. კვირა

GMG-ფეხბურთი

10:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. ბოტაფოგო-სანტოსი.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. პლეი ოფი. ბოხუმი-ბორუსია (მ). საპასუხო მატჩი (LIVE).
14:00 საფრანგეთის შოუ.
14:30 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ევროპის ლიგის პლეი ოფი. ფინალი. გრონინგენი-დენ ჰაგი. საპასუხო მატჩი (LIVE).
16:30 ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:00 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბარსელონა.
20:00 იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-პალერმო.
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:00 იტალიის თასი. ფინალი პალერმო-ინტერი (LIVE).
01:00 ამხანაგური მატჩი. გერმანია-ურუგვაი.

GMG-სპორტი

10:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. დალასი-ოკლაჰომა. V მატჩი.
12:15 ჩოგბურთი. „დიდი სლემი“. როლან გაროსი. მიმოხილვა.
13:15 ჩოგბურთი. „დიდი სლემი“. როლან გაროსი. VIII დღე. პარიზი (LIVE).
23:30 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. რასინგი-მონპელიე.
01:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. დალასი-ოკლაჰომა. V მატჩი.

I არხი

14:00 კალათბურთი. საქართველოს სუპერთასი (LIVE).

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

22:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. კანი-მარსელი (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

17:10 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ოთხთა ფინალი. მე-3 ადგილისთვის. გერმანია (LIVE).
19:55 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ოთხთა ფინალი. ფინალი. გერმანია (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

14:25 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ევროპის ლიგის პლეი ოფი. ფინალი. გრონინგენი-დენ ჰაგი. საპასუხო მატჩი (LIVE).
21:55 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. გერმანია-ურუგვაი (LIVE).

HTB-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)

15:40 რუსეთის ჩემპიონატი. ზენიტი-სპარტაკი (LIVE).
18:00 რუსეთის ჩემპიონატი. კრილია-როსტოვი (LIVE).
20:15 რუსეთის ჩემპიონატი. კრასნოდარი-დინამო (LIVE).

HTB-პლუსი (კალათბურთი)

14:55 კალათბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. კაცები. სუპერფინალი. საპასუხო მატჩი (LIVE).

SPORT+

13:55 კალათბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. კაცები. სუპერფინალი. საპასუხო მატჩი (LIVE).
22:55 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. მონაკო-ლიონი (LIVE).

EUROSPORT

11:45 ავტოსპორტი. „პორშეს“ თასი. მონაკო (LIVE).
13:00 ჩოგბურთი. „დიდი სლემი“. როლან გაროსი. VIII დღე. პარიზი (LIVE).
18:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XXI ეტაპი. იტალია (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. „დიდი სლემი“. როლან გაროსი. VIII დღე. პარიზი (LIVE).

EUROSPORT-2

13:00 ავტოსპორტი. „რენოს“ სერია. მონაკო (LIVE).
14:00 ჩოგბურთი. „დიდი სლემი“. როლან გაროსი. VIII დღე. პარიზი (LIVE).
21:30 ფეხბურთი. ოთხი ერის თასი. ირლანდია-შოტლანდია (LIVE).
00:30 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. ფინალი. I მატჩი (LIVE).

ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა

ვოზნიაცკი შინ მიემგზავრება

კიმის შემდეგ კარო. ვინ არის შემდეგი?

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ** ისევ უნდა გადადოს კარიერაში „დიდი სლემის“ პირველი ტურნირის მოგება. დანიელი მესამე წრიდან გამოეთიშა როლან გაროსს, თანაც პირწმინდად დამარცხდა სლოვაკ **დანიელა ჰანტუხოვასთან** - 1:6, 3:6.

თუ გავიხსენებთ იმას, რომ წინა დღეს ტურნირს გამოაკლდა რეიტინგის მეორე ნომერი **კიმ კლაისტერსი**, მივიღებთ უნიკალურ სიტუაციას - პირველად „დიდი სლემის“ ტურნირების ისტორიაში 1/8 ფინალში ვერ გავიდნენ პირველ ორ ნომრად განთესილი ჩოგბურთელები.

ჰანტუხოვა სრულად დომინირებდა კორტზე. სლოვაკმა მხოლოდ ერთხელ წააგო საკუთარი მონოდება და ხუთი ბრეიკი გააკეთა. აღვნიშნავთ იმასაც, რომ ვოზნიაცკის მხოლოდ 9 „ვინერსი“ ჰქონდა, დანიელას - 28. მატჩი საათი და 13 წუთი გაგრძელდა. ჰანტუხოვასთვის ეს იყო პირველი მოგება ვოზნიაცკის წინააღმდეგ გამართულ ოთხ მატჩში.

გუშინ კიდევ ერთი სენსაციის ავტორი გახდა არგენტინელი **ხისელა დულკო**. მან ბრძოლას გამოთიშა შარშანდელი ფინალისტი, ავსტრალიელი **სამანტა სტოსური**, რომლისთვისაც როლან გაროსი საყვარელი ტურნირია და აქ ზედიზედ ორი წელი მინიმუმ ნახევარფინალში თამაშობდა.

ავსტრალიელი ძალიან ბევრს ცდებოდა - ორი საათის განმავლობაში 35 უნებლიე შეცდომა დაუგროვდა. მიუხედავად ამისა, სამანტას ჰქონდა მატჩის მოგების შანსი, განსაკუთრებით მაშინ, როცა მეორე სეტში ძალიან მაღალი დონის ჩოგბურთი აჩვენა (6:1). მაგრამ დულკო ფსიქოლოგიურად არ გატყდა, ბრეიკით დაწინაურდა - 4:2 და ბოლომდე შეინარჩუნა ეს უპირატესობა. არგენტინელმა გაიმეორა „დიდი სლემის“ ტურნირებზე თავისი საუკეთესო შედეგი - 2006 წელს როლან გაროსზე და 2009 წელს ამერიკის ღია პირველობაზე ხისელამ ასევე მერვედფინალში ითამაშა.

■ ■ ■

გუშინდელი დღე ცენტრალური მატჩით უნდა დასრულებულიყო, რომელსაც ყველა მოუთმენლად ელოდა. ამჯერად არგენტინელ **ხუან მარტინ დელ პოტროს** უნდა ეცადა სეზონის ლიდერის **ნოვაკ ჯოკოვიჩის** შეჩერება.

პირველი სეტი სერბმა 6:3 მოიგო, მაგრამ მეორე პარტია იგივე ანგარიშით დელ პოტრომ აიღო და ამის შემდეგ, ცუდი ხილვადობის გამო მატჩი შეწყდა და მისი დასრულება მეორე დღისთვის გადაიდო. ანგარიშით თუ ვიმსჯელებთ, დღეს წესით საინტერესო და დაძაბული ბრძოლა უნდა ვიხილოთ.

როგორც ჩანს, კარგ ფორმაშია **როჯერ ფედერერი**. შვეიცარიელმა ზედიზედ მესამე მატჩი ისე მოიგო, რომ სეტი არ წაუგია. „დიდი სლემის“ 16-გზის ჩემპიონმა 10 ეისი გააკეთა და მხოლოდ 20 უნებლიე შეცდომა დაუშვა სერბი **იანკო ტიპსარევიჩის** წინააღმდეგ - 6:1, 6:4, 6:3.

ფედერერმა თამაშის ყველა კომპონენტში აჯობა მეტოქეს. პირველი მოწოდების სიზუსტე 67 პროცენტს უდრიდა, რეალიზაციის პროცენტი კიდევ უფრო მაღალი იყო - 84.

ქალები

1/16 ფინალი

დავიდ ფერერი (ესპ, 7)-სერგეი სტახოვსკი (უკრ, 31) 6:1, 6:1, 6:3; **გაელ მონფილსი (საფ, 9)**-სტივ დარცისი (ბელ) 6:3, 6:4, 7:5; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 14)**-ჟო ვილფრედ ცონგა (საფ, 17) 4:6, 6:7, 7:6, 6:2, 6:3; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)**-იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 29) 6:1, 6:4, 6:3; **ფაბიო ფონინი (იტა)**-გილერმო გარსია-ლოპესი (ესპ, 30) 4:6, 6:3, 6:3, 6:1; **ალბერტ მონტანეისი (ესპ)**-მიხაილ იუჟნი (რუს, 12) 6:1, 7:6, 6:1; **რიშარ გასკე (საფ, 13)**-ტომაშ ბელუჩი (ბრა, 23) 6:2, 6:3, 3:6, 6:3; ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 25)-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2) 3:6, 6:3 შეწყდა.

ქალები

1/16 ფინალი

დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 28)-კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1) 6:1, 6:3; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 13)**-რებეკა მარინო (კან) 6:0, 6:4; **მარიონ ბარტოლი (საფ, 11)**-ჯულია გორჯესი (გერ, 17) 3:6, 6:2, 6:4; **ხისელა დულკო (არგ)**-სამანტა სტოსური (ავსტრა, 8) 6:4, 1:6, 6:3; **ვერა ზვონარევა (რუს, 3)**-ანასტასია როდიონოვა (ავსტრა) 6:2, 6:3; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 14)**-ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპ) 3:6, 6:3, 6:3; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 10)**-ბეტანი მატეკი (აშშ) 6:2, 6:2; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 5)**-შუაი პენგი (ჩინ, 29) 6:3, 1:2 პენგის უარი.

საინტერესო ფაქტები

- ბელგიელმა **კიმ კლაისტერსმა** პირველად წაგო კარიერაში კლასიფიკაციის მეორე ასეულში მყოფ ჩოგბურთელთან.

შეგახსენებთ, რომ კიმმა როლან გაროსის მეორე წრეში სამმსეტიანი ბრძოლა დათმო ჰოლანდიელ **არანჩა რუსთან**. ადრე ბელგიელმა ზედიზედ 31 მატჩი მოუგო საუკეთესო ასეულის მიღმა მყოფ ჩოგბურთელებს.

- უნიკალური რეკორდი დამყარდა მეორე წრის მატჩში ჩეხ **ლუკაშ როსოლსა** და ავსტრიელ **იურგენ მელცერს** (მე-8 ნომერი) შორის. როსოლმა ზუსტად 100 (!) უნებლიე შეცდომა დაუშვა, რაც როლან გაროსის რეკორდი გახლავთ. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ამდენი შეცდომის მიუხედავად, ჩეხმა მაინც შეძლო ხუთ სეტში გამარჯვების მოპოვება.

ამ წაგებით იურგენ მელცერი დაკარგავს ადგილს კლასიფიკაციის პირველ ათეულში. ავსტრიელი შარშანდელ ნახევარფინალში მოპოვებულ ქულებს (720 ქულა) იცავდა, მაგრამ მხოლოდ 45 ქულა მოიპოვა.

- პირველად XXI საუკუნეში „დიდი სლემის“ ჩემპიონატის მამაკაცთა ბადის მესამე წრეში კვალიფიკაციის ექვსმა გამარჯვებულმა გააღწია.

2000 წლის უიმბლდონზე მესამე წრემდე კვალიფიკაციის ხუთმა ჩოგბურთელმა მიაღწია, ერთ-ერთმა მათგანმა, ბელარუსმა **ვლადიმირ ვოლჩკოვმა** ნახევარფინალში ითამაშა.

- მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს, ფრანგ **ამელი მორესმოს** პროფესიული კარიერის განახლება სურდა იმ მიზნით, რომ წლევანდელ როლან გაროსზე მიქსტში ეთამაშა **მიკაელ ლოდრასთან** ერთად. მაგრამ „დიდი სლემის“ ტურნირების ორგზის ჩემპიონი ორგანიზატორებმა საფრანგეთის ღიაზე არ დაუშვეს. საქმე ისაა, რომ მორესმო აღარ არის სპორტში ანტისადოპინგო პროგრამის წევრი, ამიტომაც ვერ გაიარა დოპინგ-ტესტი, რომელსაც გამოიყენებენ იმ მოთამაშეებისთვის, რომლებიც ხანგრძლივი პაუზის შემდეგ თავიდან იწყებენ კარიერას.

- მსოფლიოს პირველი ჩოგანი **კაროლინ ვოზნიაცკი** ფეხბურთის დიდი მოყვარულია, მისი საყვარელი გუნდი „ლივერპული“ გახლავთ. თუმცა დღეს დანიელი ჩოგბურთელის სიმპათიები „ბარსელონას“ მხარეს იქნება - სწორედ კატალონიელებს უგულშემატკივრებს კარო „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში.

„რთულია იმის თქმა, ვინ გაიმარჯვებს ამ დაპირისპირებაში, რადგან ერთმანეთს ორი დიადი კლუბი ხვდება. მაგრამ „ბარსელონა“ ყოველთვის მეტად მომწონდა, ამიტომაც იმედი მაქვს, რომ ის მიაღწევს წარმატებას“, - აღნიშნა ვოზნიაცკიმ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

ველოსპორტი

ტური კონტადორის გარეშე

ტურ დე ფრანსის სამგზის ჩემპიონმა **ალბერტო კონტადორმა**, შესაძლოა, 2011 წლის ივლისამდე შეწყვიტოს კარიერა. სწორედ ივლისის პირველ დეკადაშია დაგეგმილი სპორტული საარბიტრაჟო სასამართლოს სხდომა, რომელმაც უნდა განიხილოს ესპანელი ველომრბოლის სახელთან დაკავშირებული დოპინგსკანდალი.

თუმცა არსებობს მოვლენათა განვითარების სხვა ვარიანტი. შესაძლოა, სხდომა სექტემბრისთვის გადაიტანონ და ამ შემთხვევაში კონტადორი შეძლებს 2011 წლის ტურ დე ფრანსზე (2-24 ივლისი) მონაწილეობის მიღებას.

კონტადორის პრესმდივანმა ამ საქმეს რთული უწოდა და განაცხადა, რომ ველომრბოლი და მისი იურისტები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ალბერტომ წლის მთავარ ველომარათონში მიიღოს მონაწილეობა.

შეგახსენებთ, შარშანდელი დოპინგსკანდალის შემდეგ კონტადორი გაამართლა ესპანეთის ველოსპორტის ფედერაციამ, თუმცა ახლა ესპანელ ვარსკვლავს სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში უჩივიან ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირი და მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტო.

ჰოკეი

ფინალი პირველში დაიწყება

ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ სტენლის თასის სუპერფინალის კალენდარი გამოაქვეყნა. სეზონის დასკვნითი სერია 1 ივნისს გაიხსნება, მეორე მატჩი 4 ივნისს არის დაგეგმილი. მიუხედავად იმისა, რომ ფინალში „ვანკუვერის“ მეტოქე ჯერ ცნობილი არ არის, ნებისმიერ შემთხვევაში ეს ორი მატჩი ამ გუნდის მოედანზე გაიმართება, რადგან კანადელები რეგულარულის ჩემპიონები არიან და საკუთარი მოედნის უპირატესობა გააჩნიათ.

მესამე და მეოთხე მატჩები 6 და 8 ივნისს არის დაგეგმილი. საჭიროების შემთხვევაში, რიგით მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე შეხვედრა შესაბამისად 10, 13 და 15 ივნისს გაიმართება.

„ვანკუვერის“ მეტოქე გუშინ „ბოსტონისა“ და „ტამპა ბეის“ სერიის მეშვიდე მატჩში უნდა გარკვეულიყო.

ვეტერანმა კარიერა დაასრულა

„ნიუიორკ აილენდერსის“ 40 წლის ფორვარდმა **დუგ უეიტმა** კარიერის დასრულების შესახებ ოფიციალურად გამოაცხადა. წლევანდელ სეზონში ვეტერანმა ტრავმების გამო მხოლოდ 18 მატჩი ჩაატარა. ჰოკეისტი 1990 წლის დრაფტში 34-ე ნომრად აირჩია „ნიუ იორკ რეინჯერსმა“.

უეიტს NHL-ში 1238 მატჩი აქვს ჩატარებული. ჯამში მის ანგარიშზე 1033 (278 გოლი+755 შედეგიანი პასი) ქულა მოდის. პლეი ოფში 97 მატჩში ფორვარდის მონაგარია 72 (23+49) ქულა.

ჭადრაკი

ანანდს გელფანდი შეხვდება

43 წლის ისრაელელმა დიდოსტატმა **ბორის გელფანდმა** მოუგო მეექვსე პარტია რუს **ალექსანდრ გრიშჩუკს** და გაისად მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონთან, ინდოელ **ვიშვანათან ანანდთან** შეხვედრის უფლება მიიღო.

მატჩის ანგარიშია 3.5:2.5 გელფანდის სასარგებლოდ.

კრივი

ჯალათმა დოუსონი აირჩია

ამერიკელმა **ბერნარდ ჰოპკინსმა** თანხმობა განაცხადა თანამემამულე **ჩედ დოუსონთან** შეხვედრაზე. როგორც იცით, 21 მაისს ჰოპკინსმა WBC-ის ვერსიით 79-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ტიტული მოიპოვა და კრივის ისტორიაში ყველაზე ასაკოვანი ჩემპიონი გახდა. ჯერჯერობით უცნობია, როდის გაიმართება 46 წლის ჰოპკინსისა და დოუსონის შეხვედრა.

დოუსონი ჰოპკინსისა და პასკალის ბრძოლამდე იყო WBC-ის ტიტულის პრეტენდენტი. მან მოცდა გადაწყვიტა იმ პირობით, რომ საჩემპიონო ბრძოლაში გამარჯვებულს შეხვდებოდა. პასკალის დამარცხებიდან რამდენიმე დღის თავზე ბერნარდმა დაადასტურა დოუსონთან ჩხუბი.

ქვირის ბოლოს



შამათი — ალექსანდრე ტოგონიძის კოლაჟი